სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 19 აგვისტო 1999 №157 (930) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხომერიკი ბათუმში

ესპანეთში სათამაშოდ გამგზავრებული ქართველი თავდამსხმელი კოჭის ტრავმამ ბათუმში ჩაიყვანა

ინგლისი, იტალია, თურქეთი — ახალი მისამართები?

სილაგაძით „ჩელსი“, მენთეშაშვილით „კალიარი“, ჩალაძით კი „გალათასარაი“ დაინტერესდნენ

წინ, კარისკენ ანუ გოლის უფლება

იუბილარი

ფრანგების უსაყვარლეს გუნდს საუკუნე შეუსრულდა

ამბავი გამწარებული სიბერისა

სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატამდე ორი დღით ადრე 39 წლის მერლინ ოტის სისხლი დაუწუნეს

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. VIII ჯგუფი

იუგოსლავია 0:0 ხორვატია

REUTERS ბელგრადიდან

ალიოშა ასანოვიჩი (№7) დარკო კოვაჩევიჩსა (№9) სლავიშა იოკანოვიჩს შორის მიძვრება

ომი და ფრე

იუგოსლავიასა და ხორვატიას შორის პირველი, ისტორიული დაპირისპირება, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის უპრინციპულეს თამაშად რომ მიიჩნევდნენ, უგოლო ფრით დასრულდა.
შუა შეხვედრაში პროჟექტორების ჩაქრობამ ამ მატჩის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი უფრო გაამძაფრა.

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

საქართველოსაც დავამარცხებთ

სრეჩკო კატანეცს თავი ჰლეი ოფში ჰგონია



ლიუბლიანა
18 აგვისტო
8 000 მაყურებელი

სლოვენია 2:0 ალბანეთი

1:0 ზაპოვიჩი (49), 2:0 ოსტერცი (80)
სლოვენია: დაბანოვიჩი, ოსტერცი, რუდონია, მილანიჩი (მილინოვიჩი), გალიჩი, კნავსი, ნოვაკი (ისტენიჩი), ჩეპი, უდოვიჩი (აჩიმოვიჩი), ზაპოვიჩი, პავლინი
ალბანეთი: სტრაკოშა, პინარი, შულკუ, ჯუმბა, ვატა, ბელაი, პაჯი, მურატი (ჰალილი), კოლა, რაკლი (ბოგდანი), ტარე

ბლენდი რესნია
ლიუბლიანადან საგანგებოდ სარბიელისთვის

ვერ გეტყვით, ასეთი საპასუხისმგებლო მატჩის წინ ალბანეთის ნაკრების მწვრთნელმა რა ჩაიფიქრა, მაგრამ ფაქტი კი იყო, ცოტა უცნაურმა ტაქტიკურმა სქემამ ალბანელებს არ გაუმართლა.

ჰაფიზიმ, რატომღაც, აქამდე არაერთხელ ნაცად 3-5-2-ს უღალატა და დაცვის გაძლიერება გადაწყვიტა. შუახაზელებს ერთი ფეხბურთელი მოაკლო და მცველებს დაუმატა. კაპიტანი რუდი ვატაც უკან დახია, მან, მისთვის უჩვეულოდ, ლიბეროდ ითამაშა. ჰაფიზიმ მარცხენა მცველ ჰაჯისაც აუბნია თავგზა და მარჯვნივ გასწია. ყოველივე ამის შემდეგ კი ალბანეთის ნაკრების დაცვა ერთობ არეულად გამოიყურებოდა.

ყველაფრის მიუხედავად მატჩის პირველი ნახევარი, რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს, სტუმართა უპირატესობით წარიმართა. მე-13 წუთზე კი, იგლი ტარეს გამოზომილი პასის შედეგად დაბანოვიჩთან პირისპირ დარჩენილ ალტინ რაკლის რომ გაეტანა, ძნელი სათქმელია, მოვლენები როგორ განვითარდებოდა. ლიუბლიანის სტადიონზე დამსწრე 8 ათასამდე ქომაგმა ფანტასტიკური კომბინაცია იხილა ალბანელთა შესრულებით, თუმცა რაკლიმ მომენტი გააცუდა.

მერე უკვე თავად რაკლიმ უასისტენტა ტარეს, თუმცა ეს შეტევაც უშედეგო გამოდგა, ტარემ თავური კარს ააცილა.

სლოვენიელთაგან ერთადერთი, ვისი გამორჩევაც ღირს, ზლატკო ზაჰოვიჩია და, თუკი რამ ხიფათი შეიქმნა სტრაკოშას კართან, ყველა მისი დამსახურებით. თუმცა ბელაის კარგი თამაშიც უნდა აღინიშნოს, მას რომ ადევნებოდა და შეძლებისდაგვარად ხელსაც ხშირად უშლიდა.

REUTERS ლიუბლიანიდან

სლოვენია — ალბანეთი 2:0. მეორე გოლის ავტორი მილან ოსტერცი (მარცხნივ) ალბანელთა კაპიტან რუდი ვატასა (შუაში) და არიან ბელაის გაურბის

იხილეთ მეთექვსმეტე გვერდი

ნორვეგია	7	5	1	1	14:8	16
სლოვენია	7	4	2	1	10:6	14
ლატვია	7	3	2	2	7:5	11
საბერძნეთი	7	2	3	2	8:7	9
საქართველო	7	1	1	5	4:12	4
ალბანეთი	7	0	3	4	3:8	3

მომდევნო მატჩები: 4 სექტემბერი: ალბანეთი — ლატვია, ნორვეგია — საბერძნეთი, სლოვენია — საქართველო; 8 სექტემბერი: ნორვეგია — სლოვენია, საქართველო — ლატვია, საბერძნეთი — ალბანეთი; 9 ოქტომბერი: სლოვენია — საბერძნეთი, ლატვია — ნორვეგია, ალბანეთი — საქართველო.

ფოტო ალექსანდრე ბეჟანიძისა

რამაზ მუმლაძე სიურპრიზს გვპირდება

ბუნებრივია, კლუბში ახალი მწვრთნელის მისვლას გარკვეული ცვლილებები მოსდევს. იცვლება გუნდის სათამაშო სქემა. იცვლება დამოკიდებულება ფეხბურთელების მიმართ. იცვლებიან თავად ფეხბურთელებიც და ბევრ შემთხვევაში გუნდიც საგრნძობ სახეცვლილებას განიცდის.

„თბილისს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს — რამაზ მუმლაძე. თუმცა არა მგონია, პირველი ლიგის დებიუტანტ კლუბს ზემოთ ჩამოთვლილი ცვლილებები შეეხოს. ამით იმის თქმა სულაც არ მსურს, რომ მუმლაძეს თავისი კონცეფციები არ გააჩნია, პირიქით, „თბილისის" ახალი თავკაცი ბავშვთა ფეხბურთში წარმატებული მუშაობითაა ცნობილი და სამწვთნელო მოღვაწეობის სოლიდური გამოცდილებაც გააჩნია. მიზეზი მარტივია — რამაზ მუმლაძე სულაც არ არის ახალი კაცი „თბილისისთვის". იგი უკვე სამი წელია, რაც ყოფილ „დინამო 2"-ში მუშაობს. ამ გუნდის პირველ ლიგაში აღზევებაში მისი წვლილიც ურევია და „თბილისის" დღევანდელი ბირთვის ბევრი ფეხბურთელიც დაუფრთიანებია. და მაინც, მუმლაძე ახალი კაცია გუნდში, რადგან დღეს „თბილისს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. გეხსომებათ, „სარბიელმა" რამდენიმე დღით ადრე ინინასწარმეტყველა „თბილისში" მოსალოდნელი ცვლილებები. პირველი ლიგის დებიუტანტ მწვრთნელსაც ინტერვიუს დასაწყისში სწორედ ამაზე ვკითხეთ...

— გამოგიტყდებით, იყო ლაპარაკი ოთარ კორღალიძის „დინამოში" გადასვლაზე და ასეთ შემთხვევაში „თბილისში" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჩემი დანიშვნის შესახებ, მაგრამ ამისთვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია, რადგან მოსამზადებელი პერიოდის წინ გუნდში ახალი მწვრთნელი მოვიდა და, ბუნებრივია, ეროვნული პირველობაც „თბილისს" ოთარ კორღალიძის თავკაცობით უნდა დაეწყო. აქედან გამომდინარე, ყოველივე ერთობ მოულოდნელი იყო ჩემთვის.

— კლუბის ხელმძღვანელობას თუ შეხვდით. პირობებზე ხომ არ გისაუბრიათ?

— მათ ყოველდღე ვხვდები, მაგრამ კონკრეტულად არ გვისაუბრია, ფორმალურ მხარეს რამდენიმე დღეში მოვაგვარებთ.

— გუნდის გაწვრთნაში ვინ დაგეხმარებათ?

— ამ მხრივ ყველაფერი ძველებურადაა, ასისტენტობას ბორის სიჭინავა და მამუკა აბუსერიძე გამიწევენ.

— ბუნებრივია, თქვენი პირველი შეხვედრა მთავარი მწვრთნელის რანგში ფეხბურთელებთან მეგობრულ ვითარებაში ჩაივლიდა.

— რა თქმა უნდა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. ფეხბურთელებთან საოცრად მეგობრული ურთიერთობა მაქვს. ჩვენ უკვე სამი წელია ერთად მოვდივართ. ასე რომ, გასაცნობ-ასახსნელი არაფერი გვქონდა. გუნდი დიდი სიხარულით შეხვდა ჩემს მთავარ მწვრთნელობას. ისე, ტრაბახში ნუ ჩამითვლით და რაღაც წვლილი მეც მიმიძღვის ბიჭების ფეხბურთელებად ჩამოყალიბებაში.

— სეზონის წინ, როცა „თბილისი" საწვრთნელ ციკლს გადიოდა, ოთარ კორღალიძემ გუნდის მიზნებზე გვითხრა. მაშინ თბილისის მიზანი პირველ ეტაპზე ოთხეულში მოხვედრა იყო. თქვენი მოსვლით რამე ხომ არ შეცვლილა ამ მხრივ?

— ყველაფერი ძველებურადაა. იგივე გეგმები გვაქვს. პირველ ეტაპზე აუცილებლად უნდა მოვხვდეთ ოთხეულში, შემდეგ კი მაღალი ადგილებისთვის ვიბრძოლებთ. ამის თქმის საფუძველს „თბილისის" დღევანდელი შემადგენლობა მაძლევს. ისინი საოცრად ნიჭიერი ბიჭები არიან და ვფიქრობ, კარგი შედეგები გვექნება.

— ცნობილია, რომ თქვენი წინამორბედი დაცვის ერთ ხაზზე თამაშს ანიჭებდა უპირატესობას. თქვენ შეცვლით რამეს?

— ჯერ-ჯერობით ეს გადაწყვეტილი არა მაქვს. II ტურში ძნელი გამოცდა გველის „ბათუმთან". თუ როგორ ითამაშებს „თბილისი", ამას ამ მატჩის მსვლელობიდან შეიტყობთ. ისე, ბუნებრივია, ტაქტიკური მონახაზში ცვლილებების შეტანას არ გამოვრიცხავ.

— „თბილისის" სათამაშო სქემაში სხვა რამ თუ შეიცვლება?

— ამ შეკითხვაზე ჯერ-ჯერობით პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ. ისევ და ისევ „ბათუმთან" უახლესი მატჩის გამო. არ მინდა წინასწარ რამის თქმა. ამ მატჩს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, თანაც...

— თქვენთვის სადებიუტო შეხვედრა იქნება.

— მართალს ბრძანებთ. ამიტომ...

— პირველ ტურში „სიონთან" გასვლით შეხვედრაში თქვენზე როგორი შთაბეჭდილება დატოვა „თბილისმა"?

— ნორმაულრი. უკმაყოფილო ნამდვილად არ ვარ. შედეგი კანონზომიერი იყო, ცუდი არც ჩვენ თამაშს ეთქმოდა. ფეხბურთელებმა ბოლომდე შეასრულეს მითითებები. ისე, ბოლო წუთებში მოგებაც შეგვეძლო.

— შესაძლოა არ დამეთანხმოთ, მაგრამ, მშვენივრად ჩატარებული 70 წუთის შემდეგ „თბილისი" (და „სიონიც") საოცრად დაიღალა, შედეგად თამაშის ტემპიც დაეცა. მოგვიანებით მომხდარი ორივე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სიცხეს და პირველი ტურის დაძაბულობას დააბრალა. თუმცა მათი მოსაზრება ბოლომდე არ გაგვიზიარებია. ჩვენის აზრით, აქ სხვა მიზეზი იყო. თქვენ როგორ ფიქრობთ?

— მე არ გამოვრიცხავ იმას, რომ ამის მიზეზი სიცხე და პიველი ტურის დაძაბულობა იყო. ბოლნისში მართლაც გაუსაძლისად ცხელოდა და პირველი ტურის მატჩებსაც ახლავს ამგვარი რამ, მაგრამ მთავარი მიზეზი სულ სხვა რამ არის. თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე ბუნებრივი იყო ორივე გუნდის დაღლა, რადგან პირველივე წუთებიდან საოცრად მაღალ ტემპში მიმდინარეობდა თამაში. თანაც, ფეხბურთელები ბოლომდე დაიხარჯნენ და, შეიძლება ითქვას, ფიზიკური შესაძლებლობების 90 წუთისთვის გადანაწილება ვერ შეძლეს. თანაც, „თბილისის" შემთხვევაში ერთიც არ უნდა დაგვავიწყდეს. კლუბი დებიუტანტია და უმაღლეს დონეზე თამაშმა ფაქტობრივად პირველად მოუწია. რაც არ უნდა იყოს, ჩვენი ჩემპონატის პირველ და მეორე ლიგას შორის საგრძნობი სხვაობაა და ამანაც ითამაშა გარკვეული როლი. ისე, ამაში საგანგაშო არაფერია, დროთა განმავლობაში „თბილისი" ამ მხრივაც დაიხვეწება.

— გეტყობათ, გუნდის დღევანდელი შემადგენლობით კმაყოფილი ხართ და მაინც, ამ მხრივ ხომ აპირებთ რამის შეცვლას?

— ამ ეტაპზე ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ და ალბათ, პირველ ეტაპს ამ შემადგენლობით ჩავამთავრებთ. შემდეგ კი ალბათ იქნება ცვლილებები. ზემოთ გუნდის მიზნებზე გითხარით და, ბუნებრივია, ამის მისაღწევად ყველა ღონეს ვიხმართ. ამაში, რა თქმა უნდა, „თბილისის" გაძლიერებაც შედის.

— „ბათუმთან" შეხვედრაზე ერთიც მინდა გკითხოთ. ყველა მწვრთნელის ოცნებაა სადებიუტო მატჩში თავის გამოჩენა. ბუნებრივია, დღეს ამაზე ფიქრობთ, ვინ იცის, იქნებ II ტურში „თბილისმა" სიურპრიზიც შემოგვთავაზოს...

— ბედნიერი ვიქნები, თუ ეს მოხდება. სადებიუტო მატჩს მართლაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, ასე რომ, სიურპრიზისთვის მზად იყავით.

პაატა კვანტალიანი

გიორგი კიკნაძე დინამოს იმჟღდგა

ფოტო ალექსანდრე ბეჟანიძისა

ვინ გადაათქმევინებს გიორგი კიკნაძეს? ერთადერთი ეს ისევ თბილისის „დინამოს" შეუძლია, უფრო სწორად აიძულოს თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს.

საქმე ისაა, რომ „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს უკვე რა ხანია აქაურობის დატოვება, თამაშის უცხოეთში გაგრძელება სურს. ასევე დიდი დროა გასული მას შემდეგ, რაც ჩვენებურით თურქული „ერზუმსფორი" დაინტერესდა. ცოტა მოითმინეთ, ცოტაო და კიკნაძე თურქეთში ითამაშებსო, ასე პასუხობდნენ აქედან.

„დინამოს" ჩემპიონთა ლიგის, თავისთვის პირველსავე საკვალიფიკაციო ეტაპიდან გავარდნის შემდეგ კი, „ერზუმსფორმა" კვლავ შემოთვალა, კიკნაძე ჩვენთვის გვინდაო. არც ქართველებს ჰქონიათ რაიმე საწინააღმდეგო.

ჰოდა, გიორგიც რამდენიმე დღის წინ თავად გაემგზავრა ერზურუმს და თურქებსაც უფრო დაწვრილებით დაელაპარაკა პირად კონტრაქტზე. ახლა საბოლოო სიტყვა „დინამოზეა", კიკნაძეც სწორედ ამის გამო ჩამოსულა დედაქალაქში, მოწადინებულია დინამოელები თურქების სიტყვას დაათანხმოს.

„დინამო" თუ თურქების სიტყვას დათანხმდა, მაშინ კიკნაძე ზეგ ისევ უკან გაბრუნდება და... კონტრაქტი ფაქტობრივად მზადაა. ეგაა, გადამწყვეტი „დინამოს" სიტყვა ყოფილა.

კობა ინასარიძე

ხომერიკი ბათუმში

ლევან ხომერიკი

ფოტო კიკნაძის

არა, ლევან ხომერიკი მშობლიურ კლუბს კი არ დაბრუნებია, უბრალოდ...

ალბათ, გეცოდინებათ, თბილისის „დინამოს" თავდამსხმელი ლევან ხომერიკი ესპანეთში, წლეულს პრიმერადივიზიონში აღზევებულ „მალაგაში" რომ აპირებდა წასვლას.

ხომერიკი ესპანეთს მოსკოვის გავლით უნდა ჩასულიყო, მაგრამ თავდამსხმელს უკან მობრუნებამ მოუწია — კოჭის ტრავმა გაუმიზეზდა.

ფეხბურთელმა სწორედ ამის გამო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩიც კი გამოტოვა მშობლიური „ბათუმის" წინააღმდეგ. თუმცა, როგორც ჩანს, მას „დინამოსა" და საქართველოს დატოვება სერიოზულად გადაუწყვეტია.

იგი ახლა სამკურნალოდ და დასასვენებლად ბათუმში იმყოფება. სპეციალურ, ოპერაცია არ სჭირდება, ექიმებმა აბაზანები გამოუწერეს.

ხომერიკს პირნეიზე ჩასვლა კი ჩაეშალა, მაგრამ ესპანური „მალაგას" ვარიანტი კვლავ არსებობს, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად სწრაფად აღიდგენს ლევანი ჯანმრთელობას და სათამაშო ფორმას. ალბ, კლუბში გასასინჯად წასულს, მით უმეტეს, ესპანეთში, უვარჯიშებელს ვინ აიყვანს.

გიორგი ვაშაკიძე

ჩვენი გერმანელების ამბები

ბადრი დანელია

გერმანიის რეგიონალლიგაში რამდენიმე ქართველის კლუბმა აიღო სტარტი. ყველაზე კარგი შედეგი ჯერჯერობით კილის „ჰოლშტეინს" აქვს, რომლის კარსაც ნიკა ჩხეიძე იცავს. გუნდს სამი ტურის შემდეგ თამაში არ წაუგია — ერთი მოიგო და ორი ფრედ დაასრულა. „ჰოლშტეინი" ჩრდილოეთ რეგიონალლიგაში თამაშობს. ჩრდილოაღმოსავლეთის ლიგაში ორი ტურის შემდეგ ბადრი დანელიას „შტალს" მე-9 ადგილი უკავია, მე-13-ზე კი სტენდალის „ალტმარკი" იმყოფებოდა, რომლის ღირსებასაც ხვიჩა შუბითიძე იცავს. შარშან ამ გუნდში ზაზა დადუნაშვილიც თამაშობდა, წლეულს იგი ნორდჰაუზენის „ვაკერში" გამოდის.

სიმონ მენაბდე

სანამ ევროპა თამაშობს...

მარტო ვარჯიში არაფერია...

გუშინ ევროპაში საფეხბურთო დღე იყო, თუმცა ფეხბურთისთვის რომელია უქმე ცივილიზებულ ევროპაში?! ორი შესარჩევი და 17 ამხანაგური მატჩი ჩატარდა. ითამაშა თითქმის ყველამ, ვისაც არ ეზარებოდა და რაიმე ჰქონდა გასასწორებელ-შესასწავლი.

მოკლედ, უეფას წევრი 51 ქვეყნიდან გუშინ 37 ბურთაობდა. რიცხვი კენტი იმიტომ გამოვიდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩვენმა თანაჯგუფელმა საბერძნეთმა მეტოქედ ლათინოამერიკული სალვადორი აირჩია.

ვის არ უთამაშია გუშინ? ვის და ინგლისს, გერმანიას, იტალიას, შოტლანდიას, ირლანდიას, ბოსნიას, ლატვიას, მალტას, ლიხტენშტაინს, აზერბაიჯანს, ლუქსემბურგს და სან მარინოს. ამ სიას კი, რა თქმა უნდა, საქართველო აბოლოვებს.

ინგლისს, იტალიას და გერმანიას რა უჭირთ, თუ გუშინ არ ითამაშეს, სხვა დროს მეტოქის მოძიება გაუჭირდებათ, თუ რომელიმე ქვეყანა იუარებს მათთან ამხანაგურად გაჯიბრებას. თავის დროზე მათ იმდენი უბურთავიათ, ჩვენ, ქართველები, ალბათ, ვერასოდეს დავეწევით. მათი ნაკრებების თავკაცებს რაღა უჭირთ, ერთი დაძახება და გუნდში ყველანაირად მომზადებული პროფესიონალი მიუვა. მერე ორიოდ დღეს ტაქტიკაზე წაიმუშავებენ და ითამაშებენ კიდეც საკადრისად.

ინგლისი ბულგარეთს ვერ უგებს, ჩვენ ხომ მოგვიგიაო, იტყვის მავანი. გერმანიამ თურქეთთან წააგო და საერთოდ, გერმანული ფეხბურთი კრიზისშიაო, მოგახლის სხვა, ნეტა, საქართველოს ეროვნულ გუნდს ჰქონდეს გერმანელებისდარი კრიზისი და კარგა ხანი არაფერი გაგვიჭირდებოდა. იტალია ბელარუსთან ფრეს ძლივს აგორებს, ორი წლის წინ ეროვნულზეც ვერაფერი დაგვაკლესო, დაგიმტკიცებს მეოცნებე კაცი. იტალია მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია, არადა, იმ კაცის მადლიერი ვიქნები მუდამ, ვინც მეტყვის, მანამ არაფერი გეტკინოს, სანამ საქართველოს ნაკრები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი არ გახდებაო.

ნურც შოტლანდიას და ირლანდიას გავეტოლებით, ბურთის თამაში მათზე უკეთესად დღეს არ გვეხერხება. ლატვია და ბოსნია, ვითომ ამათ ვჯობივართ?! ნურას უკაცრავად, ლატვია არ იყო, რიგაში კუდით ქვა რომ გვასროლინა?! ბოსნიას ჯერ არ შევხვედრილვართ და თუ საქმეს ობიექტურად მივუდგებით, მაშინ არა მგონია, რამეში ვჯობდეთ.

ვინ დარჩა სამაგალითოდ? ვინ და მალტა, ლიხტენშტაინი, ლუქსემბურგი, სან მარინო და აზერბაიჯანი. ჩვენი მეზობლები კი ბურთაობენ თითქმის ნახევარი საუკუნე, მაგრამ ამით რა მოიგეს, დანარჩენებმა ხომ ორიოდ წელია, ფეხბურთი დააჭაშნიკეს.

ჰო მართლა, თურქეთი გამოგვრჩა, გუშინ თურქეთსაც არ უთამაშია, მაგრამ მათ საპატიო მიზეზიც გააჩნდათ. სამშაბათს მომხდარმა მიწისძვრამ რვაასამდე ადამიანი შეიწირა და ნორვეგიაში სათამაშოდ ჩასული თურქთა ეროვნული ნაკრებიც სასწრაფოდ სამშობლოში დაბრუნდა.

სამაგიეროდ ფხა გამოიჩინეს ნორვეგიელებმა, არც დრო დაკარგეს უქმად და არც ნაკრები მოაცდინეს, დატრიალდნენ და სახელდახელოდ, ერთ დღეში, სპარინგ-პარტნიორი გამოძებნეს.

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა რატომ არ ითამაშა გუშინ? რა საჭიროა, მათ ისედაც ყველაფერი იციან. ამიტომაც არიან შესაფერის ადგილზე ქვეჯგუფში.

რა აზრი აქვს ბოსკამპის, გინდათ სხვა უცხოელის ჩამოყვანას. თუ არ ითამაშე, არაფერი გამოვა. რაც არ უნდა ივარჯიშო, ჩვენი დაცვა ერთ თვეში ვერ აითვისებს ხაზზე თამაშს. ალექსიძეს მუდამ გაუჭირდება ფლანგის კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში ვერც თავდამსხმელები იკისრებენ ნახევარმცველობას.

ვარჯიში სხვაა და თამაში სხვა. რამდენჯერ გვინახავს, დილმის ბაზაზე თითქოს ყველაფერს აკეთებენ ჩვენი ბიჭები, მაგრამ უშუალოდ მატჩისას შებორკილად გამოიყურებიან.

ნაკრების ძირითადი ბირთვი ერთი თაობის მოთამაშეებისგან შედგება. მათ ერთად იმდენი უბურთავიათ, უსიტყვოდ უგებენ ერთმანეთსო. ამ თეორიის სიყალბე ეროვნული გუნდის ნებისმიერი მატჩისას მტკიცდება. ისინი ერთად მაშინ იყვნენ, როცა ჯერაც უწვერულები ფეხბურთის თამაშს იწყებდნენ. მას შემდეგ მათ შეეცვალათ ხასიათი, აზრი, ზნე-ჩვეულება. ნაკრების თამაშს რომ უყურებ, ნათლად გრძნობ, რომ მინდორზე 11 ინდივიდუალისტია, ეროვნულ ნაკრებს გუნდისა არაფერი სცხია.

სწორედ ამიტომ არის საჭირო ამხანაგური მატჩები, მაშინ უკეთ ჩანს კარგიც და ცუდიც. მაშინ ხარვეზებიც ადვილი გასასწორებელია.

ლეგიონერის გამოძახება წელიწადში შვიდჯერ შეგვიძლია და ლიმიტი ამხანაგურ მატჩებში თუ ამოვწურეთ, ოფიციალური ოხრად დაგვრჩებაო. ისედაც ოხრად არ დარჩა ადრინდელი და ახლანდელი შესარჩევი ეტაპები?! ჩვენი გუნდი მუდამ დებიუტანტის როლში არ გამოდის?!

მაინცდამაინც თემურ ქეცბაიას ნუ გამოვიძახებთ. თემურმა იცის თავისი საქმე, ის ყველაზე უფრო პროფესიონალია ქართველთა შორის, გამოცდილებას ვინ დაუწუნებს და იგი ამხანაგურის გარეშეც ყველაზე უკეთ გაირჯება მინდორზე. ქეცბაიასნაირი ერთი-ორი თუ მოგვეძებნება, თუმც არც მათ აწყენდათ ზედმეტი ბურთაობა.

ევროპა კი თამაშობს, სწავლობს, ოფლს ღვრის, წინ მიიწევს და რა გასაკვირია, რომ ვაგებთ. მოლდოვა, ლიტვა, სომხეთი, ფარერები, ანდორა, ესტონეთი. ესენიც პოულობენ სპარინგ-პარტნიორებს, თუ ისინი იპოვეს, ამას დიდი მნიშვნელობა როდი ენიჭება. ზედმეტად თავის შეწუხება იყო საჭირო, თორემ ერთი მეტოქე რაღა ქართველებისთვის დაილია.

წელიწადში სამჯერ ოფიციალურ მატჩში მონაწილეობამ საქმეს რომ ვერ უშველა, ხომ ფაქტია. ჰოდა, ვითამაშოთ ჩვენც, სანამ ფეხბურთი სულ დაგვავიწყდა.

მამუკა ძვანტალიანი

კარნევალე ბათუმში 3 წელს დარჩება

მამუკა დარჩიას ფოტო

„ბათუმსა“ და იტალიელ ჯანი კარნევალეს შორის სამწლიანი კონტრაქტი გაფორმდა — ამის შესახებ კლუბის დირექტორატმა განაცხადა. კონტრაქტის პირობები და თანხა, რომელსაც იტალიელი ამ სამი წლის განმავლობაში მიიღებს, გასაიდუმლოებულია. არაოფიციალური ინფორმაციით, კონტრაქტის ერთ-ერთი მოთხოვნაა, „ბათუმი“ საქართველოს ჩემპიონი გახდეს.

სიმონ მენაბდე

რეგიონული ლიგა თასით იწყებს

წლევანდელი საფეხბურთო სეზონი რომ ახლებური სისტემით ტარდება, აბა, ამას რა დიდი მიხვედრა უნდა.

პირველ ლიგაში ჩემპიონატი კი დაიწყო, მაგრამ რეგიონულ ლიგაში (ამ ეტაპზე ასე მოიხსენიებენ II ჯგუფს) მონაწილეობის მსურველ კლუბებს ჯერაც შემოაქვთ განაცხადები და საწევრო თანხა (5000 ლარი).

მსურველი კი, იცოცხლეთ, ბევრია. ამიტომ ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის მესვეურთ ჯერაც ვერ დაუდგენიათ, რამდენი გუნდი დაუშვან დასავლეთისა და აღმოსავლეთის „ა“ და „ბ“ ზონებში და კალენდარიც ვერ შეუდგენიათ.

თუმც ერთი კი გადაწყვეტილია, 27-28 აგვისტოს საქართველოს 1999-2000 წლების თასის გათამაშების პირველი ეტაპის მატჩები ჩატარდება, მასში რეგიონული ლიგის გუნდები თავიდანვე ჩაებმებიან და ამის მიხედვით დავადგენთ, როგორ განაწილდება კლუბები დასავლეთსა და აღმოსავლეთში.

XI ჩემპიონატი კი რეგიონულ ლიგაში სავარაუდოდ სექტემბერში დაიწყება.

გიორგი ვაშაკიძე

იბერია და მერანი განაჩენს ელიან

იმ შემთხვევაში, თუ საფეხბურთო მინდორი ან სტადიონი, რომელზეც კლუბი ატარებს საშინაო შეხვედრებს, არ შეესაბამება სფფ-ს მოთხოვნებს, მატჩები გადატანილი იქნება სხვა სტადიონებზე — ამონაწერი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის რეგლამენტიდან, პარაგრაფი 7, პუნქტი 7.4.

...და ასეც მოხდა. ფედერაციამ XI ეროვნული ჩემპიონატის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე დაადგინა — აეკრძალოს სამტრედიის „იბერიას“ და თბილისის „მერანს“ საკუთარ მოედანზე კალენდარული შეხვედრების ჩატარება. სფფ-ს საგანგებო კომისიამ სამტრედიის „ეროსი მანჯგალაძე“ სრულიად უვარგისად მიიჩნია, ავჭალაში მდებარე „სინათლის“ მესვეურთ კი გაფრთხილება აკმარა, თუმცა დაამატა, გუნდი მასპინძლობას ვერ გასწევსო.

ყოველივე ზემოთქმული საქმითაც დამტკიცდა. XI ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში „იბერიამ“ სამტრედიის ნაცვლად „მერანს“ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე უმასპინძლა.

ერთი სიტყვით, 29-30 აგვისტომდე (სწორედ ამ დღესაა დანიშნული მესამე ტური. მანამდე ორივეს სტუმრად უწევს თამაში) ორივე კლუბს საკმარისი დრო აქვს, საკუთარი სარბიელი წესრიგში მოიყვანოს, თუ არა და...

— როგორც სამტრედიაში, ისე „სინათლეზე“ ამ დღეებში საგანგებო კომისია გაემგზავრება, ერთხელ კიდევ შემოწმდება, არის თუ არა მზად სტადიონები ჩემპიონატის კალენდარული შეხვედრების ჩასატარებლად. თუ კომისიამ მიზანშეწონილად ჩათვალა, ბუნებრივია, „იბერიაც“ და „მერანიც“ მასპინძლობას ყოველგვარი შეფერხებების გარეშე გასწევენ, თუ არა, ისევ სხვაგან ითამაშებენ — გვითხრეს გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში.

რამდენადაც „სარბიელისთვის“ გახდა ცნობილი, თუ „იბერიამ“ სტადიონი ვერ მოაწესრიგა, მესამე ტურის მატჩში ქუთაისის „ტორპედოს“ სავარაუდოდ წყალტუბოში უმასპინძლებს. რაღა თბილისში წავიდეთ, წყალტუბო უფრო ახლოსააო, უთქვამთ სამტრედიელებს.

გიორგი ვაშაკიძე

წლეულსაც სამტრედიაში ჩატარდება „იბერია“ — „ტორპედო“?

ინგლისი, იტალია, თურქეთი — ახალი მისამართები?

ბადრი კვირიკაშვილის ფოტო

ლევან სილაგაძე

„სკონტოს" ქართველები გუშინაც შევაწუხეთ. თქმა არ უნდა, ძოძუაშვილის „ალ იტიჰადში" აბარგება რიგული კლუბის გვარიანი სახეცვლილება მოჰყვება. ინტერნეტმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე „სკონტოს" მეტოქე, ლონდონური „ჩელსი" ლევან სილაგაძით დაინტერესდა, იტალიურ „კალიარის" თვალი ზურაბ მენთეშაშვილზე უჭირავს, თურქულ „გალათასარაი" კი დავით ჩალაძის გადაბირებას ცდილობს.

სხვათა შორის, ჩალაძის თურქეთში შესაძლო გადასვლაზე ამას წინათაც იყო საუბარი, „ჩელსი" კი, როგორც ჩანს, სილაგაძით „სკონტოსთან" თამაშის შემდეგ დაინტერესდა. რაც შეეხება „კალიარის", ამ გუნდის სელექციონერი მენთეშაშვილს ევროპის თვრამეტწლამდელთა ჩემპიონატზეც აკვირდებოდა, თანაც სარდინიულ კლუბს ასეთი ტრადიცია აქვს — 19 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს ყიდულობს შემდგომ სერია A-ს ძლიერ გუნდებში გაყიდვის მიზნით — წლეულს „კალიარიმ" ერთბაშად ამ ასაკის 8 ფეხბურთელი შეიძინა და მოულოდნელი სულაც არ იქნება, თუ უდავოდ ნიჭიერ მეცხრესაც შეიმატებს.

ბუნებრივია, საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით ქართველ ფეხბურთელებს რიგაში შევეხმიანეთ. ლევან სილაგაძეს „ჩელსის" ხსენებაზე გაოცებისგან ხმა ეცვალა:

— ამის შესახებ არაფერი მსმენია, ეს ჩემთვის მოულოდნელია. აღარც კი ვიცი, რა ვქნა. „ალ იტიჰადში" წასვლას ისედაც არ ვჩქარობ, სხვა წინადადებებიც მინდა კარგად ავწონ-

ბადრი კვირიკაშვილის ფოტო

ზურაბ მენთეშაშვილი

ბადრი კვირიკაშვილის ფოტო

დავით ჩალაძე

დავწონო. ახლა ეს „ჩელსი". არც კი ვიცი, რა გითხრათ, ღმერთმა ქნას, ასეც მოხდეს. ჩემ ტრანსფერთან დაკავშირებით ჯერჯერობით კლუბის ხელმძღვანელობასთან არ მისაუბრია.

დაახლოებით იგივე გვითხრა ზურაბ მენთეშაშვილმაც — „კალიარის" შესახებ პირველად თქვენგან გავიგე. ისე კი ვიცი, რომ ჩემი მენეჯერი სერიოზულ უცხოურ კლუბთან აწარმოებს მოლაპარაკებებს. ვფიქრობ, ყველაფერი სულ მალე გაირკვევა. ისე, „კალიარის" საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

თანაგუნდელთაგან განსხვავებით, დავით ჩალაძე არ გააოცა ჩვენმა ცნობამ.

— რამდენიმე დღის წინ კლუბის პრეზიდენტი თავად მელაპარაკა „გალათასარაის" შესახებ. მეტსაც გეტყვით, რამდენადაც ვიცი, ჩემით „ბეშიქთაშიც" არის დაინტერესებული, მაგრამ „გალათასარაი" გაცილებით კარგი ვარიანტია. გეცოდინებათ, ფაქტობრივად გამიცდა გასული სეზონი, ახლა მის ანაზღაურებას ვცდილობ და, სიმართლე გითხრათ, ამით უფრო ვარ დაკავებული. რაც შეეხება ჩემს თურქეთში წასვლას, ყოველივე საბოლოოდ 25 აგვისტოსთვის გაირკვევა.

ერთი სიტყვით, ასეა, რიგელი ქართველები ახალ კლუბებს ეძებენ, „სკონტო" კი სახეცვლილების მოლოდინშია.

პაატა ძვანტალიანი

ლევადია ტორპედოს გაეჯიბრა

ლინფილდი მოცდა

უეფას თასის შესარჩევი ეტაპის პირველ წრეში ქუთაისის ტორპედოს" მეტოქის, ესტონური „ლანტანას" საქმე მთლად წასულა ხელიდან. ქართველებისგან 5:0-ით სირცხვილნაჭამი ტალინელები 15 აგვისტოს ქვეყნის ჩემპიონატის მე-18 ტურში გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერ-მაარდუს „ლევადიას" ესტუმრნენ და... მასპინძლებმა ქუთაისელთა მიღწევის გამეორება სცადეს, მაგრამ სტუმართა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მრისხანე მეტოქეს არას დიდებით მეხუთე გოლი არ გაატანინეს და მხოლოდ 4:0 აკმარეს. ისე უეფას თასზე მონაწილე „ლევადიაც" ვერ არის დალხინებული. პირველი წრის პირველ მატჩში მაარდუელები რუმინეთში სტუმრობისას „სტიაუასთან" დამარცხდნენ — 0:3.

ლევადია	17	14	3	0	45:7	44
ფლორა	15	8	5	2	41:17	29
ტულევიკი	16	8	3	5	36:21	27
ტრანსი	16	5	5	6	24:20	20
ტალინი	17	3	7	7	9:18	18
ლეილე	17	3	6	8	17:30	15
ლანტანა	18	3	6	9	18:38	15
იოჰვი	16	2	5	9	6:45	11

ახლა რაც შეეხება თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქეს, ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს". მოგეხსენებათ, ბელფასტელები ჩვენს ქვეყანას მატჩამდე 3 დღით ადრე ლონდონი-თბილისის თვითმფრინავით ესტუმრნენ. მათ ეს ფაქტი უფულობით ახსნეს — ჩარტერის საშუალება არ გვქონდაო. 12 აგვისტოს შეხვედრის შემდეგ „ლინფილდი" კიდევ ერთი დღით შეყოვნდა საქართველოში და შინ 14-ში გაემგზავრა. სწორედ ამ დღეს ჩრდილოეთ ირლანდიაში ახალი სეზონი გაჩაღდა, ბუნებრივია, „ლინფილდის" გარეშე. „ლოკომოტივის" მეტოქეს პირველი ტურის შეხვედრა გაუცდა „კრუზეიდერსთან". მეორე ტურში კი ბელფასტელები „კოლრეინს" უმასპინძლებენ. მატჩი 21 აგვისტოს გაიმართება.

ხვიჩა სანიძიძე

კახა კაჭარავას მომავალი გაურკვეველია

მას შემდეგ, რაც მეორე ბუნდესლიგის „ვალდჰოფმა" ქართველი ვეტერანი კახა კაჭარავა ტრანსფერზე დააყენა, იგი უკლუბოდაა. კაჭარავა აღარ დაუბრუნდა „ჰომბურგს", საიდანაც „ვალდჰოფში" მივიდა. ბოლო ხანს კახის მიმართ დრეზდენის „დინამო" იჩენდა ინტერესს. სახელოვანი კლუბი ახლა უმძიმეს კრიზისშია და ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონლიგაში ასპარეზობს. კაჭარავამ ორი საკონტროლო მატჩი ითამაშა „დინამოს" რიგებში, ორივეში თითო გოლი გაიტანა, თუმცა დრეზდენელებმა ქართველი მაინც არ აიყვანეს.

სიმონ მენაბდე

სოკოლში ხუთ მღვდელს იწვევენ

რუსული შევარდენი ქართული კლანჭებით

— **სამი** ღვთისმსახურის კი არა, აუცილებლად ხუთის მოწვევაზე უნდა ვიფიქროთ — ამბობდა სარატოვის „სოკოლის" ქართველი პრეზიდენტი რომან ფიფია გუნდის გაავებული გულშემატკივრებთან საუბრისას — კლუბის თავს ბოროტი ძალები დასტრიალებენ. სასულიერო პირებს უნდა მივმართოთ და მოედნის, ბაზის, მთლიანად გუნდისა და სტადიონის კურთხევა ვთხოვოთ... რაღაც საქმე არა და არ აეწყო. ამას ძლიერ განვიცდი. მერწმუნეთ, თანხებთან ერთად მთელი გული და სული ჩავდე „სოკოლში", მაგრამ შედეგი ვერ მივიღე. ეს უსამართლობაა. არავის გამტყუნება არ მინდა, თქვენც მადლობას მოგახსენებთ თანადგომისთვის.

დიალოგმა დაახლოებით ერთ საათს გასტანა. რუსეთის პირველი დივიზიონის 26-ე ტურში „სოკოლი" შინ 1:3 დამარცხდა პერმის „ამკართან". მატჩის შემდეგ მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ ტკაჩენკომ გადადგომა ითხოვა. სწორედ ამან ააღელვა სარატოველ ქომაგთა ერთი ჯგუფი, რომელმაც ბაზისკენ ავტობუსით მიმავალ გუნდს გზა გადაულობა და მის პრეზიდენტთან შეხვედრა ისურვა.

— თუ ლეონიდ ივანიჩი მიღებულ გადაწყვეტილებას შეცვლის, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუ არა, მეც მასთან ერთად წავალ — ამბობდა ფიფია, რომელიც სარატოვის გუბერნიის პურპროდუქტებით მთავარი მომმარაგებელი ყოფილა. „სოკოლის" ქართველი პრეზიდენტი კლუბის გარდა სათავეში უდგას ფირმა „ჰოლდინგის" ერთ-ერთ კომპანიას — „ვოლგისპირეთის ხორბალს".

სარატოველთა გუნდმა სეზონი წარმატებულად დაიწყო. „სოკოლი" ლიდერთა სამეულში დამკვიდრდა და უმაღლეს დივიზიონში აღზევებაზე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებდა. თუმცა ბოლო რამდენიმე ტურია, კლუბს კრიზისული პერიოდი დაუდგა. იგი ნელ-ნელა თმობს პოზიციას.

ქართველ გულშემატკივრებს კარგად მოგეხსენებათ, რომ „სოკოლში" სამი ჩვენებური თამაშობს — მიხეილ ჯიშკარიანი და ძმები ზვიად და გიზო ჯელაძეები. ეს უკანასკნელი სოჭის „ჟემჩუჟინადან" დაბრუნდა სარატოვში პირველი წრის შემდეგ. მათ შესახებ „სარბიელი" დროდადრო გაწვდიდათ ინფორმაციას. მიხეილ ჯიშკარიანი ხომ პირველი დივიზიონის ბომბარდირთა სამეულშია, ზვიად ჯელაძე კი საუკეთესო ლეგიონერთა სიმბოლურ ნაკრებში მოახვედრეს გაზეთ „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტებმა. სამწუხაროდ, რუსული სპორტული პრესის ფურცლებზე ქართველ ფეხბურთელთა შესახებ მხოლოდ კარგ ამბებს ვერ ამოიკითხავთ. ჩვენებურთა „საგმირო" ქცევაზე, რომელიც სწორედ „ამკართან" მატჩში აღინიშნა, „სპორტ-ექსპრესი" დაწვრილებით მოგვითხრობს:

სარბიელის არქივიდან

მიხეილ ჯიშკარიანი

„პირველი ტაიმი მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმც მსაჯის მიერ დამატებულ ორწუთიან მონაკვეთში ვნებათა ღელვამ იძალა. საჯარიმოში კარგი პოზიციის დაკავებისთვის მებრძოლნი — ზვიად ჯელაძე და პერმელი გერაშჩენკო წაკინკლავდნენ. ინციდენტის აღმოფხვრას სამი წუთი დასჭირდა. გერაშჩენკომ აშკარად უკნიდან უბიძგა თავის მეურვეს, ამიტომ მასთან გაავებით მივარდა ვოლგისპირელთა კაპიტანი მიხეილ ჯიშკარიანი... ამ უკანასკნელს წითელი ბარათი აუფრიალეს. ყვითელი ბარათით დაისაჯა უმცროსი ჯელაძე, რომელიც ძმის დასახმარებლად შეიჭრა მოედანზე. არადა, გიზო სათადარიგოთა სკამზე იყო გამწესებული. გასახდელისკენ ნაადრევად მიაბრძანეს გერაშჩენკოც. მან, როგორც ჩანს, მალე შეიგნო, რომ უმჯობესი იყო, გაავებულ ოპონენტებს გასცლოდა. სასწრაფოდ შხაპის მიღება სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი იყო."

მეორე ნახევარში სტუმრებს აშკარად უჯობნიათ მასპინძლებისთვის. პერმელებმა სამი უპასუხო გოლი გაუტანეს სარატოველებს და 3:1 იმარჯვეს. ემოციები არც შეხვედრის მიწურულს ჩამცხრალა. 81-ე წუთზე მსაჯმა კლიუჩნიკოვმა პირველ ტაიმში გაფრთხილებული „სოკოლის" მცველი მუსინიც გააძევა.

ისე, უპრიანი იქნება, რამდენიმე სიტყვა მსაჯზეც ვთქვათ. დონის როსტოველი იური კლიუჩნიკოვი ახალგაზრდობაში „სოკოლის" ღირსებას იცავდა. მისი მშობლების ამბავს თუ იკითხავთ, ნუ იტყვით და თურმე ისინი სარატოვში ცხოვრობენ და თანაც „სოკოლის" მეკარე ზვიაგინის მეზობლად. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ კლიუჩნიკოვმა პერმელი ფეხბურთელის ხელზე ბურთის მოხვედრა განზრახ ხელით თამაშად ჩათვალა და თავისი ყოფილი გუნდის სასარგებლოდ პენალტი დანიშნა. ეს მომენტი მატჩის 24-ე წუთზე მოხდა. თერთმეტმეტრიანის რეალიზება „სოკოლის" გოლეადორმა მიხეილ ჯიშკარიანმა ითავა და სარატოველები დააწინაურა. მერე რაც მოხდა, ამის შესახებ უკვე გითხარით.

დაბოლოს, გუშინწინ რუსეთის საფეხბურთო კავშირში საკონტროლო სადისციპლინო კომიტეტის სხდომა ჩატარდა. შეკრებილებმა „სოკოლი" — „ამკარის" შეხვედრის თაობაზეც იმსჯელეს. ფეხბურთელთა უწესოდ მოქცევისთვის ორივე გუნდი ხუთ-ხუთი ათასი მანეთით (200-200 დოლარი) დააჯარიმეს. სარატოველი მუსინი შვიდმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს. პერმელი გერაშჩენკო და „სოკოლის" კაპიტანი მიხეილ ჯიშკარიანი კი პირველი დივიზიონის გათამაშებას ხუთ-ხუთი თამაშით მოკვეთეს.

ხვიჩა სანიძიძე



ზეპ ბლატერი ლორენსო სანსს ელის

პრეზიდენტი პრეზიდენტთან

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა განაცხადა, ამ დღეებში ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს შევხვდები და სხვადასხვა საკითხზე ვიმსჯელებთო.

ესპანურ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც სანსი ბლატერთან ორ საკითხზე საუბარს აპირებს. პირველია კლუბების შემოსავლები ევროტურნირების მატჩების ტრანსლაციებიდან, მეორე კი ფეხბურთელთა ნაკრებში გაშვება-არგაშვების დაუსრულებელი პრობლემა.

სანსი ბლატერს პ14 პრეზიდენტის რანგში შეხვდება. შეგახსენებთ, რომ პ14 ევროპის თოთხმეტი უდიდესი კლუბის გაერთიანებაა, რომელშიც ისეთი გუნდები შედიან, როგორიცაა „მანჩესტერ იუნაიტედი“, „ბარსელონა“, „რეალი“, „მილანი“, „იუვენტუსი“, „ბაიერნი“ და სხვა.

ივნისში, პ14-ის ბოლო შეხვედრაზე, კლუბების წარმომადგენლებმა ძირითადად ამ ორი საკითხის ფიფაში განხილვა მოიწადინეს და სანსიც ამ მისიას შეასრულებს.

კოტე ვაიტაძე

ოუენი სექტემბერში დაბრუნდება

ინგლისის ნაკრებისა და „ლივერპულის“ თავდამსხმელი მაიკლ ოუენი დღეიდან მთელი დატვირთვით ივარჯიშებს.

აპრილში ყმაწვილკაცმა ბარძაყის ტრავმა მიიღო და მას შემდეგ ხეირიანად არც კი უვარჯიშია. იმ მატჩში „ლივერპულმა“ „ლიდს იუნაიტედის“ დამარცხება ვერ შეძლო — თამაში ფრედ, 0:0 დასრულდა.

„ლივერპულის“ კუთვნილ „მელვუდის“ საწვრთნელ ბაზაზე ოუენი, სხვა ფეხბურთელებისგან განსხვავებით, საგანგებოდ მისთვის შედგენილი პროგრამით ვარჯიშობდა, ახლა კი თანაგუნდელებს შეუერთდება.

— ყველაფერი კარგადაა და ახლა ძალმიძს სრულად ვარჯიში. ფეხბურთის თამაში მომენატრა — განუცხადა ოუენმა ჟურნალისტებს.

მიუხედავად იმისა, რომ მაიკლ ოუენი დღეიდან ძველებურად ივარჯიშებს, „ლივერპულის“ ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე აცხადებს, რომ თავდამსხმელს ძირითადში დაყენებას ჯერ არ უპირებს. მწვრთნელის თქმით, ოუენის პრემიერლიგაში დაბრუნება 11 სექტემბერს, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მატჩში მოხდება. მაიკლ ოუენი ვერც ნაკრებში ითამაშებს — ინგლისს სექტემბრის პირველ რიცხვებში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ორი შეხვედრა ელის ლუქსემბურგთან და პოლონეთთან.

ირაკლი ილაშვილი

ჰოდლი და ფერგიუსონი ცუდები ყოფილან

პოლ გესქოინი წიგნს წერს

ისევ ფერგიუსონის მოგონებებზე ცნობილი ინგლისელი ფეხბურთელის, პოლ გესქოინის მრჩეველმა მელ შტეინმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელს იმ თავს გასცა პასუხი, რომელშიც სერ ალექსი 1988 წელს გესქოინის „ნიუკასლიდან“ „ტოტენჰემში“ გადასვლის ამბავს აღწერს.

მემუარები სათაურით „საკუთარი ცხოვრების წვრთნა“, წიგნად ჯერ არ გამოსულა. მას გაზეთ „ტაიმსი“ თავებად ბეჭდავს, ხოლო BBC-ს რადიო კითხულობს. სწორედ რადიოდან შეიტყო ინგლისურმა საზოგადოებრიობამ, რომ „ტოტენჰემს“, გაზას გადაბირებისთვის ბრძოლაში „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ რომ ეჯობნა, მოთამაშის მშობლებისთვის რაღაც სატყუარი მოუგონებია. ფერგიუსონის ვერსიით გესქოინს „ოლდ ტრეფორდზე“ გადასვლის პირობა ჰქონდა დადებული, მაგრამ პირობა გატყდა. იმავე თავში შოტლანდიელი რაინდი თავად შტეინსაც აკრიტიკებს.

შტეინმა, როგორც მოგახსენეთ, პასუხი არ დააგვიანა, თუმცა, კიდევ უფრო მკაფიო პასუხის გაცემას გესქოინის იმ ავტობიოგრაფიით დაპირდა, გაისად რომ უნდა გამოქვეყნდეს.

„ფერგიუსონის მოგონებებში მნიშვნელოვანი უზუსტობებია დაშვებული, მაგრამ მათზე დაწვრილებით მსჯელობას ამჯერად არ ვაპირებ, რადგან მალე გაზას წიგნი გამოვა და ყველაფერი იქ იქნება აღწერილი. ნაწყვეტში, რომელიც მე წავიკითხე, ძალიან ბევრი სიცრუეა“ — განაცხადა შტეინმა.

მრჩეველს მიაჩნია, რომ ფერგიუსონს, სანამ მოქმედი მწვრთნელია, არ მართებდა მოთამაშეებთან გარიგებებისა და სხვა საქმეთა დეტალების გამომზეურება. შტეინმა დასძინა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვთრნელი ისეთივე ცუდი პიროვნებაა, როგორც ინგლისის ნაკრების თავკაცი, გლენ ჰოდლი გახლავთ. ჰოდლმა ხომ საფრანგეთის 1998 წლის მსოფლიო პირველობის შემდეგ გამოსცა წიგნი, სადაც დაწვრილებით აღწერა გაზას გამძვინვარების სცენა. ესპანეთის ერთ-ერთ სასტუმროში, როდესაც ფეხბურთელს გამოუცხადეს, რომ ჩემპიონატის განაცხადში არ შეჰყავთ.

„როდესაც მწვრთნელები ასე იქცევიან, ძალიან სამწუხაროა“ — ცხოვრებაში ხდება რაღაცეები, რაც არ უნდა გახმაურდეს. ეს არც ჰოდლს სცოდნია და არც ფერგიუსონს“ — დააგვირგვინა გესქოინის წარმომადგენელმა.

ფეხბურთის რუკასთან

არგენტინელმა თავდამსხმელმა ესტებან ფუენტესმა ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „დერბი ქაუნთისთან“ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ინგლისელებმა 26 წლის ფუენტესის გუნდს, „კოლონ დე სანტა ფეს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 2,5 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი ემანუელ პეტი, რომელიც „სანდერლენდთან“ 0:0 დასრულებულ შეხვედრაში დაშავდა, ლონდონის „არსენალის“ ექიმებმა კიდევ ერთხელ შეამოწმეს. მათი თქმით, პეტის ტრავმა არც ისე მძიმეა, როგორც თავიდან ჩანდა. ფეხბურთელი დაახლოებით ორ კვირას იმკურნალებს და მერე კლუბს დაუბრუნდება. ტრავმის გამო პეტიმ ნაკრების გუშინდელი ამხანაგური შეხვედრა ჩრდილოეთ ირლანდიის წინააღმდეგ გამოტოვა.

იტალიელი ბენიტო კარბონე აცხადებს, ბირმინგემის „ასტონ ვილას“ ვუნდივარო. შეგახსენებთ, რომ კარბონე მეორე ინგლისური კლუბის, „შეფილდ უენსდის“ საკუთრებაა. იტალიელმა თავდამსხმელმა ზემოხსენებული მიზეზის გამო შეფილდელებს ახალ კონტრაქტზე უარი განუცხადა. კარბონემ გაზეთ „მირორს“ უთხრა, უახლოეს მომავალში „ასტონ ვილასთან“ ხელშეკრულების საკითხებს შევათანხმებ და ბირმინგემში გადავბარგდებიო.

საფრანგეთის ერთ-ერთი უძლიერესი კლუბის, „მონაკოს“ ჩადელმა ფეხბურთელმა იაფეტ ნდორამმა, რომელიც ორი კვირაა, ავადმყოფობს, კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 33 წლის მოთამაშემ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც ექიმებმა უთხრეს, შენი მტკივანი მუხლი სრულიად აღარასოდეს განიკურნებაო. შეგახსენებთ, რომ იაფეტ ნდორამი 1995 წელს „ნანტის“ შემადგენლობაში საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. 1995 წელს, ლიბერიელი ჟორჟ ვეას შემდეგ, ნდორამი აფრიკის მეორე საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს.

ჩემი ადგილი სცენაზეაო

ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი იან რაიტი, რომელიც ფეხბურთიდან ამ სეზონის მიწურულს აპირებს წასვლას, მსახიობობაზე ოცნებობს.

35 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ახლა ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედის“ მოთამაშედ ითვლება, საქვეყნოდ ცნობილ გაზეთ „სანს“ განუცხადა, ფეხბურთს მალე დავანებებ თავს, მსახიობი უნდა გავხდეო. შეგახსენებთ, რომ რაიტი გამოცდილი ტელეწამყვანია — იგი შაბათ-კვირაობით ხშირად უძღვებოდა გასართობ გადაცემებს.

რაიტი ფიქრობს, რომ მას მსახიობობა არ გაუჭირდება:

— მოედანზე მუდამ ვცდილობდი, მაყურებლები გამემხიარულებინა. ასე რომ, სცენაზე არ გამიჭირდება. რა თქმა უნდა, იმ გრძნობას, გოლის გატანისას რომ გეუფლება, ვერაფერი შეედრება, მაგრამ რა ვქნათ, მომიწევს ფეხბურთთან განშორება. ცხოვრება გრძელდება, დროა, სხვა სფეროში ვცადო ძალა.

ცნობისთვის: იან რაიტს ინგლისის ნაკრებში 33-ჯერ უთამაშია, მათ შორის, თბილისშიც. რაც შეეხება პრემიერლიგას, იმ შვიდი წლის მანძილზე, რაც შავკანიანმა ფორვარდმა ლონდონის „არსენალში“ გაატარა, მან 212 მატჩი ჩაატარა და 128 გოლი შეაგდო. რაიტი „არსენალის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

კოტე ვაიტაძე

Coca-Cola FIFA WORLD RANKING

გამოქვეყნდა ფიფას ახალი რეიტინგი. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით საფეხბურთო ციებ-ცხელება განელებულია, კოეფიციენტთა ცხრილში გვარიანი ცვლილებებია. ასე მაგალითად. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გერმანია კონფედერაციათა თასზე შერცხვენის შემდეგ ჩამოქვეითდა.

საქართველოს ნაკრები, სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით დასვენებას რომ ამჯობინებს, კვლავ დაქვეითდა — ამჯერად 64-ე ადგილამდე.

ფიფას მოშავალი რეიტინგი ერთ თვეში გამოქვეყნდება.

1.	ბრაზილია	842
2.	საფრანგეთი	755
3.	ჩეხეთი	753
4.	იტალია	720
5.	გერმანია	718
6.	არგენტინა	715
7.	ესპანეთი	713
8.	ხორვატია	712
9.	მექსიკა	709
10.	რუმინეთი	694
11.	ნორვეგია	689
12.	პორტუგალია	679
13.	ჰოლანდია	669
14.	ინგლისი	665
15.	შვედეთი	664
16.	პარაგვაი	647
17.	დანია	627
	კოლუმბია	627
19.	მაროკო	625
20.	ავსტრია	623
	აშშ	623
22.	იუგოსლავია	620
23.	ჩილე	618
24.	სლოვაკეთი	612
25.	უკრაინა	610
26.	ისრაელი	609
27.	პოლონეთი	606
28.	რუსეთი	598
29.	ტუნისი	594
30.	ს. აფრიკა	593
31.	ზამბია	590
32.	შოტლანდია	588
33.	ბელგია	581
34.	ბულგარეთი	568
35.	ეგვიპტე	567
	საუდეთი	567
37.	საბერძნეთი	566
38.	ირლანდია	564
39.	კორეა	561
40.	თურქეთი	558
41.	პერუ	550
42.	იამაიკა	549
43.	ურუგვაი	547
	განა	547
45.	კოტ დივუარი	539
	იაპონია	539
47.	ლიტვა	533
48.	ისლანდია	532
49.	ტრინიდადი	530
	უნგრეთი	530
51.	ირანი	526
52.	ბოლივია	521
53.	კამერუნი	519
54.	შვეიცარია	513
55.	ქუვეითი	509
56.	ანგოლა	507
57.	ეკვადორი	503
58.	ჩინეთი	499
59.	ზაირი	497
	ფინეთი	497
61.	სლოვენია	494
	ავსტრალია	494
63.	ლატვია	490
64.	საამიროები	487
	საქართველო	487
66.	მაკედონია	482
67.	კვიპროსი	481
68.	კოსტა რიკა	478
69.	ტაილანდი	465
70.	ზიმბაბვე	460
71.	ჩრდ. ირლანდია	459
72.	მალი	454
	ჰონდურასი	454
74.	გვატემალა	453
	ნიგერია	453
76.	გაბონი	447
77.	ალჟირი	444
78.	ბურკინა ფასო	443
79.	კუბა	437
80.	ყატარი	433
	ნამიბია	433
82.	გვინეა	431
83.	ტოგო	430
84.	უზბეკეთი	428
85.	სენეგალი	426
86.	უელსი	416
87.	ომანია	412
88.	ესტონეთი	411
89.	სომხეთი	409
90.	ბოსნია	408
91.	სალვადორი	405
92.	მოზამბიკი	403
	ბელარუსი	403
94.	ლიბერია	399
95.	ალბანეთი	396
96.	კონგო	394
97.	კანადა	385
98.	სინგაპური	383
99.	კენია	380
100.	მოლდოვა	372

REUTERS იოანეს ბურგიდან

ტარიბო ვესტმა (№13) ეფან ეკოკუ არ გააცარა

მანდელა XI 2:2 ფიფა

1:0 ბვალია (51), 1:1 ჰესლერი (52), 1:2 მორავჩიკი (63), 2:2 ბვალია (89)

მანდელა XI: ოკპარა (ბალუი 46), რადებე, ფიში, ამანკვა (მასილელა 64), მბიმო, მნგომენი (ლეკოელეა 82), ფეშამბა, ბვალია, ბაბანგიდა, მასინგა, ეკოკუ (ბოსამი 53, მაიო 89)

ფიფას ნაკრები: კამპოსი (სონგო 46, ბრეიტონი 86), ალ დავუდი (ბიორნებიუ 46), აგუსი, ბრანკო (სუარესი 46), ვესტი, კარემბუ, დუნგა, ჰესლერი, ურტადო, პაპენი (მორავჩიკი 46), აბედი პელე (მუსტაფა ჰაჯი 46)

მატჩი სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტ ნელსონ მანდელას პატივსაცემად გაიმართა.

ცნობილმა ზამბიელმა თავდამსხმელმა, ვეტერანმა კალუშა ბვალიამ მატჩის მიწურულს მეორე გოლი გაიტანა და შეხვედრის ფრედ დასრულებასაც თავისთავად შეუწყო ხელი. ზამბიელმა ფორვარდმა საჯარიმო დარტყმა გამოიყენა.

მექსიკაში მოთამაშე ბვალიამ შეხვედრის ბოლო გოლთან ერთად პირველიც მიითვალა — 51-ე წუთზე ფილ მასინგას პასის შემდეგ მსოფლიოს ნაკრების მეკარეს, კამერუნელ ჟაკ სონგოს ბურთი თავზე გადაუგდო.

ფიფას ნაკრებმა უმალ გააყაიმა — ინგლისის „ლივერპულში“ მოთამაშე სტივ ბიორნებიუმ გერმანელ ტომას ჰესლერს ზუსტი პასი მიაწოდა და ევროპის 1992 წლის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელმაც გაათანაბრა.

გერმანელი მოთამაშე ფიფას ნაკრების სული და გული გახლდათ. მსოფლიოს ნაკრებმა მეორე ბურთი სწორედ მისი აქტიურობის წყალობით გაიტანა — ლუბომირ მორავჩიკმა ჰესლერის საგოლე გადაცემა გამოიყენა.

მერე ბვალიას გოლი იყო.

მატჩს, რომელიც იოჰანესბურგში შედგა, 35 ათასი ქომაგი ადევნებდა თვალს.

EURO 2000
ახალგაზრდული ნაკრებები

UNDER-21 Championship

II ჯგუფი
სლოვენია 3:1 ალბანეთი

1:0 პეკიჩი (22), 2:0 ლავრიკი (56), 3:0 პეკიჩი (59), 3:1 არბერი (71)

საბერძნეთი	7	5	2	0	21:6	17
ნორვეგია	7	5	1	1	15:5	16
სლოვენია	7	1	4	2	8:9	7
საქართველო	7	1	3	3	5:9	6
ალბანეთი	7	1	2	4	5:15	5
ლატვია	7	1	2	4	3:13	5

3 სექტემბერი: ნორვეგია — საბერძნეთი; ალბანეთი — ლატვია

VIII ჯგუფი
იუგოსლავია 2:6 ხორვატია

0:1 სერიჩი (5), 1:1 ივიჩი (33), 1:2 მიკიჩი (50), 2:2 ილიჩი (52), 2:3 დერანია (65), 2:4, 2:5 სოკოტა (68, 85), 2:6 მიკიჩი (90)

ხორვატია	5	4	1	0	17:4	13
იუგოსლავია	4	2	1	1	15:8	7
ირლანდია	4	1	3	0	5:4	6
მაკედონია	5	1	1	3	2:11	4
მალტა	6	1	0	5	7:19	3

21 აგვისტო: ხორვატია — მალტა

IX ჯგუფი
ესტონეთი 1:7 ბელგია

0:1 რუსელი (51), 0:2 სონკი (58), 1:2 ალასი (67), 1:3 ვან დენდერი (73), 1:4 სონკი (74), 1:5, 1:6 რუსელი (85, 87), 1:7 რეგალი (90)

ჩეხეთი	7	6	1	0	13:2	19
ბელგია	6	4	1	1	16:5	13
ლიტვა	7	4	1	2	12:4	13
შოტლანდია	6	1	2	3	6:8	5
ბოსნია	5	1	1	3	4:12	4
ესტონეთი	7	0	0	7	4:24	0

3 სექტემბერი: ბელგია — ესტონეთი; ლიტვა — ჩეხეთი

დანია

IV ტური. ოლბორგი — სილკებორგი 2:1; ოდენსე — ვიბორგი 1:1; ვაილე — აკადემისკი 0:0; ლიუნგბიუ — ჰერფიოლგე 1:2; ბრონდბიუ — ესბიერგი 3:1; ორჰუსი — კოპენჰაგენი 1:0

ბრონდბიუ	4	4	0	0	9:1	12
აკადემისკი	4	3	1	0	7:0	10
ჰერფიოლგე	4	3	1	0	7:3	10
ოლბორგი	4	3	0	1	7:4	9
ორჰუსი	4	1	2	1	3:3	5
ვიბორგი	4	1	2	1	4:5	5
სილკებორგი	4	1	1	2	5:3	4
ესბიერგი	4	1	1	2	5:9	4
ლიუნგბიუ	4	1	0	3	6:7	3
ვაილე	4	0	2	2	1:9	2
კოპენჰაგენი	4	0	1	3	1:5	1
ოდენსე	4	0	1	3	1:7	1

თორმეტმილიონიანი



ბრაზილიელი მცველი სერჟინიო იტალიაში ჩავიდა თავის ახალ კლუბთან, „მილანთან“. შეგახსენებთ, რომ იტალიის ჩემპიონმა „მილანმა“ სერჟინიოს გუნდს, „სან პაულუს“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონი დოლარი გადაუხადა. 28 წლის ბრაზილიელმა მილანელებთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ვხვდები, რომ კლუბის შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრება ძალიან გამიჭირდება, მაგრამ საამისოდ არაფერს დავიშურებ. „მილანი“ შესანიშნავი გუნდია, ძლიერი ფეხბურთელები ჰყავს, თუმცა სათადარიგოთა შორის ყოფნას ვერ შევეგუები“ — განაცხადა სერჟინიომ. იტალიელი სპეციალისტების აზრით, „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად ბრაზილიელს პაოლო მალდინისთან მოუწევს ბრძოლა.

ბერლუსკონის თასი

მილანი 0:1 იუვენტუსი

0:1 დელ პიერო (28)

მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ბა, ალბერტინი, ტონეტო (ამბროზინი 63), გატუზო, ლეონარდო (ბირჰოფი 46), შევჩენკო (განცი 79), ვეა (ორლანდინი 63)

იუვენტუსი: რამპულა, ბირინდელი, ფერარა, იულიანო, ძამბროტა, კონტე, ოლისე, ტაკინარდი, ბაკინი (ზიდანი 46), დელ პიერო (ესნაიდერი 68), ინძაგი (რიგონი 68)

გაფრთხილება: დელ პიერო, ტაკინარდი, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო

მსაჯი: ჩეზარი

ბერლუსკონის თასის რიგით მეცხრე გათამაშება „იუვენტუსმა“ ალესანდრო დელ პიეროს გოლის წყალობით მოიგო.

მილანელი გულშემატკივრები კარლო ანჩელოტის „სან სიროზე“ დაბრუნებას ოვაციით შეხვდნენ. შეგახსენებთ, რომ „მილანის“ დიდების წლებში ანჩელოტი ამ კლუბის უცვლელი წევრი გახლდათ.

შეხვედრის პირველი წუთები მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, რაც მოსალოდნელიც იყო. აქტიურობდა უკრაინელი ანდრეი შევჩენკო. მილანელთა პირველ შეტევებს სწორედ შევჩენკო ასრულებდა — ჯერ იყო და მიქელანჯელო რამპულამ აუღო დარტყმა, შემდეგ კი ბურთი ოდნავ გადასცდა „იუვენტუსის“ კარს.

„იუვენტუსი“ მალე მოვიდა გონს და შეუტია — მალე აბიატის ინძაგის შეტევების შეჩერება უხდება. მე-14 წუთზე კი მასპინძლები ალესანდრო დელ პიეროს წინააღმდეგ უხეშობენ და ძალიან სახიფათო ჯარიმაც ინიშნება. დაზარალებულის დარტყმა ცოცხალ კედელს ხვდება.

28-ე ზუთზე ანგარიში გაიხსნა და, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, მატჩის ერთადერთი გოლიც გავიდა — ალესანდრო დელ პიერომ ფილიპო ინძაგის მიაწოდა, „სუპერპიპომ“ უკანვე დაუბრუნა და დელ პიერომაც უძლიერესი დარტყმით გოლი გაიტანა.

პირველ ტაიმში მილანელებს შეეძლოთ გაეყაიმებინათ, მაგრამ ჯერ ანდრეი შევჩენკომ ვერ ივარგა, მერე კი ლიბერიელმა ჟორჟ ვეამ ბურთი მცირედით ააცილა ტურინელთა კარს.

მეორე ტაიმის დაწყებას მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის, ფრანგი ზინედინ ზიდანის გამოჩენა მოჰყვა. „იუვენტუსის“ უპირატესობაც თვალში საცემი გახდა — აბიატი დელ პიეროს საჯარიმო დარტყმას სასწაულებრივი ნახტომით იგერიებს, ცოტა ხანში კი მილანელთა ახალგაზრდა მეკარეს სანდი ოლისეს და ჯანლუკა ძამბროტას დარტყმების მოგერიება უხდება.

მილანელებს ანგარიშის გათანაბრების ყველაზე რეალური შანსი 67-ე წუთზე მიეცათ, მაგრამ ოლივერ ბირჰოფმა თავურით ვერ გაიტანა. რამპულა ბურთს ადგილზე დაუხვდა.

საბოლოოდ „იუვენტუსმა“ მოიგო და მეოთხედ აღმართა „ბერლუსკონის“ თასი. აქამდე ტურინელებმა „მილანის“ ამაღორძინებელი სილვიო ბერლუსკონის სახელობის საკმაოდ ლამაზი თასის მოგება 1993, 1996 და 1998 წლებში შეძლეს.

ირაკლი ილაშვილი

ალესანდრო დელ პიეროს (№10) გოლი გააქვს

სარგებელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

ფილიპო ინძაგის დამსხვრეული ოთახები და გულები

ფილიპო ინძაგი ხშირად კამათის ობიექტია. მასზე იმასაც ამბობენ, რომ ჩინებული ფორვარდია და იმასაც რომ „იუვენტუსს“ მისებრი თავდამსხმელის ყოლა არ ეკადრება. ასეა თუ ისე, ფეხბურთელი ცხოვრებასა და მოედანზე თავის გზას ადგას და ვეებერთელა კლუბისა და იტალიის ნაკრების წევრია. დღეს მის ბლიც ინტერვიუს გთავაზობთ.

— რა ხნის იყავით ფეხბურთის თამაში რომ დაიწყეთ?

— რვა წლის გახლდით, მაგრამ სპორტის ეს სახეობა გაცილებით ადრე შემიყვარდა და მისი ერთგული დავრჩი კიდეც. როგორც კი საშუალება მომეცემოდა ბურთს ვაგორებდი. ყველგან ვთამაშობდი, სახლშიც კი. მე და ჩემს ძმას, სიმონეს, ოთახები ნამდვილ ჯოჯოხეთად გვქონდა ქცეული.

— მაშ, იქნებ თქვენი თავი სიმონეს შეადაროთ?

— თუ ხასიათები გაქვთ მხედველობაში, მე გაცილებით ემოციური ვარ, სიმონესთვის კი აბსოლუტურად სულერთია კარგს იტყვის ხალხი მასზე თუ ცუდს. როგორც ფეხბურთელი, ის ჩემზე ღონიერია, ფიზიკურად ძლიერი, მაგრამ მე უფრო სწრაფი გახლავართ.

— ძმები თავდამსხმელები ბრძანდებით. დღევანდელ სერია A-ში თქვენს კოლეგათა უძლიერეს ტანდემს ხომ არ დაგვისახელებდით?

— ორ წყვილზე გავამახვილებ ყურადღებას. პირველია კრისტიან ვიერისა და რონალდოს დუეტი „ინტერიდან“, მეორე კი სიმონე ინძაგისა და ალენ ბოკშიჩის, „ლაციოდან“.

— თქვენთვის ვინ არის საუკეთესო პარტნიორი?

— ორი პარტნიორი მყავს, ალესანდრო დელ პიერო და დარკო კოვაჩევიჩი. მათ შორის კი უპირატესობას ვერც ერთს მივანიჭებ, სულერთია.

— ახლა მწვრთნელებზეც ვილაპარაკოთ. რამდენად მნიშვნელოვანია მწვრთნელი გუნდისთვის?

— ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ საბოლოოდ, მოედანზე გუნდი გადის და ის თამაშობს.

— ინტერ[illegible] თამაშ[illegible]იმე საგანგებო სტრატეგია თუ შეიმუშავეთ?

— განსაკუთრებული არაფერი. ალბათ თავადაც შენიშნეთ, რომ გუნდი ცდილობდა მთელი ძალ-ღონე მოეკრიბა, მაგრამ ჩვენთვის ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია.

— მაშ, თქვენი ნებართვით, პირად ცხოვრებაზე გადავიდეთ. თქვენს თაყვანისმცემელთა შორის ძალიან ბევრი ქალია. მათ, ალბათ, აინტერესებთ გყავთ თუ არა საცოლე ან, ვთქვათ, მართალია თუ არა, რომ მარჩელო ლიპის ქალიშვილის ცოლად მოყვანას აპირებთ.

— საცოლე არ მყავს და შესაბამისად არც ლიპის ქალიშვილის ამბავია მართალი. რაც შეეხება ქომაგ ქალებს, მათ უდიდეს პატივს ვცემ. ბედნიერი ვარ, რომ ქალი გულშემატკივრები მყავს. ეს მამხნევებს.

— თქვენს ქომაგ ქალს თუ მოიყვანდით ცოლად?

— მგონი კი. რატომაც არა.

— შინ რომ ხართ, რას აკეთებთ? ვთქვათ, სერიალებს თუ უყურებთ, მაგალითად „მეგობრებს“?

— არა, ტელევიზორს იშვიათად ვუცქერ, მაგრამ საყვარელი გადაცემები მაინც მაქვს. ძალიან მსიამოვნებს „მაურიციო კოსტანოს შოუს“ ცქერა.

— ნუთუ არც ის არის მართალი, რომ ცნობილი შოუს „სტრიშა ლა ნოტიცას“ ერთ-ერთ მონაწილესთან, მარინასთან მეგობრობთ?

— არა, ეგეც არ არის მართალი.

თარგმნა მიხეილ სურგულაძემ

შემეგუეთ მე... შევეგუოთ მანჩესტერს

— ხალხმა თქვენს შესახებ ბევრი რამ იცის, მათ შორის ისიც, რომ ერთობ ჯიუტი და თავისებური კაცი ხართ, ასეა?

— ყოველთვის დგება მომენტი, როდესაც სათქმელი უნდა ითქვას. ამიტომაც, ახლა მინდა საქმისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ მოგახსენოთ: იმიტომ არ ვმუშაობ, რომ ხალხს მოვეწონო. გუნდის მწვრთნელი გახლავართ და ჩემსას ვაკეთებ. როდესაც ვინმე მაწყენინებს, განზე არ ვდგები და არ ვდუმდები. აზრს ყოველთვის ხმამაღლა გამოვთქვამ. მართალია, ამას ხშირად არ მოსდევს კარგი გაგრძელება, მაგრამ ეს ნაკლებად მაღელვებს. სულაც არ ვაპირებ საკუთარი ხასიათის შეცვლას. სჯობს, ხალხი შემეგუოს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ზოგჯერ დაყვავება ან სხვანაირად მოქცევა ჯობს?

— ვინ განსჯის, რა არის სწორი და რა — მცდარი? ყოველთვის ვცდილობ, მოვლენებს ღიად და ალალად მივუდგე. ჩემგან დიპლომატი არასდროს გამოვიდოდა, დიპლომატიურად უკიდურესად იშვიათად ვიქცევი. რა თქმა უნდა, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ასე მოვქცეულვარ, მაგრამ, აკი გითხარით, ძირითადად რასაც ვფიქრობ, იმას ვამბობ ხოლმე. მართალი რომ გითხრათ, ვგონებ, ხალხსაც ასე უჯობს. პირდაპირობა მათთან მაახლოებს კიდეც და კარგია, როდესაც ყველამ იცის, ვის რა ადგილი აქვს. ამ გზით გადაწყვეტილებას უფრო მარტივად ვიღებ.

— გასული სეზონის ბოლოს „ასტონ ვილამ“ პოზიციები დათმო. თქვენ, მაშინ, ალბათ, საკუთარი თავისთვის როზგი დაამზადეთ, არა?

— ჟერარ ულიე და რუუდ გულიტი თავიანთ კლუბებში სწორედ მაშინ დანიშნეს მწვრთნელებად, როდესაც მე „ასტონ ვილაში“ მივედი. საქმეში გასარკვევად მათ ნახევარი წელიწადი მისცეს. გეგონება, თაფლობის თვეზე ყოფილიყო ლაპარაკი. ახლა ეს ვადა გასულია. ჩვენ, სამივენი, ინგლისის ძალიან დიდ გუნდებს ვხელმძღვანელობთ და უკვე გავერკვიეთ მდგომარეობაში. ერთი-

პრემიერლიგის ტიტულისთვის ბრძოლა სამი ტურის დაწყებულია, ასე რომ, ცხრილისთვის თვალის გადავლებას უკვე აქვს აზრი. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე მყოფთ 7 ქულა აქვთ. ამ სამეულიდან ორის დასახელება ძალიან ადვილია, „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“, მესამე... უფრო სწორად, მეორე კი გახლავთ გუნდი, რომელსაც სათავეში შემოთავაზებული ინტერვიუს რესპოდენტი ჯონ გრეგორი უდგას — „ასტონ ვილა“, ქალაქ ბირმინგემიდან. იგი წლეულს დიდ სიმაღლეებს უნდა შეეთამაშოს.

ჯონ გრეგორი

ორი საკუთარი ფეხბურთელიც მივიყვანეთ. მოკლედ, უკვე შედეგი მოგვეთხოვება. თაფლობის თვე წარსულს ჩაბარდა. მე ჯერ კიდევ ვაანალიზებ გასულ სეზონს. ვცდილობ გავარკვიო, რა შეგვემთხვა ჩინებულად დაწყებული ჩემპიონატის ბოლოს. მაგრამ ის, რომ გასული სეზონი წინასთან შედარებით პროგრესული იყო, უდავოა. ახლა კი მიზნად ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილის მოპოვება გვაქვს დასახული. ამისთვის პრემიერლიგის ოქრო, ვერცხლი ან ბრინჯაო უნდა მოვიხვეჭოთ. მართალია, ძალიან მაღალი მიზანი გამოგვდის, მაგრამ სხვანაირად მე არ მინდა. ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მიყვარს მუშაობა.

— დღევანდელი ზეწოლა მართლაც დიდია.

— ზეწოლას საკუთარ თავზე თავად ვახდენ. ვერ ვეგუები ცხრილის შუაში უზრუნველად მოკალათებას. მიყვარს მიზანი და ბრძოლა. როგორც კი ამბიცია გიჩნდება, ცხოვრება საინტერესო ხდება. მიყვარს ზეწოლის ქვეშ მუშაობა და „ვილასთან“ ერთად წინ ნაბიჯების გადადგმა. ამ სეზონში ჯილდოს მოპოვებაზე ვაცხადებ პრეტენზიას, თუმც კარგად ვიცი, რომ ამით პრემიერლიგის სხვა მწვრთნელებთან შედარებით თავს ხიფათში ვიგდებ. არა, ცხადია, ზეწოლა ყველაზეა, მაგრამ როდესაც სულ მცირე ექვსეულს გეგმავ და თან ჩემპიონობაზეც ფიქრობ, მაინც სხვა პირობებში ვარდები. სირთულეების გარეშე ცხოვრება უინტერესო იქნებოდა. კიდევ კარგი, კლუბის დირექტორატსაც ამბიცია აქვს და წინააღმდეგობაში არ ვვარდებით. ვგონებ, ერთობლივად უნდა მივაღწიოთ წარმატებას.

— საკმაო დრო გქონდათ იმისთვის, რომ გუნდი თქვენთვის სასურველი მოთამაშეებით დაგეკომპლექტებინათ. ახლოს ხართ საწადელ შემადგენლობასთან?

— მეტად და მეტად ვუახლოვდები. ჯერ კიდევ შეიძლება ახალი ფეხბურთელების მოწვევა და შემადგენლობის გაძლიერება, მაგრამ ექვსითვის წინანდელზე უკეთ დაკომპლექტებული გუნდი რომ გვყავს, უდავოა. თამაშების დროს სათადარიგოთა სკამს რომ გადავხედავ, ჭაბუკი ფეხბურთელების და აღსაზრდელების ნაცვლად იქ 15 მილიონ გირვანქად შეფასებულ ნიჭს ვხედავ. „მანჩესტერ იუნაიტედის“, „არსენალისა“ და „ჩელსის“ წარმატების საიდუმლოც ძალიან ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელის ყოლა გახლავთ.

— ვინაიდან ამბიციური, ძლიერი გუნდის მწვრთნელი ხართ, ალბათ, ამაზეც გექნებათ ნაფიქრი: „მანჩესტერ იუნაიტედივით“ სამი ჯილდოს ერთ სეზონში მოგება კარგია თუ ცუდი?

— „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ჩემპიონთა თასი რომ მოიგო, ძალიან კარგია ზოგადად ინგლისური ფეხბურთისთვის. ახლა, ჩვენ, დანარჩენი გუნდები, მასთან გაჯიბრებას ვეცდებით. მაგრამ საქმე მარტო გასული სეზონი არ გახლავთ. მთელი 90-იანი წლების განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახლდათ კლუბი, რომელთან ბრძოლაც ყველასთვის საგანგებო მნიშვნელობის მოვლენა იყო. მახსენდება 70-იანი და 80-იანი წლების „ლივერპული“, რომელიც ახალ სტანდარტებს ამკვიდრებდა და რომლის დამარცხება ყველას გულში ჰქონდა ამოჭრილი. მას მერე, რაც „ლივერპული“ გაქრა, მისი ადგილი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დაიკავა. დღეს, ჩვენ რომ გავიმარჯვოთ, იგი უნდა დავამარცხოთ. ვგონებ, ეს სრულიად საკმარისი არგუმენტია იმისთვის, რომ ამ გუნდის სიდიადეში დავრწმუნდეთ, ხოლო ერთ სეზონში სამი ჯილდოს მოგება ისეთი მიღწევაა, რომელიც იქნებ ვერც ვერავინ გაიმეოროს.

— მათ დღეს თქვენი ორი ყოფილი ფეხბურთელი ჰყავთ, დუაიტ იორკი და მარკ ბოსნიჩი...

— „მანჩესტერ იუნაიტედის“ მიზანი მარად ერთია: ნიჭიერთა გარემოცვა. მას ყოველთვის შეეძლო საუკეთესოთა შორის ამორჩევა ჩვენთან, ინგლისში თუ ევროპაში. ამ კლუბს რაღაცნაირი მიზიდულობის ძალა აქვს. ასეთს სხვაგან ვერსად ნახავთ. ნებისმიერი ფეხბურთელი, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშის საშუალება ეძლევა, ცდილობს ნაბოძები შანსი ხელიდან არ გაუშვას. დიახ, დუაიტი და მარკი წაგვივიდნენ, მაგრამ წლების განმავლობაში უამრავი კლუბის ფეხბურთელს მოსვლია იგივე. ხომ ხედავთ, მავანი იაპ სტამი, ბავშვობიდან „იუნაიტედზე“ რომ ოცნებობდა, ჰოლანდიიდან ინგლისში გამოიქცა. ასეთია „მანჩესტერ იუნაიტედი“, როდესაც მას ესა თუ ის ფეხბურთელი სჭირდება, იღებს კიდეც. ამ დროს მნიშვნელობა ეკარგება იმ, მეორე გუნდის ბედს, რომელსაც მოთამაშე გაექცა. რა გაეწყობა, ფაქტს უნდა შევეგუოთ.

365-დან თარგმნა ბაბუნა ბედიამ

100 იუბილარი

მარსელის „ოლიმპიკი“

DROIT AU BUT

დაარსდა 1899 წლის აგვისტოში;
პრეზიდენტი: რობერ-ლუი დრეიფუსი
მწვრთნელი: როლან კურბისი
სტადიონი: ველოდრომი (60 000) მაყურებელი
საფრანგეთის ჩემპიონი: (8) 1937, 1948, 1971, 1972, 1989, 1990, 1991, 1992 და 1993 (შემდეგ ჩამოერთვა);
თასის მფლობელი: (10) 1924, 1926, 1927, 1935, 1938, 1943, 1969, 1972, 1976 და 1989;
ჩემპიონთა თასი: (1) 1993

1993 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი. მარსელი — მილანი 1:0. ბაზილ ბოლის გოლი „მილანის“ კარში

1899 წელს დაარსებულ მარსელის „ოლიმპიკს“ წლეულს ასი წელი შეუსრულდა. დიდი ფრანგული კლუბებიდან ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული (მასზე ადრე მხოლოდ „ლე ავრი“ (1881წ.) და „ბორდო“ (1883წ) შეიქმნა) ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანიცაა. აგერ 75 წელია, ფეხბურთი საფრანგეთში ნომერ პირველი სპორტია და მას შემდეგ „ოლიმპიკი“ უძლიერესთა შორისაა. თითქმის მუდმივად ოქროს მედლებისთვის იბრძვის. თუმცა იყო ჩავარდნებიც. მარსელელთა საყვარელი გუნდის ისტორიაში სამი კრიზისული პერიოდი აღინიშნებოდა, რომელთაგან უკანასკნელი, ბერნარ ტაპის დროინდელია. ჩვენ მკითხველს შეიძლება კარგადაც ახსოვდეს, მაგრამ „ოლიმპიკი“ ყოველთვის ფენიქსივით აღდგებოდა ხოლმე და ახალი სიმაღლეების დასაპყრობად ისწრაფვოდა. ვინც ამ კლუბს კარგად იცნობს, დარწმუნებულია, რომ „მარსელი“ საამომავლოდ ულევ სიხარულს ჰპირდება. ასე უყვარს თავისი გუნდი საფრანგეთის სიდიდით მეორე ქალაქს...

წინ, კარისკენ ანუ გოლის უფლება

„მარსელი“ 1999 წლის უეფას თასის ფინალის წინ

(1926 და 1927წლებში). ფეხბურთში პროფესიონალიზმის დამკვიდრების შემდეგ „ოლიმპიკმა“, რომლის მთავარი მეტოქე და კონკურენტიც მაშინ „სოშო“ იყო, 30-იან წლებში კიდევ ორი თასი მოიგო და 1937 წელს საფრანგეთის ჩემპიონის ოქროს მედლებიც მოიხვეჭა. რიგით მეექვსე თასისა (1943წ) და ჩემპიონის მეორე ტიტულის (1948წ.) მოგების შემდეგ გუნდს ცუდი პერიოდი დაუდგა და გამარჯვებების არქონის გამო იმდენად დასუსტდა, მეორე დივიზიონში დაქვეითდა.

კრიზისი ძალიან სერიოზული აღმოჩნდა. და არავინ იცის, როგორ გაგრძელდებოდა კლუბის ისტორია, რომ არა 1965 წლის 27 აპრილის „ფორბაშთან“ მიღწეული გამარჯვება. „ველოდრომზე“ მხოლოდ 434 ქომაგი შეკრებილიყო. მათ საერთო ჯამში 1590 ფრანკი გადაეხადათ (ახლა ამ თანხად კარგ ადგილას სამი ბილეთის ყიდვაა შეიძლება). „მარსელს“ მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, თორემ შეიძლებოდა საერთოდ გამქრალიყო. მეორე დივიზიონის გათამაშების ცხრილში მას ბოლოსწინა ადგილი ეკავა და იმდღევანდელ მეტოქეს ერთი ქულით ჩამორჩებოდა. ეს თამაში შაბათის ნაცვლად პარასკევს დანიშნეს, რათა არაპროფესიონალ ფეხბურთელებს კვირას სარეზერვო გუნდის დახმარების შესაძლებლობა ჰქონოდა — ეს „ღირსების დივიზიონიდან“ სულ ბოლო დივიზიონში გავარდნის კანდიდატი იყო. ორივე გუნდს რომ ხელი მოსცარვოდა, „ოლიმპიკს“ მომავალი სეზონიდან სწორედ საფრანგეთის უმდაბლეს დივიზიონში მოუწევდა თამაში! მაგრამ მთავარმა გუნდმა გაიმარჯვა.

რამდენიმე წლის შემდეგ ერთ-ერთ მარსელელ ჟურნალისტს იმ მატჩის თვითმხილველის მონაყოლის მოსმენა მოუნდა და რომელიღაც თამაშზე „ველოდრომისკენ“ მიმავალ 30 000 გულშემატკივარს შორის გაერია. მისდა „საბედნიეროდ“ პირველივე კაცი ერთ-ერთი აღმოჩნდა იმ ისტორიული 434 ქომაგიდან, თან მან არც საუბარი დაიზარა. რადგან ჟურნალისტი თვითონაც მარსელში იყო დაბადებულ-გაზრდილი და „ოლიმპიკისადმი“ გადაჭარბებული სიყვარულის ამბავიც კარგად მოეხსენებოდა, იგი ამით არ დაკმაყოფილდა და გამოკითხვა გააგრძელა. ყველა გაჩერებული არწმუნებდა მას, რომ „ფორბაშთან“ შეხვედრას „ველოდრომის“ ტრიბუნიდან უცქირა და თავის საყვარელ გუნდსაც გულმხურვალედ ქომაგობდა.

„ყველა 30 000 რომ გამომეკითხა, ერთსაც ვერ ვიპოვიდი, ვინც აღიარებდა, რომ იმ დღეს „ოლიმპიკის“ მხარდაჭერას და გამხნევებას სხვა რამით დაკავება ამჯობინა“ — ხუმრობდა შემდეგ თავის სტატიაში მარსელელი ჟურნალისტი.

თუმცა ეს იყო და ეს. 1965 წლის 27 აპრილის შემდეგ „ოლიმპიკს“ არც „ველოდრომზე“ და არც სხვა გუნდების სტადიონებზე ერთგული ქომაგების ღრიანცელი აღარ მოჰკლებია. არც 80-იანი წლების დასაწყისში, როცა ის ოთხი წლით დაქვეითდა მეორე დივიზიონში, არადა, როგორი ფეხბურთელები ჰყავდა — ტრეზორი, სიქსი, ბერდოლი, ზამბელი, ვიკტორ ზვუნკა, შარიე, ჟან ფერნანდესი...

1965 წელს პრეზიდენტად არჩეულმა მარსელ ლეკლერმა კლუბი მალე დაუბრუნა ფრანგული ფეხბურთის მწვერვალებს — ორჯერ თასი (1969 და 1972 წლებში) და ორჯერაც ჩემპიონობა (1971 და 1972 წლებში) მოაპოვებინა. მისი ეპოქა 1972 წელს დასრულდა, როცა მას ფრანგულმა მართლმსაჯულებამ შარი მოსდო და სასამართლოებში სირბილის შემდეგ თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯა.

15 წლის შემდეგ „ოლიმპიკის“ სათავეში ბერნარ ტაპი მოვიდა, რომელმაც გაცილებით დიდ წარმატებებს მიაღწია. 1989 წელს საფრანგეთის თასი მოიგო, 1989-90 წლებში ხელიხელ ხუთჯერ ჩემპიონობა (ბოლო ჩამოართვეს) და მთელი საფრანგეთისთვის ესოდენ ნანატრი ევროპული გამარჯვება (1993 წელს ჩემპიონთა თასი) ნამდვილად შთამბეჭდავი შედეგებია. მიუნხენში, ჩემპიონთა თასის ფინალში იტალიური „მილანის“ დამარცხებამდე რამდენიმე დღით ადრე „ოლიმპიკმა“ საფრანგეთის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება იზეიმა, მან საშუალო გუნდ „ვალანსიენს“ მოუო 1:0. სწორედ აქედან დაიწყო მესამე კრიზისი კლუბის ისტორიაში.

„მარსელის“ და ტაპის, რომელმაც პოლიტიკაშიც სცადა ფეხის მოკიდება და არცთუ წარუმატებლად, აღზევება ბევრს ხელს არ აძლევდა და დაიწყო მათი საწინააღმდეგო კამპანია. „ვალანსიენის“ ზოგიერთი ფეხბურთელის მოსყიდვაში ბრალდებულ „ოლიმპიკს“ ჩემპიონობა ჩამოართვეს და მეორე დივიზიონში დააქვეითეს. შემდეგ წელს კი კიდევ ერთი დივიზიონით უკან დახიეს. მაგრამ, გუნდმა კვლავ მოეპოვა უძლიერესთა შორის თამაშის უფლება, ასე რომ, „ნასიონალში“ აღარ გავარდა. ტაპი კი ლეკლერივით ციხის გზას გაუყენეს, რადგან კლუბის მართვაში დარღვევები უპოვეს.

ორი წლის შესვენების შემდეგ „მარსელი“ მაინც დაუბრუნდა ელიტას, ამას კი ესოდენ რთულ ფინანსურ და ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში სხვა კლუბი ნამდვილად ვერ შეძლებდა. ახლა მისი პრეზიდენტი შვეიცარიელი ბიზნესმენი, „ადიდასის“ მეპატრონე რობერ-ლუი დრეიფუსია და „ოლიმპიკიც“ მზადაა ახალი მწვერვალების დასაპყრობად, ოღონდ ფრანგმა სამართლდამცავებმა ხელი უნდა აიღონ გუნდის თავკაცების დევნისგან. ეს ხომ ლამის ტრადიციად იქცა.

შინაურ მდვდელს შენდობა არ აქვს

ამდენი წლის განმავლობაში, ჩავარდნებისას თუ წარმატებებისას, „ოლიმპიკში“ უამრავი ვარსკვლავი თამაშობდა. გუნდი, ქალაქის თავისებურებიდან გამომდინარე, ფართოდ უღებდა კარს სხვა რეგიონებიდან თუ ქვეყნებიდან ჩამოსულ ფეხბურთელებს. და ეს ხშირად თავისიანების დაჩაგვრის ხარჯზე ხდებოდა. ასე მაგალითად, შარშან „ლურჯების“ შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონი მარსელში დაბადებული და გაზრდილი ორი კაცი გახდა, მაგრამ ზინედინ ზიდანსა და ფრანკ ლებეფს არასოდეს მოურგიათ თეთრ-ცისფერი მაისურა... ორი სხვა მარსელელი ვარსკვლავი — ჟან ტიგანა და ერიკ კანტონა კი თავისი ქალაქის კლუბში ბედნიერი ნამდვილად არასოდეს ყოფილა. ხანდახან გამონაკლისებიც ხდებოდა, მაგალითად სკოტის, რობენისა და დარის დასახელება შეიძლება, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული შემთხვევებია.

სამაგიეროდ, „ოლიმპიკის“ „უცხოები“ დიდი სიყვარულით სარგებლობდნენ ქომაგთა შორის. ამორო, ბლანი, ბონელი, ბოსკიე (ლანგედოკელები), ბარტეზი, დეშამი, დიუგარი, დიურანი, ჟირესი (სამხრეთ-დასავლეთელები), ბოლი, დესაი (აფრიკელები), ანგლომა, ტრეზორი (ანტილიელები) და კიდევ სხვა უამრავი კუთხის შვილი — ხოზე, ბერეტა, ჟან ჯორკაეფი, ლუბე, კაზონი, დი მეკო, ბოგოსიანი ისე მიიღო მარსელელმა გულშემატკივარმა, როგორც თავისიანები. ჩრდილოეთ საფრანგეთში, ავადსახსენებელ ვალანსიენში დაბადებული ჟან-პიერ პაპენი კი „ოლიმპიკის“ ასწლეულის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს.

ისე, აქაური „უცხოური ლეგიონიც“ საკმაოდ შთამბეჭდავია: ბოკშიჩი, ფიორსტერი, მოზერი, აბედი პელე, სკობლარი, უოდლი, კიოპკე, რავანელი, ფიოლერი... მსოფლიო ფეხბურთში ნამდვილად გამორჩეული სახელებია.

ერთი სიტყვით, მარსელის „ოლიმპიკი“ დიდი გუნდია და იქ დიდი ფეხბურთელებიც თამაშობენ ხოლმე.

გაიოზ თალაკვაძე

ამხანაგური

სარგებლის არქივიდან

არგენტინის ეროვნული გუნდი ახლო მომავალში ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.

ხსენებული თამაშებიდან პირველი გაიმართება ბარსელონაში, 15 ოქტომბერს. არგენტინელთა მეტოქე იქნება „ესპანიოლი“, რომელსაც მომავალ სტუმართა თანამემამულე, მიგელ ანხელ ბრინდიზი უგდას სათავეში. ალბათ, გეუცნაურათ, რომ ეს იქნება კლუბისა და ნაკრების შეხვედრა. მართალაც, არგენტინის ნაკრებს განცხადებული ჰქონდა, რომ კლუბებთან არასდროს ითამაშებდა, მაგრამ როდესაც საქმე „ესპანიოლზე“ მიდგა, პირობა დაირღვა. საქმე ის გახლავთ, რომ არგენტინელთა დღევანდელი მწვრთნელი მარსელო ბიელსა ამ თანამდებობაზე დანიშვნის წინ სწორედ „ესპანიოლს“ ედგა სათავეში და რომ არა ბარსელონელთა კეთილი ნება, იგი უმტკივნეულოდ ვერ დაარღვევდა კონტრაქტს.

მეორე თამაში კი ნოემბერში, ალბათ, მაიამიში გაიმართება, არგენტინის ნაკრების მეტოქე კი უეჭველად, კოლუმბია იქნება.

არგენტინის ნაკრების მწვრთნელი მარსელო ბიელსა

დაბრუნება

მექსიკური ფეხბურთის ვარსკვლავი ლუის ფერნანდესი კონფედერაციათა თასზე ბოლივიასთან თამაშის შემდეგ მოედანზე აღარ გამოჩნენილა. ბარუნა ქალაქ [illegible] გრამ ახლა იგი გამოჯანმრთელდა. „თავს ძალიან კარგად ვგრძნობ და სიამოვნებით ვითამაშებ შაბათს „სელაიას“ წინააღმდეგ“ — განაცხადა „ტიგერსის“ თავდამსხმელმა, ტრავმის შემდეგ პირველი ვარჯიშის დამთავრებისთანავე, თუმცა ისიც დასძინა, რომ გავა თუ არა მოედანზე, მისი კი არა, მწვრთნელის გადასაწყვეტია. როდესაც ერნანდესს ჰკითხეს გასული ტურის შეხვედრის შესახებ, მისმა გუნდმა „ატლასთან“ რომ წააგო, მან უპასუხა: „ჩვენ გაცილებით უკეთ შეგვიძლია თამაში და ამაში ერთი წუთით არ მეპარება ეჭვი. ძალიან ძლიერი შემადგენლობა გვყავს, ჩემპიონატი კი ახლა იწყება.“ ერნანდესის დროულად გამოჯანმრთელების მიზნით „ტიგერსმა“ თავდამსხმელი არ გაუშვა სამხრეთ აფრიკაში, სადაც იგი ნელსონ მანდელას საპატივცემულო მატჩზე გახლდათ მიწვეული.

ევროპის უმნიშვნელოვანესი ტრანსფერები

იტალია

ლაციო: პოლ ოკონი (ფიორენტინა), კრისტიან ვიერი (ინტერი), მორონე (ემპოლი), ბარონიო (რეჯინა); **კენეტ ანდერსონი (ბოლონია), სიმონე ინძაგი (პიაჩენცა), რობერტო სენსინი (პარმა), დიეგო სიმეონე (ინტერი), ხუან სებასტიან ვერონი (პარმა);** **იუვენტუსი**: ტიერი ანრი (არსენალი, ინგლისი), დიდიე დეშამპი (ჩელსი, ინგლისი), ანჯელო დი ლივიო (ფიორენტინა), ანჯელო პერუცი (ინტერი), ბლანშარი (ლანსი, საფრანგეთი), დე სანტისი (უდინეზე); **ჯონათან ბაკინი (უდინეზე), დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი, ესპანეთი), სანდი ოლისე, ედვინ ვან დერ სარი (აიაქსი, ჰოლანდია), მარსელო სალაიეტა (ემპოლი), ჯანლუკა ძამბროტა (ბარი), პეკაია (სამპდორია), ობრაიენი (მიდლსბრო, ინგლისი), ისაქსონი (ტრელებორგი, შვედეთი);** **ინტერი**: იური ჯორკაეფი* (კაზერსლაუტერნი, გერმანია), ჯანლუკა პალიუკა (ბოლონია), დიეგო სიმეონე (ლაციო), ნიკოლა ვენტოლა (ბოლონია), არონ ვინტერი (აიაქსი, ჰოლანდია), ზე ელიასი (ბოლონია), დი ნაპოლი (პიაჩენცა); **ლორან ბლანი (მარსელი, საფრანგეთი), ზუმანა კამარა (ემპოლი), სირილ დომორო (მარსელი, საფრანგეთი), სალვატორე ფრეზი (სალერნიტანა), ვლადიმირ იუგოვიჩი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლუკა მეცანო (პერუჯა), კრისტიან პანუჩი (რეალი, ესპანეთი), ანჯელო პერუცი (იუვენტუსი), ალვარო რეკობა (ვენეცია), კრისტიან ვიერი (ლაციო), კრისტიანო ძანეტი (კალიარი), დაბო (ვიჩენცა), ფერარი (ლეჩე), კალონი (კალიარი);** **ფიორენტინა**: ფრანჩესკო ფლაკი (სამპდორია), კარმინე ესპოზიტო (კალიარი), რობიატი (ნაპოლი), ბიჯიკა (ნაპოლი), ედმუნდო (ვასკო და გამა, ბრაზილია); **დანიელე ადანი (ბრეშა), აბელ ბალბო (პარმა), სტეფანო ბეტარინი (ბოლონია), მაურო ბრესანი (ბარი), ენრიკო კიეზა (პარმა), ანჯელო დი ლივიო (იუვენტუსი), პრედრაგ მიატოვიჩი (რეალი, ესპანეთი), პოლ ოკონი (ლაციო), ფაბიო როსიტო (ნაპოლი), ალესანდრო პიერინი (უდინეზე), მორფეო (მილანი);** **პარმა**: აბელ ბალბო, ენრიკო კიეზა (ფიორენტინა), რეინალდ პედროსი (მონპელიე, საფრანგეთი), რობერტო სენსინი, ხუან სებასტიან ვერონი (ლაციო), პიერლუიჯი ორლანდინი (მილანი), ფიორე (უდინეზე), კარდონე (ვენეცია), ადაილტონი (ვერონა), ასპრილია (პალმეირასი, ბრაზილია); **მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (უდინეზე), რობერტო ბრედა (სალერნიტანა), მარკო დი ვაიო (სალერნიტანა), ჯამპიერო მაინი (მილანი), მიკელე სერენა (ატლეტიკო, ესპანეთი), ანტონ სერიჩი (ჰაიდუკი, ხორვატია), რობერტო სტელონე (ლეჩე), სტეფანო ტორიზი (ატლეტიკო, ესპანეთი), ლასისი (სამპდორია), სტრადა (პერუჯა), ვალემი (უდინეზე), მონტანო (კელმესი, არგენტინა);** **რომა**: პაულო სერჯიო (ბაიერნი, გერმანია), პიერ ვომე (ბოლონია), ლუჩენტი (ნაპოლი), კიმენტი (ლეჩე), დ. კონტი (კალიარი); **ფრანჩესკო ანტონიოლი (ბოლონია), სერგეი გურენკო (ლოკომოტივი, რუსეთი), ალესანდრო რინალდი (ბოლონია), ვალტერ სამუელი (ბოკა ხუნიორსი, არგენტინა), მონტელა (სამპდორია), მანგონე (ბოლონია), ასუნსაო (სანტოსი, ბრაზილია);** **ბოლონია**: კენეტ ანდერსონი (ლაციო), ფრანჩესკო ანტონიოლი (რომა), სტეფანო ბეტარინი (ფიორენტინა), ალესანდრო რინალდი (რომა), მაინი (მილანი); ბრუნერი (კომო), პომპეი (ასკოლი), მანგონე (რომა); **დავიდე დი მიკელე (სალერნიტანა), ჯანლუკა პალიუკა, ნიკოლა ვენტოლა, ზე ელიასი (ინტერი), პიერ ვომე (რომა), როკატი (რავენა);** **უდინეზი**: მარსიო ამოროზო, სტეფან აპია (პარმა), ჯონათან ბაკინი (იუვენტუსი), ალესანდრო პიერინი (ფიორენტინა), ვალემი (პარმა), კალონი (პერუჯა), ვაპენაარი (უტრეხტი, ჰოლანდია); **ვარლეი (ატლეტიკო პარანენსე, ბრაზილია), მარჯიოტა (რეჯანა), პინედა (მალიორკა, ესპანეთი), სოტილი (ატალანტა), პისარო (უენდერერსი, ჩილე), ფიორე (პარმა), დე სანტისი (იუვენტუსი), ბუდიმირი (ჰაიდუკი, ხორვატია), მუცი (კალიარი), რენარდი (შარლეროუა, ბელგია), ფკვასი (ლუგანო, შვეიცარია);** **ბარი**: მაურო ბრესანი (ფიორენტინა), დე აშენტისი (მილანი), ჯანლუკა ძამბროტა (იუვენტუსი); **დელ გროსო (სალერნიტანა), დიეგო მარკიჩი (რივერ პლეიტი, არგენტინა), პეროტა (იუვენტუსი), ფერარი (ინტერი);** **კალიარი**: კ. ძანეტი (ინტერი), ვაზარი (სამპდორია), ძანინჩელი (ბრეშა), კენტურიონი (ტრევიზო), კალონი (ინტერი), ბიზოლი (პერუჯა), მუცი (უდინეზე); **მოდესტო (ბასტია, საფრანგეთი), დილიზო (ვიჩენცა), მაიელი (შატორუ, საფრანგეთი), დ. კონტი (რომა);** **ლეჩე**: სტელონე (პარმა), კასალე (სამპდორია), ფერარი (ინტერი); **ბონომი (ემპოლი), კოლონელო (პერუჯა), ლიმა (ციურიხი, შვეიცარია), . კიმენტი (რომა), კიმიშევი (ლიტექსი, ბულგარეთი);** **პერუჯა**: კოლონელო (ლეჩე), რანტანელი (რეჯანა), რივასი (ინტერი), სტრადა (პარმა); **ტაპია (უნივერსიდად კათოლიკა, ჩილე), ბერნანდინი (სალერნიტანა), დანი გარსია (აალსტი, ბელგია), სტეფანოვიჩი (შეფილდ უენსდეი, ინგლისი), პანტელიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), კალორი (უდინეზე), მილანეზე (პარმა), ბიზოლი (კალიარი), მატერაცი (ევერტონი, ინგლისი);** **პიაჩენცა**: ს. ინძაგი (ლაციო), სტატუტო (რომა); **მორონე (ლაციო), დი ნაპოლი (ინტერი);** **რეჯინა**: ფირმანი (ვიჩენცა), ტომიჩი (ვიჩენცა); **ბარონიო (ლაციო), კალონი (ინტერი), იანუცი (მილანი), სტოვინი (ვიჩენცა);** **ტორინო**: ფატორი (ვიჩენცა); **ივიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), ლანტეცი (ჰელსინგბორგი, შვედეთი), ედმანი (ჰელსინგბორგი, შვედეთი);** **კრუზი (მილანი), სილენეცი (რავენა), კოკო (მილანი), დიავარა (მონაკო, საფრანგეთი), პანარელი (ნაპოლი), პეკია (იუვენტუსი);** **ვენეციი**: რეკობა (ინტერი), აჰინფული (ბოავიშტა, პორტუგალია), ტუტა (გიმარაეში, პორტუგალია), პისტონე (ნიუკასლი, ინგლისი); **ბუდანი (რიეკა, ხორვატია), კარდონე (ვიჩენცა), ნანამი (ჯუბილო ივატა, იაპონია), პეტკოვიჩი (ბაია, ბრაზილია), ბერგი (რუსენბორგი, ნორვეგია);** **ვერონა**: ფოლიო (რეჯინა); **ადაილტონი (ბსტ, საფრანგეთი), სპეხარი (მონაკო, საფრანგეთი), ფრეი (ინტერი), ანასტასი (ფოჯა).**

ესპანეთი

ბარსელონა: სონი ანდერსონი (ლიონი, საფრანგეთი), ჯოვანი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), დრაგან ჩირიჩი (აეკი, საბერძნეთი), როხერი (მონაკო, საფრანგეთი), ოსკარი (ვალენსია), ოკუნოვო (ბენფიკა, პორტუგალია), პელეგრინი (ველესი, არგენტინა); **დანი (მალიორკა), ფრედერიკ დეუ (ლანსი, საფრანგეთი), იარი ლიტმანენი (აიაქსი, ჰოლანდია), სიმაო საბროსა (სპორტინგი, პორტუგალია);** **რეალი**: ფერნანდო სანსი (მალაგა), ხაიმე (დეპორტივო), პრედრაგ მიატოვიჩი (ფიორენტინა, იტალია), კრისტიან პანუჩი (ინტერი, იტალია), როხასი (მალაგა), კონტრერასი (მალაგა), ედგარი (მალაგა), ეტო (მალაგა), დავორ შუკერი (არსენალი, ინგლისი); **ნიკოლა ანელკა* (არსენალი, ინგლისი), ელვირ ბალიჩი (ფენერბაჰჩე, თურქეთი), მანუელ კანაბალი (ალავესი), ივან ელგერა (ესპანიოლი), სტივ მაკმანამანი (ლივერპული, ინგლისი), მიჩელ სალგადო (სელტა), ხულიო ცეზარი (ვალიადოლიდი), კონგო (კალდესი, კოლუმბია), ნჯიტაპი (გენჩლერბირლიგი, თურქეთი);** **სელტა**: მიჩელ სალგადო (რეალი), ოსკარ ვალესი (ბილბაო), ხუან სანჩესი (ვალენსია), ხორდი კრუიფი (მანჩესტერი, ინგლისი), ეგენი (ალავესი), ხოსემა (ოსასუნა); **გუსტავო ლოპესი (სარაგოსა), მარკო პანტელიჩი (ლოზანა, შვეიცარია), მარიო ექტორ ტურდო (ინდეპენდიენტე, არგენტინა), ჯოვანელა (სალამანკა), ველასკო (სევილია), პაბლო (ნუმანსია), სერხიო (სპორტინგი);** **სარაგოსა**: გუსტავო ლოპესი (სელტა); **ალბერტო ბელსუე (ალავესი), ცეზარ ლაინესი (ვილიარეალი), პიერი (ტენერიფე), მარტინ ველისკა (სალამანკა);** **ატლეტიკო**: ხუან კარლოს კარსედო (ნიცა, საფრანგეთი), ვლადიმირ იუგოვიჩი (ინტერი, იტალია), მიკელე სერენა (პარმა, იტალია), სტეფანო ტორიზი (პარმა, იტალია); **ხუან კაპდევილა (ესპანიოლი), ჯიმი ჰასელბაინკი (ლიდსი, ინგლისი), კარლოს გამარა (კორინთიანსი, ბრაზილია), ველიკო პაუნოვიჩი (მალიორკა), ტონი (ესპანიოლი), უგო ლეალი (ბენფიკა, პორტუგალია), პილიპაუსკასი (ბელა ვისტა, ურუგვაი);** **ბეტისი**: ნადი (ოვიედო), არპონი (ოსასუნა); **დეპორტივო**: მუსტაფა ჰაჯი (ქოვენთრი, ინგლისი), ხავიერ მანხარინი (რასინგი), არმანდო (მალიორკა), ჟერომ ბონისელი (ბორდო, საფრანგეთი), სტეფან ზიანი (ბორდო, საფრანგეთი); **ხაიმე (რეალი), ხოსე მანუელი (სპორტინგ ხიხონი), სლავიშა ოიკანოვიჩი (ტენერიფე), ივან პერესი (ბორდო, საფრანგეთი), ვიკტორი (რასინგი, სანტანდერი), მანელი (ოვიედო), ცეზარი (ოვიედო), რუბიო (რეალი), მაკაი (ტენერიფე);** **მალიორკა**: დანი (ბარსელონა), მარსელინო (ნიუკასლი, ინგლისი), ველიკო პაუნოვიჩი (ატლეტიკო), პინედა (უდინეზე), ჩუბა ლოპესი (სან ლორენცო, არგენტინა), რუფეტე (მალაგა); **არმანდო (დეპორტივო), ხერმან ბურგოსი (რივერ პლეიტი, არგენტინა), ივან სესარ გაბრიჩი (ესტრემადურა), სერისუელა (ლანუსი, არგენტინა), კუინტეროსი (არგენტინოს ხუნიორსი);** **ბილბაო**: კორინო (ესპანიოლი), ნაგორე (ნუმანსია), ხორხე პერესი (ნუმანსია); **ედუ ალონსო (სალამანკა), ორბაისი (ოსასუნა), ოსკარ ვალესი (სელტა), არტურო სივორი (ალავესი), ბოლო (რაიო ვალეკანო);** **სოსიედადი**: იგორ ცვიტანოვიჩი (კაიზერსლაუტერნი, გერმანია), დარკო კოვაჩევიჩი (იუვენტუსი, იტალია), გრაცია (ვილიარეალი); **ბონილა (რენისტასი, ურუგვაი);** **ალავესი**: ალბერტო ბელსუე (სარაგოსა), მანუელ კანაბალი (რეალი), ლოპეს გერარდი (ვალენსია), არტურო სივორი (ბილბაო), ივან როჩა (სარაგოსა), ალფონსო (ოსასუნა), ვიტამინა სანჩესი (ფეიენოორდი, ჰოლანდია); **ალექს დიას ვეგა (ნუმანსია), მორენო ვარელა (ნუმანსია), ოსკარ ტელესი (ვილიარეალი), ჰერარა (ფერო კარილ ოესტი, არგენტინა), კონტრა (დინამო, ბუქარესტი, რუმინეთი), ეგენი (სელტა), მინგო (სპორტინგი), მორალესი (ერკულესი), ნან რიბერა (ესპანიოლი), ხავი მორენო (ნუმანსია), კოდრო (ტენერიფე);** **ვალენსია**: ოსკარ ტელესი (ალავესი), პოპესკუ (პორტუ, პორტუგალია), ლუკარელი (სამპდორია); **დავიდ ალბელდა (ვილიარეალი), დანიელ ფაჯიანი (ნეველს ოლ ბოისი, არგენტინა), ლოპეს გერარდი (ალავესი), ოსკარ გარსია (ბარსელონა), ხუან სანჩესი (სელტა), პალოპი (ვილიარეალი), კაზეირო (ბენფიკა, პორტუგალია);** **რასინგი**: ფროდ გროდასი (შალკე 04, გერმანია), ვიკტორი (დეპორტივო); **ხავიერ მანხარინი (რასინგი), მარსელო ესპინია (კოლო-კოლო, ჩილე), კოლსა (ლოგრონიესი);** **მალაგა**: **კონტრერასი (რეალი), ედგარი (რეალი), როხასი (რეალი), ფერნანდო სანსი (რეალი);** **კიკი მუსამპა (ბორდო, საფრანგეთი), რუფეტე (მალიორკა);** **ოვიედო**: მორა (ესპანიოლი), მანელი (დეპორტივო); **უნსუე (ტენერიფე), კლასენსი (ბრიუგე, ბელგია), ნადი (ბეტისი), ოსკარ ალვარესი (ბარსელონა B);** **ესპანიოლი**: ტონი (ატლეტიკო), ელგერა (რეალი), კაპდევილა (ატლეტიკო), ნან რიბერა (ალავესი), პაჩეტა (ნუმანსია); **ნაგასი (უდინეზე, იტალია), ტონი ველამასანი (ესტრემადურა), მოლნარი (ზალაეგერეგი, უნგრეთი), ცეზარ სანტისი (უნიონი, ჩილე), კორინო (ბილბაო), როტჩენი (ინდენპენდიენტე, არგენტინა), მორა (ოვიედო);** **სევილია**: ველასკო (სელტა); **ანხელი (ნუმანსია), ფრედი (სპორტინგი), გალვანი (რეკრეატივო),** **ვალიადოლიდი**: ხულიო ცეზარი (რეალი), რაული (პუებლა, მექსიკა), გუტიერესი (პუებლა, მექსიკა), დუტუელი (პუებლა, მექსიკა); **ტენა (რეალი), ლუისი (ბარსელონა B);** **ნუმანსია**: პალაციოსი (მერიდა), პაბლო (სელტა), ხავი მორენო (ალავესი), მოისესი (ტენერიფე), ანხელი (სევილია); **მანუსოვიჩი (სან ლორენცო, არგენტინა), მუნისი (რაიო ვალეკანო), პაჩეტა (ესპანიოლი), ხორხე პერესი (ბილბაო), ნაგორე (ბილბაო);** **რაიო ვალეკანო**: ბოლო (ბილბაო), მუნისი (ნუმანსია)

*შენიშვნა: მუქი შრიფტით შესყიდული ფეხბურთელები. ღია შრიფტით — გასხვისებული; * — უახლესი ტრანსფერი*

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითრის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება.

მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

რომელი გუნდი გაიმარჯვებს	
მანჩესტერი	2,5
მილანი	2,5
ბარსელონა	2,5
ლაციო	4,0
ფიორენტინა	5,0
პარმა	5,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
არსენალი	7,0
ჩელსი	7,0
დორტმუნდი	10,0
ლევერკუზენი	10,0
მარსელი	10,0
ბორდო	10,0
ვალენსია	10,0
მალიორკა	15,0
ჰერტა	15,0
ლიონი	15,0
ფეიენოორდი	15,0
ეინდჰოვენი	15,0
პორტუ	15,0
დინამო (კიევი)	15,0
სპარტაკი	25,0
რუსენბორგი	25,0
კროაცია	25,0
პარტიზანი	25,0
გენკი	25,0
ოლიმპიაკოსი	50,0
აეკ	50,0
გალათასარაი	50,0
ბეშიქთაში	50,0
ბოავიშტა	50,0
ცსკა	50,0
რეინჯერსი	50,0

ჩემპიონთა თასი

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს	
იტალია	2,0
ესპანეთი	2,4
ინგლისი	2,4
გერმანია	3,0
საფრანგეთი	5,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	15,0
უკრაინა	15,0
ნორვეგია	25,0
რუსეთი	25,0
ხორვატია	25,0
ბელგია	25,0
იუგოსლავია	25,0
საბერძნეთი	50,0
თურქეთი	50,0
შოტლანდია	50,0

უეფას თასი

რომელი ქვეყნის წარმომადგენელი გაიმარჯვებს	
იტალია	2,5
ესპანეთი	3,0
ინგლისი	3,0
გერმანია	5,0
საფრანგეთი	8,0
ჰოლანდია	8,0
პორტუგალია	12,0
ბელგია	15,0
რუსეთი	25,0
იუგოსლავია	25,0
ხორვატია	25,0
შვედეთი	25,0
ჩეხეთი	50,0
ნორვეგია	50,0
თურქეთი	50,0
შვეიცარია	50,0
შოტლანდია	50,0
საბერძნეთი	50,0
რუმინეთი	50,0

რომელი გუნდი გაიმარჯვებს	
იუვენტუსი	3,0
რომა	5,0
ლიდსი	7,0
ტოტენჰემი	7,0
ბოლონია	7,0
უდინეზე	7,0
აიაქსი	7,0
კაიზერსლაუტერნი	7,0
დეპორტივო	10,0
სელტა	10,0
ატლეტიკო	10,0
ნიუკასლი	10,0
ვერდერი	15,0
ვოლფსბურგი	15,0
ჰამბურგი	15,0
დუისბურგი	15,0
ვესტ ჰემი	15,0
მონაკო	15,0
ნანტი	15,0
ლანსი	15,0
რენი	25,0
მონპელიე	25,0
ბენფიკა	25,0
სპორტინგი	25,0
ვიტებსკი	25,0
ლოკომოტივი (მოსკოვი)	25,0
ჰაიდუკი	25,0
ცრვენა ზვეზდა	25,0
ბრიუგე	25,0
ანდერლეხტი	25,0
სელტიკი	25,0
გიოტებორგი	50,0
პაოკ	50,0
პანათინაიკოსი	50,0
როდა	50,0
სლავია (პრაღა)	50,0
ზენიტი	50,0
ფენერბაჰჩე	50,0
გრასჰოპერი	50,0
ლიერსი	50,0
ლოკერენი	50,0
სტ. ტრუიდენი	50,0
სტიაუა	50,0
დინამო (ბუქარესტი)	50,0

გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ქვეყნის ქვეყანაზე ან გუნდის გუნდზე. ქვეყნის და გუნდის გადამრავლება არ შეიძლება.
იმ გუნდებზე, რომლებიც სიაში არ არის შეტანილი, ფსონები არ მიიღება.

კროკოს ბიუროთა მისამართები:
თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი.
ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.
ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა 67, მეორე სართული.
რუსთავში — მაჩაბლის ქუჩა 3. პირიმზე, მეორე სართული.
გორში — სტალინის ქუჩა. ჭადრაკის კლუბი.
თელავში — კოსტავას ქუჩა 23
ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ცქიტიშვილის 12 ქულა

სლოვენიის ჩემპიონატი 11 სექტემბერს დაიწყება, მანამდე კი იქაური კლუბები საკონტროლო-ამხანაგურ მატჩებს მართავენ. სამი ქართველის მყოლმა ლიუბლიანის „სლოვანმა“ სტამბოლის „ფენერბაჰჩეს“ უმასპინძლა და 75:72 დაამარცხა. ნიკა ცქიტიშვილი 12 ქულით შეეწია „სლოვანს“, რომლის რიგებში ყველაზე შედეგიანი ლაკოვიჩი (22 ქულა) იყო. „ფენერბაჰჩეში“ ყველაზე მეტი, 25 ქულა გააკეთა რობინსონმა, ჩურჩიჩის ანგარიშზე 14 ქულაა.

დავით უგრეხელიძის „ტრიგლავმა“ სლოვენიის ჩემპიონატის მონაწილე „ზაგორიეს“ 70:65 მოუგო. ტრიგლაველთა შორის ყველაზე მეტი ტროპანმა (13 ქულა) და ზაგორაცმა (12 ქულა) ჩააგდეს. როგორ ითამაშა უგრეხელიძემ, ამის თაობაზე სლოვენიური სააგენტოები დუმან.

კილაძე და მაისურაძე ბათუმში ვარჯიშობენ

ვალერი კილაძემ მერვე ეროვნული ჩემპიონატის მეოთხე წრიდან აიცრუა გული თბილისის „დინამოზე“. პლეი ოფის მიღმა დარჩენილ „დინამოში“ თამაში აღარც ირაკლი ხოშტარიამ და ირაკლი მაისურაძემ ისურვეს. ხოშტარია, თითქოს, რუსთავის „აზოტში“ აპირებს გადასვლას, ყოველ შემთხვევაში, კორაჩის თასის მატჩებისთვის მაინც.

რაც შეეხებათ კილაძესა და მაისურაძეს, ისინი საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტის, „ბათუმის“ რიგებში ვარჯიშობენ. კილაძეს გუშინ ბათუმში შევეხმიანეთ:

„რაც გინდა მოხდეს, „დინამოში“ დამბრუნებლები აღარ ვართ. მოგვწყინდა ბურთის მუქთად გორება. გვეპატიჟება „აზოტი“, „ბათუმი“, აგრეთვე თბილისის რამდენიმე გუნდი. ჯერჯერობით ბათუმელებთან ერთად ვვარჯიშობთ და გადაწყვეტილება არ მიგვიღია. მე და მაისურაძე იმ გუნდში გადავალთ, რომელიც ყველაზე კარგად გადაგვიხდის“.

საუბრის ბოლოს კალაძემ დასძინა, რომ გამორიცხული არაა, ვლადიმერ ბეჟანიშვილთან ერთად, კარიერა რუსეთის რომელიმე გუნდში გააგრძელოს.

როლანდ ლაბუჩიძე

ევროპული ტრანსფერები

იტალია

მენეგინს ტორონტო ეპატიჟება

„ვარეზესა“ და იტალიის ნაკრების ფორვარდი ანდრეა მენეგინი კანადაშია და იქაური „ტორონტო რეპტორზის“ მიერ შემოთავაზებულ წინადადებას განიხილავს. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ამ კლუბმა სამწლიანი კონტრაქტი შესთავაზა 25 წლის იტალიელს.

მენეგინს არ შეუძლია ტორონტოელთა კონტაქტის ხელმოწერა, რადგან ანალოგიური დოკუმენტის ძალით იგი „ვარეზეს“ ეკუთვნის. იტალიურ კლუბს, ცხადია, არ სურს ძლიერი მოთამაშის დაკარგვა, მაგრამ „ვარეზეს“ პრეზიდენტის ბულგარონის თქმით, თუკი ანდრეა მართლა გადაწყვეტს ამერიკაში წასვლას, მას ხელს არავინ შეუშლის.

ორმეტრიანი მენეგინი წლეულს ევროპის და იტალიის ჩემპიონი გახდა.

სმიტს გარნეტის ეშხითა...

იყო დრო, როცა საკალათბურთო სამყარო ჯო სმიტის სახით ახალი სუპერვარსკვლავის დაბადებას ელოდა. ეს 1995 წლის ამბავია, მაშინ სმიტი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის დრაფტის პირველი ნომერი იყო და „გოლდენ სტეიტ ვორიორზმა“ აიყვანა.



სარგებელის არქივიდან

ჯო სმიტი

მოულოდნელად, ჯომ უფერული ორნახევარი სეზონი გაატარა „ვორიორზში“ და 1998 წლის თებერვალში „ფილადელფიაში“ გაიყიდა. მერე თავისუფალი აგენტი გახდა და ამ სტატუსით „მინესოტა ტიმბერვულვზში“ გადავიდა.

შარშან ფორვარდმა სმიტმა 43 მატჩი ითამაშა და საშუალოდ 13,7 ქულა, 8,3 მოხსნა და 1,5 დაფარება გააკეთა. სუპერვარსკვლავობამდე კი ბევრი აკლდა. ამგვარი უფრო მეორე მინესოტელს, კევინ გარნეტს ეთქმის.

ივლისიდან სმიტი კვლავ თავისუფალი აგენტი იყო. თვენახევრიანი ფიქრის შემდეგ მან „ტიმბერვულვზში“ დარჩენა არჩია. ამჯერად ერთი წლით და ერთობ მოკრძალებულ ხელფასად, 2,2 მილიონ დოლარად. მის დატოვებაში დიდი წვლილი მიუძღვის გარნეტს, რომელიც კარგა ხანს ეჩიჩინებოდა ჯოს, არსად წახვიდე და ერთად ვითამაშოთო. გაირკვა, რომ სმიტსაც იგივე სდომებია: „ნამდვილად შემეძლო სხვა გუნდში გადასვლა და უკეთესი კონტრაქტის მიღება. ამჯერად ფულს გუნდი ვარჩიე. „მინესოტა“ კარგი გუნდია. მომწონს კევინ გარნეტის პარტნიორობა და მწვრთნელ ფლიპ სონდერსის ხელმძღვანელობით ასპარეზობა“.

თუკი ასეა, სმიტს, ლოგიკით, გრძელვადიანი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა, მაგრამ კალათბურთელი სხვა აზრისაა: „ერთწლიანი კონტრაქტით თავს ვიცავ. „მინესოტა“ ის გუნდია, რომელშიაც დიდხანს დარჩენა მსურს, მაგრამ არ ვიცი, რა მოხდება მომავალში. წინა სეზონში კარგად ვითამაშეთ, მაგრამ პლეი ოფის პირველსავე წრეში გამოვარდით. ის, რომ მომავალ ჩემპიონ „სან ანტონიო სფურზთან“ დავმარცხდით, ვერაფერი შელავათია. თუკი მომავალშიც ასე გაგრძელდება, მაშინ გუნდის გამოცვლაზე ვიფიქრებ. მრავალწლიანი კონტრაქტი კი ამ საქმეში ხელს შემშლის“.

ფლიპ სონდერსი, „მინესოტას“ მთავარი მწვრთნელი და გენერალური მენეჯერი ბერმუდის კუნძულებზე ისვენებს, მაგრამ კონტინენტს მაინც შეეხმიანა: „ჯო და კევინი ერთმანეთს ავსებენ და, დღესდღეობით, ლიგის საუკეთეს დამფარველთა დუეტს ქმნიან“.

გაირკვა, რომ „ტიმბერვულვზი“ სერიოზულად მუშაობს თავისივე თავისუფალი აგენტის, უკანახაზელი ტერელ ბრენდონის ახალ, მრავალწლიან კონტრაქტზე, რომლის თანახმადაც კალათბურთელი წელიწადში 8 მილიონ დოლარს მიიღებს. ამ ფაქტის კომენტარი „მინესოტა ტიმბერვულვზმა“ იუარა.

თავისუფალი აგენტების ბაზარი

17 აგვისტო

მინესოტა ტიმბერვულვზი: შეინარჩუნა ფორვარდი ჯო სმიტი (ერთწლიანი კონტრაქტი); შეინარჩუნა ფორვარდი ტომ ჰემონდსი

ფინიქს სანზი: შეინარჩუნა უკანახაზელი რენდი ლივინგსტონი (მრავალწლიანი კონტრაქტი)

სიეტლ სუპერსონიქსი: აიყვანა „იუტას“ ყოფილი ცენტრი გრეგ ფოსტერი (სამწლიანი კონტრაქტი)

ვაშინგტონ ვიზარდსი: აიყვანა „სიეტლის“ ყოფილი ფორვარდი აარონ ვილიამსი (ორწლიანი კონტრაქტი)

17 აგვისტოს ყველაზე ბევრი „სიეტლ სუპერსონიქსმა“ იოჭრა. მისი შენაძენ-დანაკარგი თითო-თითო თავისუფალი აგენტია. ჩვენთვის კი ის გახლავთ საინტერესო, რომ ამ გარიგებებს „სიეტლის“ ქართველი ცენტრის ვლადიმერ სტეფანიას კარიერაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლიათ.

სარგებელის არქივიდან

გრეგ ფოსტერის (შუაში) სიეტლში გადასვლას მნიშვნელოვნად შეუძლია ვლადიმერ სტეფანიას კარიერის შეცვლა

სტეფანია — შემცვლელი თუ სტეფანიას შემცვლელად?

დავიწყოთ იმით, რომ „სონიქსმა“ თავისუფალი აგენტის სტატუსით აიყვანა „იუტა ჯაზის“ ყოფილი ცენტრი გრეგ ფოსტერი. იგი 30 წლისაა, სიეტლში სამ წელიწადს დარჩება და უცნობია, რა თანხას მიიღებს ამ ხანში.

უფრო საყურადღებო „სონიქსის“ პრეზიდენტისა და გენერალური მენეჯერის, ფოსტერის გადამყვან ვალი უოლკერის სიტყვებია: „გრეგი გამოცდილი ცენტრია. მისი გაბარტება და ცოდნა გამოადგება ჩვენს წინა ხაზს. მისი სახით მეორე დიდი კაცი გვეყოლება, რომელიც სწრაფად დარბის, ესვრის და დაცვაშიც კარგად თამაშობს“.

ახლა „სონიქსის“ მთავარ მწვრთნელს პოლ ვესტფოლს მოვუსმინოთ: „გრეგმა იცის, რას ნიშნავს მოსაგები სიტუაცია. მას კარგ მატჩებში კარგი კალათბურთელების წინააღმდეგ უთამაშია. ვფიქრობ, ჩვენს წინა ხაზს რიგიანი დამხმარე მოუვიდა“.

ჩვენ კი ის გავიხსენოთ, რომ გრეგ ფოსტერი არასდროს ყოფილა „იუტა ჯაზის“ ძირითადი ხუთეულის წევრი. წინა სეზონში მან 42 მატჩი კი ითამაშა, მაგრამ ძირითადში ერთადერთხელ გამოჩნდა. ფოსტერი გრეგ ოსტერტაგის შემცვლელი იყო. მატჩში საშუალოდ 10,9 წუთს თამაშობდა და 2,8 ქულას და 2,0 მოხსნას აკეთებდა. შედეგები აშკარად ნაკლებშთამბეჭდავია. 211-სანტიმეტრიანი ცენტრის საუკეთესო სეზონი 1997-98 წლებისა იყო: „იუტას“ 78 მატჩში საშუალოდ 5,7 ქულა და 3,5 მოხსნა. ვერც ეს გახლავთ მიუწვდომელი მიღწევა. საერთოდ, ცხრაწლიან კარიერაში ფოსტერმა რეგულარული ჩემპიონატის 499 და პლეი ოფის 61 მატჩი ითამაშა. 1997 და 1998 წლებში „იუტას“ შემადგენლობაში ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალში გავიდა.

ყოველივე ზემოთქმულს თუ შევაჯერებთ, უნდა დავასკვნათ: ფოსტერს „სიეტლის“ ძირითად ხუთეულში არავინ დააყენებს. რა გვაძლევს ამის თქმის საფუძველს? უპირველესად ის, რომ უოლკერი მას „მეორე დიდ კაცად“ მოიხსენიებს, ესე იგი, არსებობს მავანი „პირველი დიდი კაცი“.

ვესტფოლის სიტყვებსაც ჩავეძიოთ. მას ფოსტერი „წინა ხაზის დამხმარედ“ მიაჩნია. საზოგადოდ, „დამხმარეებს“ ძირითად ხუთეულში მხოლოდ მაშინ აყენებენ, როცა გამოუვალი მდგომარეობაა. „სიეტლს“ კი საამისო არაფერი ეტყობა — მას საკმაო დრო აქვს სასურველი მოთამაშეების შესარჩევად და ამ საქმეს ერთობ მიზანმიმართულადაც აკეთებს.

დაბოლოს, „იუტას“ ძირითადი ცენტრი ოსტერტაგი მთლად კარგი მოთამაშე ვერაა და, ნუთუ „სიეტლი“ მის შემცვლელს, თანაც 30 წლისას, დააყენებს ძირითად ხუთეულში?

მოდით, დაახლოებით ოცი დღის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ და ყური პოლ ვესტფოლს დავუგდოთ: „ვლადიმერ სტეფანია მომავალ სეზონში ცენტრად ითამაშებს. ეს ადგილი მისთვის ოპტიმალურია. იგი ან ძირითადი ხუთეულის წევრი, ან პირველი შემცვლელი იქნება“.

ვესტფოლის სიტყვებიდან ჯერ სტეფანიასთვის ყველაზე ცუდი ვარიანტი განვიხილოთ და იგი შემცვლელად შევიგულოთ. ანუ, ვლადიმერმა უნდა შეცვალოს ძირითადი ხუთეულის ცენტრი. ვინ იქნება ამგვარი? ჩვენი ანალიზის მიხედვით გრეგ ფოსტერი ძირითადობას ვერ გასწევს. „სიეტლის“ რიგებში კიდევ ორი ცენტრი ირიცხება — ჯეკლანი მაკკოი და ოლდენ პოლინაისი. მაკკოი შეგვიძლია ახლავე გამოვრიცხოთ, რადგან ვესტფოლს არასდროს დაუყენებია იგი სტეფანიაზე წინ, თან მისი სათამაშო სტილი უფრო თავდამსხმელობისკენ იხრება.

რჩება პოლინაისი. „სიეტლის“ ძირითადი, 35 წლის ცენტრი. მოდით, ამ კაცს დროებით თავი დავანებოთ და გუნდის შემადგენლობას მივუბრუნდეთ. ვის არ იპოვით იქ — გამთამაშებლებს, მსროლელებს, ცენტრებს, თავდამსხმელებს, მაგრამ ძალიანაც რომ მოინდომოთ, ფრთას, ანუ მესამე ნომერს, ვერ აღმოაჩენთ. უფრო სწორად, არის რუბენ პატერსონი, მაგრამ იგი უფრო შემცვლელად გამოდგება. ერთი სიტყვით, „სიეტლს“ სჭირდება ძლიერი ფრთა, რომელსაც, ცხადია, ხელფასიც საკმაო დასჭირდება. „სონიქსს“ ოთხი თავისუფალი აგენტი ჰყავს, რომელთაგან ერთი, თავდამსხმელი ვინ ბეიკერი აუცილებლად მიიღებს ახალ კონტრაქტს. ამის შემდეგ კი „სიეტლს“ ხელფასების ჯამურ ზღვრამდე ორი მილიონი დოლარიღა დარჩება. ანუ, ეს ორი მილიონი მომავალში აყვანილ მოთამაშეებს უნდა გაუნაწილოს. ნაკლებსავარაუდოა, „სონიქსში“ გადმოსული ფრთა ორ მილიონზე ნაკლებ ხელფასს დათანხმდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დარჩენილმა თავისუფალმა აგენტებმა — ოლდენ პოლინაისმა, ჯონ კროტიმ და დრიუ ბერიმ თავ-თავიანთი გზა უნდა მონახონ. სხვათა შორის, სიეტლში დარჩენის პერსპექტივა რომ ვერ დალანდა, ფორვარდმა აარონ ვილიამსმა ორშაბათს „ვაშინგტონ ვიზარდსთან“ გააფორმა კონტრაქტი.

რჩება კიდევ ერთი ვარიანტი: იმ მავანმა ფრთამ და პოლინაისმა დარჩენილი ორი მილიონი გაიყონ. თუკი ამგვარ გარიგებას ვინმესთან მიაღწევს, მაშინ ვალი უოლკერი გენერალური მენეჯერი კი არა, სასწაულების გენერალი ყოფილა. თანაც, „სონიქსის“ ხელმძღვანელობამ ამასწინათ არაორაზროვნად ისურვა გუნდის გაახალგაზრდავება...

ახლა ესეც ვივარაუდოთ: ვთქვათ, „სიეტლმა“ იმ მავანი ფრთის და პოლინაისის დაკმაყოფილებაც გადაწყვიტა. საიდან უნდა მოიტანოს ფული? იქიდან, რომ გუნდიდან უნდა გაუშვას ვინმე და მისი ხელფასი ამ ორ კაცზე (ან ერთზე) გადანაწილოს. ახლა ვნახოთ, ვისი გაშვება შეიძლება. პეიტონს და ბეიკერს თავი დავანებოთ. ბრენტ ბერი, მაქსველი, პატერსონი და შემონდ ვილიამსი ახლახან შეუერთდნენ გუნდს და მათი გაშვება ნაკლებსავარაუდოა.

რჩებიან სტეფანია, მაკკოი და ლუისი. ამათ შარშანდელი, ახალბედების კონტრაქტები აქვთ, რომლის თანახმადაც შედარებით მცირე ხელფასებს იღებენ და ფულის მოსაგებად მათ დათხოვნას აზრი არა აქვს...

ეჰ, ერთი წუთით მაინც ვიყო პოლ ვესტფოლი! მაშინ არც მე ვიცოდვილებდი, არც თქვენ მოგაცდენდით და პირდაპირ მოგახსენებდით, ვთამაშებდი თუ არა ვლადიმერ სტეფანიას ძირითად ხუთეულში.

მაგრამ მე ხომ ვესტფოლი არა ვარ და ამიტომაც ქართველი კალათბურთელის კარიერაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა და მარჩიელობა შემიძლია. ისე, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ის თუ არ გამართლდა, ნუ გამამტყუნებთ, თბილისიდან, საბურთალოდან ამერიკა, სიეტლი და „სუპერსონიქსის“ ოფისი ძალიან, ძალიან შორია...

მერაბ რატიშვილი

ელიოტი კეთდება

„სან ანტონიო სფურზის“ ფორვარდმა შონ ელიოტმა ერთი დღე-ღამე დაჰყო ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, რის შემდეგ ჩვეულებრივ პალატაში გადაიყვანეს. შეგახსენებთ, რომ 31 წლის ელიოტმა სან ანტონიოს ერთ-ერთ საავადმყოფოში თირკმელი გადაინერგა. დონორი მისი ძმა, 32 წლის ნოელ ელიოტი გახლდათ.

შონის გამოჯანმრთელების პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. დაახლოებით ერთ კვირაში მას შინ წასვლა შეეძლება, ხოლო მის ძმას იგივეს გაკეთება სამ დღეში შეუძლია. პროფესორ ფრენსის რაიტის აზრით: „ელიოტის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თირკმელი კარგად მუშაობს. მალე შონს თავისუფლად მოძრაობის და საკვების მიღების უფლებას მივცემთ“.

ამასობაში გულშემატკივრებმა ლამისაა აიკლონ ელიოტის პერსონალური კომპიუტერი: ელექტრონული ფოსტითა და ინტერნეტით ათასგვარ გასამხნევებელ წერილებს და მილოცვებს უგზავნიან. ერთ-ერთმა მათგანმა კოლინ ველნეკმა ელიოტს მისწერა, დროზე დაბრუნდი მოედანზე, რათა მე და ჩემი შვილები კიდევ ერთხელ დავუკაკუნოთ შენი და „სფურზის“ ოსტატობითო. მადლობის წერილებს იღებს ნოელ ელიოტიც.

თავად ელიოტმა სათქმელი თავის პრეს-მდივნის, არმანდო რიოსის პირით შემოთვალა. მან მადლობა გადაუხადა ყველას თანადგომისთვის და ხალხს მალე გამოჯანმრთელებას და მოედანზე დაბრუნებას დაპირდა.

შტეფი გრაფი ადამიანს ეძებს

ეეჰ, შტეფი რომ თამაშობდა, ლამის მთელი დუნია გრაფომანი იყო...

ყველანი ადამიანები ვართ, ანგელოზობა ვის დაეფიცება. რა ოხრობას გადაგყრის ცხოვრება, რა იცი... ჰოდა, იყო რაღაც-რაღაცეები შტეფის კარიერა-ბიოგრაფიაში, ხალხმა საჭოროდ რომ გაიხადა და პრესამაც ყბად აიღო. მამამისმა გადასახადები დამალა და გერმანიის მთავრობამ ციხეში აყურყუტა... მისმა ერთმა მართლა გიჟმა მაკერპებელმა ახალაღზევებულ მონიკა სელეშს ზურგში დანა ჩასცა და შტეფისთვის უკვე სახიფათო კარიერა წაუხდინა... ერთხელ ესეც იწყინა, ეკლესია ამხელა გადასახადს რომ მთხოვს, ის უფრო ღვთისნიერი და სამართლიანი არ იქნება, ჩემი ნებით გავიღო იმდენი, რამდენიც მინდაო...

ამ და სხვა, ჩვეულებრივ ადამიანურ უსიამოვნებებში შტეფი გრაფი არაერთხელ გახვეულა და ავისმოსურნეთა ქილიკსაც ბევრჯერ მოუკლავს მისთვის გული. ახლა კი, შტეფის ჩოგბურთიდან წასვლის მერე, კაცს გაგეკინება — რა იოტისხელა ჩანს ეს ყოველივე იმასთან, რასაც გრაფი წარმოადგენდა ჩოგბურთისთვის, ზოგადად, სპორტისთვის...

ის იყო დიდი — ჩოგბურთელი, რომლის არა მხოლოდ თამაში, არამედ თავად ეს დიდობა იყო ლამის სრულქმნილი და სხვათათვის შეუწვდომელი. სპორტი, ტარანისა არ იყოს, თვლითაა და ჩვენც ჩამოვთვალოთ: 107 ტიტული, აქედან 22 დიდი სლემისა და — უმთავრესი პირველობის 377 კვირა — დღემდე სარეკორდო! არის კი სხვა რამ საჭირო საიმისოდ, რომ ერთხმად გაღიარონ XX საუკუნის საუკეთესო ჩოგბურთელ ქალად?!

ჰოდა, კითხვაც — ვინ არის საუკუნის პირველი — რიტორიკულია: რა თქმა უნდა, შტეფი გრაფი. მაგრამ...

— მე კი არა, ის! — თქვა შტეფიმ ამ ორიოდ დღის წინ და თითი მარტინა ნავრატილოვასკენ გაიშვირა...

აი, აქ კი მთელი ისტორია და მოულოდნელი ქრონოფილოსოფიური პარალელია: შტეფი გრაფი და... დიოგენი.

ეს ძველბერძენი, გადმოცემით, დღისით ლამპრით ხელში დადიოდა და, რომ ჰკითხეს, რატომო, ადამიანს ვეძებო...

შტეფი გრაფი დიოგენელი ყოფილა — ადამიანობის, უფრო, ადამიანურობის ნატრული.

— XX საუკუნის ჩოგბურთელი ქალის ტიტული, უეჭველად და ულაპარაკოდ, მარტინა ნავრატილოვას ეკუთვნის! — განაცხადა შტეფიმ ახლახან და ამ სიტყვებს საბუთიც დაურთო: მარტინა იყო ის, ვინც ქალთა ჩოგბურთი გარდაქმნა — გახადა იგი ზესწრაფი და ჟინიანი ისე, რომ არ დაუკარგა გრაციოზულობა. მე შეიძლება უფრო მეტს მივაღწიე და უფრო დიდხანს ვიყავი პირველი, მაგრამ ის მაინც ჩემზე უკეთესი იყო. მე მაოცებდა არა მისი ნებისყოფა და გამარჯვების ჟინი, არამედ, უპირველესად, ადამიანურობა, თანაგრძნობის უნარი — ის თვისება, რომელიც ასე აკლიათ ახლანდელ ვარსკვლავებს და ვითომ ვარსკვლავებს.

და შტეფიმ გაიხსენა: 17 წლის წინათ დიდების მწვერვალზე მყოფმა ნავრატილოვამ გასამხნევებელი წერილი გაუგზავნა უცნობ, 13 წლის გერმანელ ჩოგბურთელ გოგონას, რომელიც მასთან შეხვედრისას დაშავდა. ის გოგო მე ვიყავი და იმ წერილმა უღრმესი შთაბეჭდილებაც დატოვა ჩემზე და ჩემს კარიერასაც ყველაზე დიდი კვალი დაატყო. ვფიქრობ, ეს ქველი საქციელი ქალთა ჩოგბურთის მატიანეში უნდა ჩაიწეროს...

შტეფი გრაფის ამ აღსარებასავით წრფელმა სიტყვებმა ყველაზე მეტად ჟურნალისტები გააოცა: საუკუნე თავდება და ჯამდება კიდეც, სწორედ იმის დროა, შეფასდეს და გაირკვეს, ვინ რაში ივარგა და იპირველა, ამათაც ქალთა ჩოგბურთში შტეფიზე უკეთესი არც ეგულებოდათ, ამან კი...

XX საუკუნის ბოლოს შტეფი გრაფს ის ენატრება და ეძვირფასება, რაც ახლანდელი ცივილიზაციის მშობელი ანტიკურობის გამორჩეულ კაცს — ადამიანი და ადამიანურობა...

ზეზვა მიგრიაული

მარტინა ნავრატილოვა

წაგებულის ბედნიერება

ინდიანაპოლისი. აშშ.
RCA CHAMPIONSHIPS.
საპრიზო 870 000 $

როგორც იქნა, გამოჩნდა ავსტრალიელი მარკ ფილიპუსისის ახოვანი ფიგურა ინდიანაპოლისის მშვენიერ კორტზე. მას იქ შეკრებილი რამდენიმეათასიანი აუდიტორია ტაშით შეეგება. ხუმრობა ხომ არ არის, ამ ყმაწვილკაცს თითქმის ორი თვე გაუცდა ტრავმის გამო. წლეულს, უიმბლდონის, მეოთხედფინალში, გაავსტრალიელებული ბერძენი მასსავით ტომით ბერძენს, ოღონდ გაამერიკელებულ პიტ სამპრასს უგებდა, როცა მუხლში ტკივილი იგრძნო და ბრძოლა ვეღარ გააგრძელა. ექვსი კვირის წინ კი სულაც იმ მუხლის ოპერაცია გაიკეთა. ოზის კორტზე დაბრუნებას წარმატებულს ვერ უწოდებ კაცი. იგი სამსეტიან ბრძოლაში დამარცხდა ფრანგ არნო დი პასკალთან, რომელიც მეტოქეზე 38 საფეხურით დაბლაა კლასიფიკაციაში — 50-ე ადგილზე. თუმც როგორც თვითონ ფილიპუსისი ამბობს, მას ეს მარცხი დიდად არ ანაღვლებს და დღესდღეობით მისთვის, მთავარი ტურნირში მონაწილეობაა და არა გამარჯვება. თავადაც ალალად თქვა: „ოპერაცია ცხოვრებაში პირველად გავიკეთე და კარგია, რომ ახლა ყველაფერი რიგზეა. მართალია, წავაგე, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ კვლავ გამოვედი კორტზე და მთელი არსებით შევიგრძენი თამაში“.

... ერთი კვირის შემდეგ წლევანდელი დიდი სლემის ოთხი ტურნირიდან ბოლო, ამერიკის ღია პირველობა იწყება, იქ კი მარკმა თავს ძალა უნდა დაატანოს და ბლომად წრეები დაძლიოს, თუ არ უნდა, კლასიფიკაციაში რამდენიმე საფეხურით ჩამოქვეითდეს. შარშან ფილიპუსისი ამერიკის ღია პირველობის ფინალში გავიდა და იქ თვისტომ პატრიკ რაფტერთან წააგო. საკლასიფიკაციო ქულების დიდი ნაწილიც ამ წარმატებამ მოუტანა.

ტურნირის მეორე დღემ განთესილთაგან მხოლოდ ფილიპუსისი როდი შეიწირა. ავსტრალიელს მასავით მეორე წრიდან ჩართული, ათიოდე დღის წინ კანადის ღია პირველობის მოგები შვედი ტომას იოჰანსონი მიჰყვა. მისი მძლეველიც ფრანგი გამოდგა, სახელად ასევე არნო, გვარად კი კლემენტი. კლემენტი უფრო იოლად გაუსწორდა იოჰანსონს, ვიდრე დი პასკალი ფილიპუსისს. გავარდა აგრეთვე მეთხუთმეტე ნომერი ესპანელი ფრანცისკო კლავერტი.

სხვა ბობოლები შემდეგ წრეში გავიდნენ, ერთი ეგაა, დასაწყისში კარლოს მოიას გაუჭირდა, მაგრამ საბოლოოდ ესპანელმა მაინც მოიკრიბა ძალა. მოიამ, რომელსაც რამდენიმე თვის წინ, როცა სამპრასი ფორმაში ვერ იყო, პირველი ჩოგნობის რიგმა უწია, ახლა კი მეათეა, დანიელ ვაჩეკთან პირველი სეტი ისე წააგო, მისი შემხედვარე ვერაფრით იფიქრებდი, ეს ჩოგბურთელი მსოფლიოს გრანდიაო. მოია პირველ სეტში შერცხვა, მაგრამ მეორეში საქმე გამოასწორა, მესამე კი ტაი-ბრეიკით გაჭირვებით მოიგო.

პირველი წრე: დანიელ ნესტორი (კანადა) — ფრანცისკო კლავერტი (15, ესპანეთი) 7:6, 6:1; აძსელ პრეტცში (გერმანია) — დევიდ უიტონი (აშშ) 6:2, 6:2; მაგნუს ლარსონი (შვედეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 7:6; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — კრის ვუდრაფი (აშშ) 6:4, 6:2; დევიდ პრინოუშილი (გერმანია) — პოლ ჰაარიუსი (ჰოლანდია)6:3, 6:2; იან სიმერინკი (ჰოლანდია) — მარკუს ჰიჰფლი (ავსტრია) 4:6, 6:3, 6:4; ენტონი დიუპუი (საფრანგეთი) — ენდრიუ ილიე (ავსტრალია) 7:6, 6:2

მეორე წრე: გუსტავო კუერტენი (3, ბრაზილია) — სიეგა შალკენი (ჰოლანდია) 6:4, 6:2; ჰარლოს მოია (4 ესპანეთი) — დანიელ ვაჩეკი (ჩეხეთი) ‡6, 6:4, 7:6; არნო დი პასკალი (საფრანგეთი) — მარკ ფილიპუსისი (5, ავსტრალია) 6:3, 3:6, 6:1; არნო კლემენტი (საფრანგეთი) — ტომას იოჰანსონი (8, შვედეთი) 6:3, 6:2

ტორონტო. კანადის ღია პირველობა
საპრიზო 1 050 000 $

კანადის ღია პირველობის ბოლო ოთხი გათამაშების მომგებმა მონიკა სელეშმა ახლაც გამარჯვებით დაიწყო, თუმცა ტატიანა პანოვასთან რთულმა ბრძოლამ დაარწმუნა, რომ მისი სავალი ია-ვარდით მოფენილი სულაც არ იქნება: გაამერიკელებულ იუგოსლავიელს რუსის ბარიერის დასაძლევად სამსეტიანი ბრძოლა გადახდა თავს. მსოფლიოს ექსპირველმა ჩოგანმა კიდეც დათმო მეტოქესთან პირველი სეტი ტაი-ბრეიკში. მართალია, მეორესა და მესამეში იოლად იმარჯვა, მეტოქეს თითო-თითო გეიმის მოგების საშუალებაღა მისცა, მაგრამ სამსეტიანმა ბრძოლამ მაინც საკმაოდ მოღალა.

მოიგო აგრეთვე სელეშის უმთავრესმა კონკურენტმა, მსოფლიოს მეორე ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა. მან იოლად დაამარცხა ამერიკელი კორინა მორარიუ და რუბინ-დეშის მატჩის დასასრულს დაელოდა, რადგან ამ წყვილში გამარჯვებულთან მოუწევს მონიკას ბრძოლა მომდევნო ეტაპზე. როგორც მერე გაირკვა, ეს მეთექვსმეტე ნომრად განთესილი ჩანდა რუბინი იქნება, რომელმაც სამსეტიან დაძაბულ ბრძოლაში იმარჯვა.



REUTERS ტორონტოდან

მარი პირსი

მეორე წრე ასევე გადალახა ფრანგმა მარი პირსმაც, რომელიც ამ ტურნირზე მესამე ნომრად განუთესავთ, თუმცა იგი ამჟამად არცთუ საუკეთესო ფორმაშია და ალბათ, ტურნირის ბოლომდე წარმატებით სვლა ძალიან გაუჭირდება. ჯერ კი ნაადრევია ამაზე ფიქრი, მაგრამ გამარჯვებული მაინც, ალბათ, სელეშსა და ჰინგის შორის უნდა მოვიძიოთ. ძნელად, რომ მათ ვინმემ ხელი შეუშალოს.

თუ უძლიერესი ქალები მეორე წრიდან ჩაერთვნენ კანადური თასისთვის ბრძოლაში, მათზე სუსტებს ჯერ პირველი ეტაპის გავლა დასჭირდათ და მათ უმრავლესობას ეს კარგად ვერ გამოუვიდა. პირველი წრის შეხვედრებმა ერთბაშად სამი განთესილი შეიწირა, მხოლოდ მეთორმეტე ნომრად განთესილმა, ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა შეძლო პირველი წრის გავლა. მას თანამემამულე მარია ანტონია სანჩეს ლორენცოს გზიდან ჩამოცილება არ გასჭირვებია.

პირველი წრე: ჟონჩიტა მარტინესი (12, ესპანეთი) — მარია ანტონია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 6:3, 6:1; მირიანა ლუჩიჩი (ხორვატია) — პატი შნიდერი (13, შვეიცარია) 6:3, 6:7, 6:3; ანკე ჰუბერი (გერმანია) — ირინა სპირლეა (14, რუმინეთი) 6:2, 6:2; ანე-ჟილ სიდოტი (საფრანგეთი) — ემი ფრეზერი (17, აშშ) 6:3, 3:6, 7:5; აი სუგიამა (იაპონია) — სონია ჯეისილანი (ჰოლანდია) 7:5, 6:2; ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) — კარა ბლეკი (ზიმბაბვე) 6:4, 6:1; ელენა დოკიჩი (ავსტრალია) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:3, 6:4; გალა ლეონ გარსია (ესპანეთი) — მარია ალეხანდრა ვენტო (ვენესუელა) 6:3, 6:0; ელენა ტატარკოვა (უკრაინა) — სილვია ტალაია (ხორვატია) 4:6, 6:4, 6:1

მეორე წრე: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — კორინა მორარიუ (აშშ) 6:0, 6:3; მონიკა სელეში (2, აშშ) — ტატიანა პანოვა (რუმინეთი) 6:7, 6:1, 6:1; მარი პირსი (3, საფრანგეთი) — რუქსანა დრაგომირი (რუმინეთი) 7:6, 6:3; ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) — ჯანეტ კრუგერი (სამხრეთ აფრიკა) 6:1, 6:2; ელენა ლიხოვცევა (15, რუსეთი) — მორინ დრეიკი (კანადა) 6:0, 7:5; ჩანდა რუბინი (16, აშშ) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 6:2, 4:6, 6:4

REUTERS ტორონტოდან

მონიკა სელეში

ივანე კოტიაშვილი

კუბელთა ბელადის ფიქრები და მიზნები

კუბას ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის სურვილი რომ გასჩენია, ამის თაობაე უკვე გაუწყეთ და ფიდელ კასტროს მთელი ძალ-ღონე ახლა სწორედ საამისო უფლების მოსაპოვებლად მიუმართავს.

„არა მგონია ვინმემ შეძლოს ჩვენი უფლებისა და არგუმენტების უარყოფა“ — ამბობს იგი, არგუმენტებად კი კუნძულელთა სპორტული მიღწევები მოყავს და ისიც, რომ კუბა მესამე სამყაროს განეკუთვნება.

ყოველივე ამაზე პარასკევს სპორტსმენებთან დახურულ კარს მიღმა ისაუბრა ფიდელ კასტრომ, რომლის ვიდეოჩანაწერიც შაბათს გადაიცა სახელმწიფო ტელევიზიით.

იმ შემთხვევაში, თუ კუბა 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებს ვერ უმასპინძლებს, მაშინ ამას 2012 წლისთვის შეეცდება. და თუ აქაც ვერ გაუმართლა, მაშინ სჯერათ, რომ ეს 2016 წელს მაინც მოხდება.

კასტროს თქმით, მდიდარი და განვითარებული ქვეყნები უპატიოსნოდ დომინირებენ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობით.

„ჩვენ იგივეს არ მოვითხოვთ კუბისაგან. ჩვენ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლებას მოვითხოვთ მთელი კარიბის კუნძულებისა და მესამე სამყაროს სახელით, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ პატივი ემასპინძლათ ოლიმპიური თამაშებისთვის. ჩვენ ამ უფლებას მოვითხოვთ თითქმის ხუთ მილიარდიანი მოქალაქეთა სახელით, რომელიც იგნორირებულია ან არ ახსოვთ“.

„კარიბეთს, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის 350 მილიონზე მეტ მოსახლეობას არასოდეს უმასპინძლია ოლიმპიური თამაშებისთვის და არც აფრიკას, რომლის მოსახლეობა 700 მილიონზე მეტია“— ამბობს ფიდელ კასტრო.

შეგახსენებთ, რომ მესამე სამყაროდან ერთადერთი ქვეყანაა მექსიკა, რომელმაც XXIII ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლა (1968წ.).

კასტროს თქმით, კუბა გაიღებს ოლიმპიელთა ტრანსპორტირების, დაბინავებისა და კვებისთვის განკუთვნილ ხარჯებს მხოლოდ მესამე ქვეყნის წარმომადგენლებისთვის, მდიდარ სახელმწიფოებს კი თავად მოუწევთ მგზავრობის ხარჯების გაღება.

მისივე აზრით, კომუნისტურ კუბას, რომელიც სპორტული მიღწევებითაა აღიარებული, იმსახურებს იმას, რომ ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის შანსი მიეცეს.

მართლაც, კუბა ძლიერი ოლიმპიური ძალაა ლათინურ ამერიკაში და არა მხოლოდ იქ. ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე (1996წ.) მათ ხომ ცხრა ოქროს მედლით VIII ადგილი დაიკავეს, ხოლო ბარსელონაში თოთხმეტი ჩემპიონით მეხუთენი იყვნენ, პან-ამერიკულ თამაშებზე კი 69 ადგილით მეორე ადგილი მოიპოვეს.

„ამ პატარა ქვეყანამ, რომელსაც ბლოკადა აქვს გამოცხადებული და ათასგვარი ხერხებით ებრძვიან, უფრო მეტი გააკეთა სპორტისთვის, ვიდრე სხვა სახელმწიფოებმა“ — ამბობს კასტრო და იქვე გვახსენებს კუბაზე ვაშინგტონის 37-წლიან სავაჭრო ემბარგოს, რომელსაც ჰავანაში „ბლოკადას“ ეძახიან.

თუმცა იქვე ამატებს, რომ თამაშების მასპინძლობის უფლების მოპოვება „იოლი საქმე“ არ იქნებაო.

— კუნძული ამჟამად გამოდის იმ ეკონომიკური კრიზისიდან, რომელიც გამოწვეული იყო ყოფილ საბჭოთა კავშირის ბლოკისგან დახმარებისა და სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტით. ამიტომაც ოპონენტები დაეჭვდებიან, თუ რამდენად მარჯვედ შეეძლებთ ოლიმპიური ინფრასტრუქტურის მოწყობას — ამბობს ფიდელ კასტრო.

— ამავე დროს წარმოუდგენელია არ იყოს პოლიტიკური ოპოზიციაც, აშშ-სგან მაინც, რომელიც 1959 წლის რევოლუციის მერე ცდილობს, რომ კასტრო ძალაუფლების გარეშე დატოვოს, — ამბობენ კუბის ლიდერები.

— კუბამ უკვე დაამტკიცა თავისი ორგანიზაციული მარიფათი და შესაძლებლობაც მას შემდეგ, რაც 1991 წელს პან-ამერიკულ თამაშებს უმასპინძლა — ასკვნის ოპტიმისტურად განწყობილი კუბელთა ლიდერი, რომელმაც პარასკევს თავისი დაბადების 73 წელი იზეიმა, კუბელმა სპორტსმენებმა კი ბელადს დაბადების დღის აღსანიშნავად საჩუქრები გადასცეს.

გიგა გურასაშვილი

კემბრიჯელმა ივაბუჩიმ ორჯერ ჩაქოლა

კენსელ ივაბუჩი

მსოფლიოს თასის დაწყებამდე უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება და გუნდებიც გამალებით ემზადებიან ამ დიდი ტურნირისთვის.

იაპონიის ნაკრები მსოფლიოს თასზე D ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქე სამოა, უელსი და არგენტინა იქნებიან. ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს ფავორიტად არავინ მიიჩნევს, მაგრამ მათ თამაშში პროგრესი რომ უდავოა, ფაქტია. მარტო ის რად ღირს, რომ იაპონიამ მასსავით მსოფლიოს თასზე საასპარეზოდ გამზადებული ესპანეთი 71:12 დაამარცხა. ესპანელთა მთავარ მწვრთნელს მძიმე სამუშაო ელის. ხუმრობა ხომ არაა, მოხვდე ისეთ ჯგუფში, სადაც მსოფლიოს ჩემპიონი სამხრეთ აფრიკა, ხუთი ერის გამარჯვებული შოტლანდია და არცთუ ხელწამოსაკრავი ურუგვაი გელიან. აკი განაცხადა კიდეც პირნეელთა თავკაცმა ალფონსო მონდადო ვასკესმა, რომ მხოლოდ ურუგვაისთან გამარჯვების ეიმედება, ხოლო შოტლანდიასთან და სამხრეთ აფრიკასთან მთლიანად დაცვაზე იფიქრებს. გაამართლებს თუ არა ვასკესის ტაქტიკა, ამას მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი მისი გუნდი ხუთი ახალზელანდიელითა და ერთი ფიჯელით გაძლიერებული იაპონიის ნაკრებთან დამარცხდა. თამაში მთლიანად აზიელთა უპირატესობით წარიმართა და ასევე დასრულდა. მატჩის გმირად თამამად შეიძლება მივიჩნიოთ იაპონელი ივაბუჩი, რომლის ანგარიშზეც მისიანთა ათი ლელოდან ორია, ამასთან ცხრა გარდასახა და ერთი საჯარიმოც ზუსტად შეასრულა, მთლიანად კი ივაბუჩის მონაგარი 31 ქულაა. ეს ყოჩაღი იაპონელი კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტია და იაპონიის ლიგაში მოასპარეზე „კობე სტილის“ წევრია. ესპანელებმა საშინელი პირველი ტაიმის შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება სცადეს. მათ ორჯერ მოახერხეს მეტოქის ჩათვლის მოედანში ბურთის დადება, აქედან კი მხოლოდ ერთი გარდასახეს.

ბაჩო სვანიძე

სამსახელამ თავიც ისახელა

ესპანეთში მიმდინარე „ბურგოსის ტურის“ მეორე ეტაპი ბურგოსსა და მედინა დე პომარს შორის სამშაბათს გაიმართა. მრბოლებს 168-კილომეტრიანი გზის დაფარვა მოუხდათ. საფინიშო სპრინტში გამარჯვება მრავალსახელიანმა ესპანელმა მიგელ ანხელ მარტინ პერდიგუერომ (ონსე) მოიპოვა.

მისმა თანამემამულემ და თანაგუნდელმა აბრაამ ოლანომ, რომელიც „ონსეს“ ლიდერია, ეტაპი პელოტონთან ერთად დაასრულა და ამიტომაც საერთო ჩათვლაში ლიდერობა შეინარჩუნა. შეგახსენებთ, რომ ორშაბათს გამართული ინდივიდუალური რბოლა სწორედ ოლანოს გამარჯვებით დასრულდა და ტურის ლიდერობაც ამიტომ ხვდა წილად.

პაპანაქების მიუხედავად, მრბოლები საკმაოდ აქტიურობდნენ და სამმა, მატიას კაგიასმა, ანდრეა ტონტინი და სტეფანო კასაგრანდემ კარგი შეტევაც განახორციელა. მათ დაახლოებით 100 კილომეტრის მანძილზე შეძლეს ლიდერობა და ერთხანს პელოტონს ოთხ წუთზე მეტსაც უგებდნენ. ისინი სტარტიდან 50 კილომეტრის გაელის შემდეგ გაექცნენ მთავარ ჯგუფს და მხოლოდ ფინიშამდე 18 კილომეტრით ადრე დათმეს პოზიციები, რადგან „ონსეს“ წევრებმა მათ დასაწევად ძალ-ღონე არ დაიშურეს.

სპრინტში კი მადრიდელი პერდიგუეროს გამარჯვება ნამდვილად მოულოდნელი იყო. მან შვეიცარიელ მარკუს ზბერგსა (რაბობანკი) და იტალიელ მარიო ტრავერსონის (საეკო) აჯობა.



პერდიგუერომაც გაიმარჯვა

გაგი გურული

ირლანდიელებს არგენტინელები გამოარჩევენ

მსოფლიოს თასისთვის ემზადება ირლანდიის ნაკრებიც. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 28 აგვისტოსთვის დანიშნული მატჩი ირლანდიასა და არგენტინას შორის, რომელიც ქართველ მორაგბეთათვის კარგად ნაცნობ სარბიელზე, დუბლინის „ლენსდაუნ როუდზე“ გაიმართება.

კელტების მთავარმა მწვრთნელმა სამხრეთამერიკელებთან დასაპირისპირებლად 34 მობურთალს უხმო. სწორედ მათგან შეარჩევს იმ 30 მორაგბეს, რომლებიც პირველი ოქტომბრიდან მსოფლიოს თასზე ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. არგენტინელებთან მატჩამდე და მატჩის შემდეგ ირლანდიელები თითოეულ ვირიან შეკრებებს მოაწყობენ და 30 რჩეული მორაგბის ვინაობაც ამას შემდეგ გაირკვევა.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, გუნდში ვერ მოხვდა ვიქტორ კოსტელო, რომელსაც სანაკრებო დონეზე 22 გამარჯვება მოუპოვებია. და კიდევ ერთი მოულოდნელობა — შერკინების ნახევარმცველი, კირან სკელი არ გამოიძახეს. არადა, იგი ბოლო დროს რეგულარულად თამაშობდა ნაკრებში. სამაგიეროდ, ირლანდიელთა თავკაცმა უორენ გეტლანდმა გუნდში ოთხ ახალწვეულს უხმო: უკანახაზელებს — მაიკ მულინზსა და რონან ოგარას და მორკინალებს — ანგუს მაკკინსა და რობერტ კეისის.

ალექსეი ურმანოვი

მისტერ იქსმა ხელიც არტისტულად დაგვიქნია

მოყვარულებს ერთი გზა აქვთ: პროფესიონალობა

ლილეჰამერის (1994) ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფიგურულად მოიგურავე, რუსი ალექსეი ურმანოვი ბევრი თავისი თანამემამულის კერპი იყო. მისი არტისტიზმი თვალნათლივ გამოჩნდა უწინარეს ყოვლისა ბრწყინვალე „მისტერ იქსში“, რომელიც „გედების ტბის“ მუსიკალურ კომპოზიციაში წარმოადგინა. ამ ნომრის შესრულებისას ტრიბუნებს უწყვეტი ტაში სწყდებოდა.

ფიგურული სრიალის მოყვარულთ ჩვეულებრივ ამახსოვრდებათ ხტომები, ბზრიალი და სხვა მისთანა ელემენტები, რომლებიც ფეხებით სრულდება, მაგრამ, აი, ურმანოვის გამოსვლებიდან ხალხს მისი არტისტული ხელებიც აღებეჭდა მეხსიერებაში.

რუსეთის ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი ვალენტინ პისევი ამბობს, ალექსეი ურმანოვის უნიკალურობა მხოლოდ ყინულზე დიდოსტატური გამოსვლები არ იყო. მისი თქმით, ურმანოვი ფიგურულ ციგურაობაში ყოფილა დიდ სიმაღლეზე გადებული ზნეობის თავისებური თამასა, რომელიც ამ დიდებული სპორტსმენის თანაგუნდელებისთვის ორიენტირი იყო.

ვალენტინ პისევი იმასაც ამბობს, ურმანოვთან, ამ ჭკვიან, ნამდვილ პიტერელ ინტელიგენტთან ურთიერთობა ერთ რამედ ღირდა მისი ახალგაზრდა კოლეგებისთვის, რომლებიც ჩემპიონისგან სწავლობდნენ ნირგვარ სიტუაციაში ქცევის წესებსო.

მაგრამ რაკი წარსულ დროში ვსაუბრობთ ამ ოლიმპიურ ჩემპიონზე, არ იფიქროთ, ურმანოვს ცუდი რამ შეემთხვაო. უბრალოდ, „მისტერ იქსმა“, რომელსაც 17 ნოემბერს 26 წელი შეუსრულდება და შეუძლია კვლავაც მოიპოვოს მედლები, გადაწყვიტა მანამ გაეცალოს ყინულზე ბრძოლებს, სანამ კარსმომდგარ და მომმლავრებულ ახალგაზრდა თაობას იგი დაუმარცხებია.

— მინდა წარმატებათა პიკში ყოფნისას წავიდე, — ამბობს ურმანოვი, რომელმაც თავის ბოლო სეზონში ერთ-ერთი უპრესტიჟულესი ტურნირის — საჩემპიონო სერიის ეტაპის, ფინალში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ურმანოვის მშვენიერ კარიერაში დიდი წვლილი შეიტანა პეტერბურგელმა მწვრთნელმა ალექსეი მიშინმა. მისი თქმით, ალექსეის ბევრი უფიქრია, მანამ წასვლას გადაწყვეტდა.

— ბოლო წლები ურმანოვისთვის ძველებურად წარმატებული აღარ იყო, — ამბობს მწვრთნელი, — 97-ში ლოზანაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე მძიმედ დაშავებამ მას „ოქრო“ დაუკარგვინა. მერე აღდგენითი პერიოდი იყო. ბევრი იმასაც ფიქრობდა, ურმანოვი ყინულს ველარც დაუბრუნდებაო, მაგრამ ალექსეი დაბრუნდა და დამტკიცა თავისი დიდოსტატობა. და მაინც, ურმანოვი ურმანოვი არ იქნებოდა, წერტილი ლამაზად რომ არ დაესვა.

თუმცა, ურმანოვი ფიგურულად სრიალს მთლიანად არ შორდება. ახლა ურმანოვისთვის ყინულზე დაგდებული მისი სახელი „მუშაობს“ — ალექსეის პროფესიულ ტურებზე იწვევენ და საქმე ასარჩევად აქვს.

ძახა ხურციძე

პრიმო ნებიოლო პრეზიდენტობას სიკვდილამდე აპირებს

არცთუ დიდი ხნის წინ, 1981 წელს, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია (IAAF) ლონდონის გარეუბანში, ერთოთახიან ოფისში იყო შეფარებული და მისი ბიუჯეტი სულ რაღაც 50 000 დოლარს შეადგენდა. ამჟამად კი მძლეოსნობის მამები თავის მრავალრიცხოვანი თანამშრომლებით მონტე-კარლოს ერთ-ერთი ფეშენებელური შენობის კაბინეტებიდან განაგებენ სამძლეოსნო საქმეებს და IAAF-ის ბიუჯეტიც, არც მეტი, არც ნაკლები, 50 მილიონი დოლარია. და ეს ყველაფერი ერთი კაცის, იტალიელი პრიმო ნებიოლოს დამსახურებაა — ზუსტად ასე თქვეს გუშინწინ სევილიაში გამართული მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესის დელეგატებმა, თან ისიც დააყოლეს, 1981 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც დონ პრიმო IAAF-ის პრეზიდენტია, „სპორტის დედოფლად“ შერაცხულმა მძლეოსნობამ არნახული პროგრესი განიცადა — აქეთ მსოფლიოს ჩემპიონატები, „გრან პრისა“ და „ოქროს ლიგის“ ტურნირები, იქით კიდევ კროსმენთა, მარათონელთა და ახალგაზრდათა მსოფლიოს პირველობები. ერთი სიტყვით, პრიმო ნებიოლოს კონგრესმენებმა თექვსმეტწლიანი ბატონობის ხანა კიდევ ოთხი წლით გაუხანგრძლივეს — კარსმომდგარი სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატს წინ IAAF-ის პრეზიდენტად აირჩიეს.

გულაჩუყებულმა ნებიოლომ ერთგულ ქვეშევრდომთ ნდობისთვის დიდი მადლობა გადაუხადა და საქვეყნოდ განაცხადა: — მთელი ცხოვრება მძლეოსნობას მივუძღვენი, 76 წლისა მოვიყარე, მაგრამ ჯერ კიდევ შემრჩა ძალა და ღონე, ჩემს საყვარელ საქმეს სიკვდილამდე ვემსახუროო.

REUTERS სევილიიდან

ერთგულმა და კმაყოფილმა ქვეშევრდომებმა პრიმო ნებიოლო ისევ ერთხმად აირჩიეს



მერლინ ოტის სიბერეში სისხლი დაუწუნეს

მერლინ ოტი, 200 მეტრზე რბენაში ყოფილი მსოფლიოს ჩემპიონი, აკრძალული ნივთიერების ნანდროლონის გამოყენების გამო სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

39 წლის სპრინტერს ახლახან სისხლში სწორედ ნანდროლონი აღმოუჩინეს და დისკვალიფიკაციაც ამიტომ მიუსაჯეს, თუმცა მორბენალი აცხადებს, რომ უდანაშაულობის დასამტკიცებლად იბრძოლებს.

ოტიმ ჟურნალისტებს განუცხადა: „ყველამ იცოდეს, რომ უდანაშაულო ვარ, ოჯახს, სამშობლოს, გულშემატკივრებს მინდა დავუმტკიცო, რომ საშინელი შეცდომა მოხდა. ასეთი რამ არასდროს გამიკეთებია და არც ახლა გავაკეთებდი“.

მერლინ ოტიმ ისიც დაამატა, რომ მის სისხლში აკრძალული ნივთიერების აღმოჩენის შესახებ და შესაბამისად დისკვალიფიკაციაზე მას კვირას აცნობა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ. სპრინტერმა ასევე დასძინა, რომ მას მხოლოდ დისკვალიფიკაციის ამბავი შეატყობინეს, გამოკვლევის შედეგები კი მისთვის არავის უცნობებია.

მერლინ ოტი ყველა დროს საუკეთესო მძლეოსან ქალთა ათეულში შედის. 1979 წლიდან მოყოლებული, თითქმის ოცწლიანი კარიერის მანძილზე, იამაიკელ სპრინტერს მსოფლიოს ჩემპიონატებზე 14 მედალი მოუგია.

დედოფალი კი არა, მეფე!

ნეტავი, ქორწილში არ დაგვატიჟებენ?

უნებლიედ ეს ფრაზა გამახსენდა, როცა მძლეოსნობაში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნებს გადავავლე თვალი.

არა, ჩვენ იქ მართლა არაფერი გვესაქმება. არანაირი მედლის მოპოვების იოტისოდენა შანსიც არა გვაქვს და იმიტომ.

ქართველებს უაზრო სირბილი არ გვიყვარს, ჩვენ სათამაშო სახეობებისთვის ვართ დაბადებულნი. ეს ამბიციური აზრი დიდი ხნის წინათ გაჩნდა და კარგა ხანს იბოგინა, იქამდე, სანამ იმ თურმე მხოლოდ ჩვენთვის განკუთვნილ სათამაშო სახეობებში კბილები არ ჩაგვამტვრიეს და ხელში არ დაგვაჭერინეს.

ახლა აქა-იქ და ვიღაც-ვიღაცეები უკვე მიხვდნენ, რომ ფეხბურთელთა გუნდში თურმე მძლეოსანი მწვრთნელის მოწვევაც არის საჭირო, მძლეოსანი მწვრთნელი სჭირდება კალათბურთელებსაც და საერთოდ, თვითონ მძლეოსნობა სჭირდება სპორტის ნებისმიერ სახეობას იმიტომ, რომ ეს დალოცვილი ჯანმრთელობის, სისწრაფის, გამძლეობის საფუძველთა საფუძველია.

ფეხბურთს მივხედოთ! კალათბურთის მივხედოთ! ჭიდაობას მივხედოთ! ჩოგბურთს მივხედოთ! ასეთია საქართველოში ყველა დონეზე სალაპარაკო თემა. რაღაც ვერ ვიხსენებ ვინმეს წამოცდომოდეს (თვითონ მძლეოსნების გარდა) მძლეოსნობას მივხედოთო...

მძლეოსნობა ხელოვნებასავით არის.

არადა, ვერაფერსაც ვერ მივხედავთ, ვერაფერს ვერ მოვაბამთ თავს, თუ ანბანის დონეზე მაინც არ მოიკიდა ფეხი ამ სახეობამ?

ხვალ სევილიაში მსოფლიოს სულ ცოტა 150 ქვეყნის სპორტსმენები შეიკრიბებიან. მათ შორის არ იქნებიან ქართველები. სპორტში პრეტენზიების მქონე ერისთვის ეს ფაქტი, მეტი რომ არ ვთქვა, სირცხვილია.

ხვალ სევილიაში დედოფლის ქორწილია და შეკითხვაც, დაგვაპატიჟებენ თუ არა, ალბათ სავსებით უადგილოა.

არ დაგვატიჟებენ...

ირაკლი გერიაფშვილი



მორის გრინს (მარჯვნივ) სევილიაში მეტოქედ მეგობარი ატო ბოლდონი აღარ ეყოლება

აღარც ბოლდონი, აღარც ბეილი...

ტრინიდადელი მძლეოსანი ატო ბოლდონი ესპანეთის ქალაქ სევილიაში 21-29 აგვისტოს გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს გამოაკლდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 200 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ეყოლება.

ბოლდონმა „ოქროს ლიგის“ პარიზულ ტურნირზე ბარძაყის მცირე ტრავმა მიიღო. ახლახან ლონდონში, 4X100 მეტრზე მონაწილეობისას თითქმის მოშუშებული პარიზული ტრავმა გაუმიზეზდა და სწორედ ამიტომაც თქვა სევილიაში გამოსვლაზე უარი.

„წლევანდელი სეზონი ჩემთვის უკვე დამთავრდა. ახლა რამდენიმედღიანი იძულებითი შესვენება მიწევს და სევილიისთვის ჩვეული ფორმის დაბრუნებას ვერაფრით მოვახერხებ. უბრალო ტურისტად ესპანეთში ჩასვლის პერსპექტივა კი ნამდვილად არ მხიბლავს“ — თქვა ტრინიდადელმა სპორტსმენმა.

არადა, მისი არყოფნით მსოფლიოს ჩემპიონატი ნამდვილად ბევრს დაკარგავს. 25 წლის მძლეოსანმა 200 მეტრზე სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა (19,86 წამი), ხოლო 100 მეტრზე ორჯერ 9,86 წამში გაირბინა, რაც ნამდვილად კარგი შედეგია.

კანადელმა დონოვან ბეილიმაც, ტრინიდადელი ატო ბოლდონის მსგავსად, განაცხადა, რომ სპრინტში მონაწილეობას არ მიიღებს. „მხოლოდ 4X100 მეტრზე ვიასპარეზებ“ — თქვა მან „ოქროს ლიგის“ ციურიხული ტურნირის შემდეგ, რომელსაც მაყურებლის რანგში დაესწრო. „ჯერ კიდევ ვერ მივაღწიე იმ ფორმას, 100 მ-ზე წარმატების იმედი რომ მქონდეს“ — განმარტა თავისი გადაწყვეტილება ბეილიმ.

31 წლის ბეილიმ, რომელმაც 1997 წლის ათენის მსოფლიოს ჩემპიონატზე მძლეოსნობის ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, ცხრათვიანი უმოქმედობის მერე ვერაფრით აღიდგინა სასურველი ფორმა. სარბენი ბილიკებიდან მისი გაუჩინარების მიზეზი აქილევის მყესის ოპერაცია იყო.

მან თავის ბოლო გამოსვლაში 100 მეტრი 10,03 წამში გაირბინა. თუმცა ფიქრობს, რომ სევილიის ტურნირის დაწყებამდე ამ შედეგს იმდენად ვერ გაუმჯობესებს, მორის გრინთან და სხვებთან მედლებისთვის პაექრობა შეძლოს.

მსოფლიოს ექსრეკორდსმენის (გრინმა ათენში მისი რეკორდი გაუმჯობესა, როცა 9,79 წამში გაირბინა 100 მეტრი) აზრით, სევილიურ სპრინტში მთავარი ფავორიტი გრინი სულაც არაა. ბეილის განცხადებით, ბარბადოსელ ობადელე ტომპსონს და განსაკუთრებით მის თვისტომს ბრუნი სურინს ოქროს მედლით მკერდის დამშვენების გაცილებით კარგი შანსები აქვთ. თვითონ მას კი 4X100 მეტრზე, ათენის მსოფლიოს ჩემპიონატის მსგავსად, კანადის გუნდის გამარჯვებაში წვლილის შეტანაა შეუძლია.

გაიოზ თალაკვაძე

ქალებს ფავორიტი უყვართ

შენიანში გრძელდება ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფიდესეული ფინალური მატჩი სიუ ჟუნსა და ალისა გალიამოვას შორის. ფინიშამდე ოთხი ტურით ადრე უკვე შეიძლება ითქვას, რომ მოჭადრაკეები შავი ფიგურებით თამაშისას ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე თეთრებით. აი, საამისო საბუთიც: სიუ ჟუნმა ოთხი გამარჯვებიდან სამი შავებით მოიპოვა, ხოლო გალიამოვამ სამიდან ორი მოიგო. მე-12 ტურში რუსმა გაიმარჯვა, მისთვის ფსიქოლოგიურად საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში, ანუ ორქულიანი დეფიციტის პირობებში. ეს პარტია შედარებით სწრაფად, 39 სვლაში დასრულდა. სიცილიურ დაცვაში მეტოქეებმა როქი სხვადასხვა მხარეს გააკეთეს, რაც დიდი ჯახის მომასწავებელი იყო და სიუ ჟუნმა ერთი შეუტია კიდეც მეფის ფლანგზე, მაგრამ გალიამოვამ განმუხტა დაძაბულობა და მხარეები მანევრირებაზე გადავიდნენ; ცოტა ხანში დაფაზე მხოლოდ მძიმე ფიგურები შემორჩნენ, მერე კი იყო სიუ ჟუნის შეცდომა, გალიამოვას პატარა კომბინაცია და ჩინელი ალტერნატივის წინაშე დადგა: ან ეტლი უნდა დაეკარგა, ან შამათი უნდა მიეღო, ანაც დანებებულიყო. სიუ ჟუნმა ყველას ბოლო ვარიანტი ამჯობინა. მატჩის ანგარიშში სხვაობა შემცირდა -– 6,5:5,5 და შესაბამისად ინტრიგა გაიზარდა. მე-13 პარტიაში თეთრებით გალიამოვა ითამაშებს.

მსხვრევა

ინგლისური სეტყვა სომხურ ქვაზე

ლას ვეგასში აღარცერთი ფავორიტი აღარ დარჩა. ბოლო იყო ინგლისელი მაიკლ ადამსი და, აჰა, გუშინ მისი მზეც ჩაესვენა, თანაც ნაადრევად. სომეხმა ვლადიმერ აკოფიანმა დაგეგმილი ოთხიდან სამი პარტია იკმარა ბრიტანელის გასამწარებლად და ახლა მეორე ფინალისტის მოლოდინში შეუძლია ორიოდე დღე დისნეილენდის თვალიერებით შეიქციოს თავი, როგორც ეს კასპაროვმა განაცხადა სამიოდე დღის წინ. ადამს — აკოფიანის მესამე პარტიაში ინგლისელს მხოლოდ გამარჯვება აძლევდა ხელს და მანაც ფრანგულს დაცვაში შეწირვას მიმართა ინიციატივის მისაღებად. აკოფიანს ვერ დავუკარგავთ იმ სიმამაცეს, მეტოქის ამ თავზეხელაღებულ ქმედებას რომ დაუპირისპირა. მისი რისკიანი გრძელი როქი და პარალელურად მეფის ფრთაზე ხაზის გახსნა ამის დამადასტურებელი საბუთები გახლავთ. ადამსმა რომ ლაზიერის ფრთაზე შეუტია, აკოფიანმა მეფის ფრთიდან დაარტყა. მოკლედ, ამაზე იტყვიან, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო. საბოლოოდ, ქვამ ჯობა. აკოფიანის პაიკებმა გადამწყვეტი დარტყმა შეასრულეს და თავიანთი სარდალი ფინალში გაიყვანეს 2,5:0,5 — ამ ანგარიშით მოიგო ნახევარფინალი აკოფიანმა. შედეგიანი გამოდგა მეორე ნახევარფინალის მესამე პარტიაც, სადაც რუსმა ხალიფმანმა რუმინელი ნისპეანუ დაამარცხა და ბოლო პარტიაში ყაიმიც ყელამდე ჰყოფნის.

დავით გულუა



ბოლო ფავორიტი მაიკლ ადამსი იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ

კლაიდ დრექსლერი ცნობილი კალათბურთელი გახლდათ, NBA-ში თუ ვინმე დაფრინავდა, ერთ-ერთი ეგ. იყო, მაგრამ დიდგერიდოსთან საქმე არასდროს დაეჭირა. როგორც ხედავთ, დააჭერინეს. ავსტრალიაში ორი კვირით ჩავიდა თუ არა აბორიგენთა საგანგებო კომისიის თავმჯდომარემ გატჯოლ ჯერკურამ (მარცხნივ) და იქაურმა კალათბურთელმა დაიან კროსმა სიდნეის უნან რედფერნში იმხელა დიდგერიდო დააჭერინეს, რომ ლამისაა გული გასკდეს. აბა კლაიდმა რა იცოდა ამ ინსტრუმენტზე დაკვრა, მწვანე კონტინენტზე კალათბურთის წახალისებას აპირებდა.

REUTERS სიდნეიდან

ᲛᲘᲡᲘᲡ ᲠᲝᲚᲔᲡᲝᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

ᲒᲐᲠᲘ ᲚᲘᲜᲔᲙᲔᲠᲘ ჩინებული ფეხბურთელი გახლდათ. დღეს იგი კარგი ტელეჟურნალისტია და ვერც მოქალაქედ დაიწუნებს ვინმე. ეს ფოტოები მაშინაა გადაღებული, მისტერ ლინეკერი **BBC**-ს ცნობილი კომენტატორი ქალბატონის ელენ როლესონის პანაშვიდზე ქალაქ შინფილდის სენტ მერის ეკლესიაში რომ მივიდა. **BBC**-ს პირველი სპორტული მიმომხილველი ქალი გასულ კვირას სიმსივნემ შეიწირა.

REUTERS ლონდონიდან

ᲙᲐᲡᲞᲐᲠᲝᲕᲘ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ

1..**e2-e4 c7-c5** 2. მg1-f3 **d7-d6** 3. კf1-**b5+** კ**c8-d7** 4. კ**b5**:d7+ ლ**d8**:**d7** 5. **c2-c4** მ**b8-c6** 6. მb1-c3 მg8-f6 7. **0-0 g7-g6** 8. **d2-d4** c5:d4 9. მ**f3-d4** კ**g7** 10. მ**d4-e2** ლ**d7-e6 11.** მ**c3-d5** ლ**e6:e4 12.** მ**d5-c7+** მფ**e8-d7 13.** მ**c7:a8** ლ**e4:c4 14.** მ**a8-b6+ a7:b6 15.** მ**b1-c3** ე**h8-a8 16. a2-a4** მ**f6-e4 17.** მ**c3:e4** ლ**c4:e4 18.** ლ**d1-b3 f7-f5 19.** კ**c1-g5** ლ**e4-b4 20.** ლ**b6-f7** კ**g7-e5 21. h2-h3** ე**a8:a4 22.** ე**a1:a4** ლ**b4:a4 23.** ლ**f7:h7** კ**e5:b2 24.** ლ**h7:g6** ლ**a4-e4 25.** ლ**g6-f7** კ**b2-d4 26.** ლ**f7-b3 f5-f4 27.** ლ**b3-f7** კ**d4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5** ლ**c4 30.** ლ**f5+**



ᲛᲔ ᲠᲝᲛ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲕᲘᲧᲝ

ᲕᲘᲜᲛᲔᲛ რომ გთხოვოთ ქვეყნად ყველაზე მოცლილი ადამიანების დასახელება, გირჩევთ, თქვენი უბნელი ან თანასოფლელი უსაქმურის შემდეგ სახელმწიფოს მეთაურები ჩამოთვალოთ. როგორც ყველა ჰიპოთეზას, ამასაც დამტკიცება სჭირდება, არა? კეთილი, დავიწყოთ:

ნებისმიერი ქართველი ამაყობს იმით, რომ დიდ ბელადს ყველა წიგნი წაკითხული ჰქონდა. ყველა ფილმი ნანახი და აქა-იქ „ვეფხისტყაოსანსაც" თარგმნიდა რუსულად. მართლაც საამაყოა, მაგრამ, გეკითხებით, დღეში რამდენი საათი დასჭირდებოდა სტალინს საამისოდ?

ესე იგი ეცალა.

ლენინზე ლაპარაკიც ზედმეტია, ცნობილი უსაქმური იყო. ნელსონ მანდელას გარეშე ბოლო ათ წელიწადში ჭიქა არსად გარაწკუნებულა, ბენაზირ ბჰუტომ უკეთესი რომ ვერაფერი მოიფიქრა, სულ ფეხმძიმედ იყო, ბილ კლინტონი კი ფოტოებით ყოველდღე მხილებულია. ხომ ხედავთ, თეთრ სახლში იქაური ფეხბურთის სტუდენტური ლიგის ჩემპიონი „ტინესი ვოლუნტირზი" დაუპატიჟია და ფინალში „ფლორიდა სტეიტ სემინოლის" დამარცხებას ულოცავს. ვიცე პრეზიდენტი ელ გორიც გვერდს უმშვენებს...



REUTERS ვაშინგტონიდან



REUTERS იოჰანესბურგიდან

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ

ᲘᲛ დღეს ნელსონ მანდელას მოშივდა, მაგრამ გაახსენდა, რომ მარტო კაცი ჭამაშიც ბრალია და საუზმედ ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ასას აიატუ დაპატიჟა. აიატუს მარტო მგზავრობისა შეეშინდა და ცნობილი ფეხბურთელები გაიყოლა. მივიდნენ იოჰანესბურგის სასტუმრო „სენტტონ სანში". მანდელამ სტუმრები გულთბილად მიიღო, აიატუმ მაისურა უსახსოვრა, ვითომც შენც ჩვენიანი ხარო. საუზმის მერე რა ექნათ და გადაწყვიტეს ცოტა დაესვენათ, საღამოს კი ებურთავათ. რომ მოსაღამოვდა, ბიჭები ორად გაიყვნენ, აქეთ მანდელას სიმბოლური ნაკრები დადგა, იქით მსოფლიოს სიმბოლური და „ელის პარკ სტედიუმზე" კარგი სანახაობაც გაჩაღდა. მანდელა უცქერდა ამ სანახაობას და ფიქრობდა, რა კარგი ვქენი, სახრეთ აფრიკის პრეზიდენტობიდან რომ გადავდექი, თორემ ისე ჩემს საპატივცემულოდ ასეთ თამაშს ვინ მოაწყობდაო. ხალხსაც ძალიან უხაროდა, აკი ფოტოზეც ჩანს. შეხვედრა 2:2 დასრულდა.

REUTERS ოსლოდან

ნორვეგია — ლიტვა 1:0. გოლის გამტან ანდრეას ლუნდს (№16) ლიტველი ვიდას ალუნდერისი ებრძვის

ამხანაგური მატჩები

ნორვეგია 1:0 ლიტვა

1:0 ლუნდი (87)

ნორვეგია: ოლსენი (ბაარდსენი 46), ბერგდოლმო, ჰოფტუნი, ბერგი, ჰეგემი (ჰალე 46), ივერსენი, მიუკლანდი, ლეონარდსენი, ფლო, სკამელსრუდი (ლუნდი 66), სოლსკიაერი

საბერძნეთი 3:1 სალვადორი

1:0 ლიმბეროპულოსი (20), 1:1 გარსია (52), 2:1 ლ. ბეროპულოსი (86), 3:1 ფრუსოსი (90)

საბერძნეთი: ატმაციდისი (ნიკოპოლოდისი 46), მავროგენიდისი, კასაპისი, დაბიზასი (პაპადიმიტრიუ 77), უზუნიდისი (ანცასი 46), ბასინასი (კაციაბისი 46), ზაგორაკისი (ლაკისი 46), ზიკოსი, კიპარისისი (ფრუსოსი 62), ლიბეროპულოსი, ნინიადისი (კონსტანდინიდისი 46)

ბელგია 3:4 ფინეთი

0:1 ვისი (31), 1:1 მარტენსი (41), 1:2, 1:3 როპანსონი (45, 53), 2:3 ვილმოტსი (58), 2:4 ლეჰკოსუო (62), 3:4 ე. მპენზა (70)

ბელარუსი 0:2 რუსეთი

0:1 ბესჩასტნიხი (38), 0:2 პანოვი (47)

სლოვაკეთი 1:0 ისრაელი

1:0 ფაბუსი (80)

ლატვია 0:0 ჰოლანდია

პოლონეთი 2:2 ესპანეთი

1:0 მიატკი (7), 1:1 მორენტესი (54), 1:2 ფუენტესი (56)

ჩეხეთი 3:0 შვეიცარია

1:0 კოლერი (48), 2:0 ვოლფი (57ს.კ.), 3:0 ბარანეკი (90)

ჩრდ. ირლანდია 0:1 საფრანგეთი

0:1 ლასლანდი (67)

ფარერები 0:1 ისლანდია

0:1 გუდიონსონი (3)

კვიპროსი 2:2 რუმინეთი

1:0 მალეკოსი (14), 1:1 ლუპესკუ (45ს), 2:1 გოგიჩი (65), 2:2 ფილიპესკუ (75)

შვედეთი 0:0 ავსტრია

უკრაინა 1:1 ბულგარეთი

1:0 რებროვი (83ს), 1:1 ი. პეტკოვი (90)

პორტუგალია 4:0 ანდორა

1:0 რუი კოშტა (17), 2:0 ფოკო პინტუ (35), 3:0 ფიგუ (45), 4:0 პედრო პაულეტა (67)

ესტონეთი 2:0 სლოვენეთი

1:0 კრისტალი (79), 2:0 ანისტე (90)

უნგრეთი 1:1 მოლდოვა

1:0 შებოკი (39), 1:1 კლეშენკო (65)

ინგლისი

III დივიზიონი. გადადებული მატჩი

ჩესტერი 0:2 ნორთჰემპტონი

EURO 2000

ახალგაზრდული ნაკრებები

UEFA UNDER-21 Championship

I ჯგუფი

ბელარუსი 1:0 შვეიცარია

1:0 ოგოროდნიკი (45)

საქართველოსაც დავამარცხებთ

დასაწყისი პირველ გვერდზე

შესვენების შემდეგ კი ნულარ იტყვით, საცოდაობა გახლდათ ალბანელთა ცქერა. გაჭირვებით, ცენტრის ხაზს იქით გასცდენოდნენ. მათ ვერც მურატის და რაკლის შემცვლელებმა, ჰალილიმ და ბოგდანმა უშველეს.

სლოვენებმა მეტად აგრესიულად დაიწყეს ტაიმი და ოთხიოდ წუთშიც დაწინაურდნენ — ოსტერცის პასის შემდეგ ზაჰოვიჩი რის ზაჰოვიჩი იქნებოდა, დაახლოებით სამი მეტრიდან არ გაეტანა. ალბანელები ძალიან სუსტად, დაბნეულად თამაშობდნენ, სადაც მოუხვდებოდათ, ბურთსაც იქით იგერიებდნენ. ნოვაკი, ოსტერცი, რუდონია, პავლინი ბევრჯერ იყვნენ მიზანთან ახლოს, მაგრამ ხან სტრაკოშა ყოჩაღობდა, ხანაც ღმერთი იჩენდა მოწყალებას ალბანელთა მიმართ.

მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე კი სტუმრებს არაფერმა უშველათ — ნოვაკის ჩაწოდებულის შემდეგ ოსტერცმა ანგარიში გააორა, ხელი მეკარემაც შეუწყო, კარის ხაზიდან გამოსვლა რომ დაავიანა.

ასტრიტ ჰაფიზი ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი:

— ვიცოდი, რომ ძალიან ძნელი მატჩი გველოდა, მაგრამ მაინც ოპტიმისტურად ვიყავი განწყობილი. სამწუხაროა, საწყისი ნახევარი საათის მსგავსად თამაში ვეღარ გავაგრძელეთ, მერე ბიჭები რატომღაც ანერვიულდნენ, შეცდომებიც ბევრი დაუშვეს. რაკლის რომ ის გოლი გაეტანა, დარწმუნებული ვარ, თამაში სხვაგვარად გაგრძელდებოდა.

სლოვენიელებს კი ვულოცავ, ამ გამარჯვებით მათ ფაქტობრივად გაინაღდეს ჯგუფში მეორეობა. გული მწყდება, რომ ამაში ჩვენც ხელი შევუწყვეთ.

სრეჩკო კატანეცი სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი:

— უსაზღვროდ ბედნიერი კაცი ვარ. სასწაული თუ არ მოხდა, მეორე ადგილს ვერავინ წაგვართმევს.

არ ველოდი ალბანეთის ნაკრების ასეთ სუსტ თამაშს, გაცილებით ძლიერი მეტოქის მოლოდინში ვიყავი. მეორე ტაიმი კი სლოვენიის ნაკრებმა, გადაუჭარბებლად ვიტყვი, ბრწყინვალედ ჩაატარა. თავიდანვე რომ ასევე გვეთამაშა, ალბანელებს შავ დღეს ვაყრიდით.

ახლა საქართველოს ნაკრებთან მატჩი გველის, მათაც დავამარცხებთ.

ომი და ფრე

ბელგრადი

18 აგვისტო

52 600 მაყურებელი

იუგოსლავია 0:0 ხორვატია

იუგოსლავია: კოჩიჩი, მირკოვიჩი, ჯორდოვიჩი (დრულოვიჩი 46), იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, ი. სტანკოვიჩი, ნადი, მიატოვიჩი, კოვაჩევიჩი (მილოშევიჩი 62), დ. სტანკოვიჩი, მიხაილოვიჩი

ხორვატია: ლადიჩი, კოვაჩი, იარნი, სოლდო, შტიმაცი, სიმიჩი, ასანოვიჩი, სტანიჩი, შუკერი, ბობანი (ბისკანი 75), იურჩიჩი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ბევრმა გულშემატკივარმა დენის გამორთვა იუგოსლავიის მთავრობის საძაგებლად გამოიყენა. ხალხი იმდენად გაღიზიანებული იყო გაუგებრობით, რომ მოედანზე სანთებელები ისროლეს, პოლიციას კი მათ დასაწყნარებლად ცრემლსადენი გაზის გაშვება მოუხდა.

შუქი სტადიონზე მაშინ გამოირთო, როცა მეორე ტაიმის მეათე წუთი მიმდინარეობდა. ადგილობრივმა კომენტატორმა განაცხადა, თუ მატჩი 15 წუთში არ განახლდება, მაშინ, წესების თანახმად, თამაში გადაიდება და ხვალ ამავე სტადიონზე გაიმართებაო.

იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლებმა კარგად უწყოდნენ, რომ მატჩის გადადება კარგს არაფერს მოიტანდა და არაფერი დაიშურეს შეხვედრის გასაგრძელებლად.

მლადენ დინკიჩმა, ამ უპრინციპულესი მატჩის ერთ-ერთმა მთავარმა ორგანიზატორმა, განაცხადა: „ამ მატჩს იუგოსლავია წლების მანძილზე ელოდა და ჩვენ არ დავუშვებთ მის ჩაშლას. შეხვედრა გაგრძელდება და მის გადადებაზე საუბარი არც შეიძლება.“ მისი ნათქვამის შემდეგ აბობოქრებული გულშემატკივრები დაშოშმინდნენ და მატჩიც მალე განახლდა.

მთლიანობაში თამაში საინტერესო გამოდგა, რაზეც იუგოსლავიის ნაკრების კაპიტნის პრედრაგ მიატოვიჩის მიერ მესამე წუთზევე შერყეული ძელიც მეტყველებს. აღსანიშნავია, რომ იუგოსლავიელთა დარად, ძელს ბურთი ხორვატებმაც მოახვედრეს — მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირ დავორ შუკერს სანტიმეტრები დააკლდა კოჩიჩის კარში გასატანად. ცოტა ხანში იმავე შუკერის საჯარიმოში ჩაწოდებულის კუთხურზე გადაგდება იოვან სტანკოვიჩმა სცადა, მაგრამ მისმა თავურმა საკუთარი კარის ხარიხა შეაზანზარა.

ხორვატებმა მასპინძლებზე ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს. იუგოსლავიელებმა კი, ეტყობა, ფსიქოლოგიურ წნეხს ვერ გაუძლეს და მათი არეულობაც, ალბათ, ამის ბრალია.

REUTERS ბელგრადიდან

გორან ჯორიევიჩისა (№3) და მარიო სტანიჩის საჰაერო დუელი

იუგოსლავია	4	3	1	0	8:1	10
ირლანდია	4	3	0	1	8:1	9
ხორვატია	5	2	2	1	8:6	8
მაკედონია	5	2	1	2	9:6	7
მალტა	6	0	0	6	3:22	0

21 აგვისტო: ხორვატია — მალტა; 1 სექტემბერი: ირლანდია — იუგოსლავია; 4 სექტემბერი: ხორვატია — ირლანდია; 5 სექტემბერი: იუგოსლავია — მაკედონია; 8 სექტემბერი: მალტა — ირლანდია, მაკედონია — იუგოსლავია; 10 ოქტომბერი: ხორვატია — იუგოსლავია, მაკედონია — ირლანდია.

სარგებელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში ოუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli